



ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო
უნივერსიტეტი
იურიდიული ფაკულტეტი

ქეთევან ლაზარაშვილი

**საოჯახო დავების განხილვის საპროცესო სამართლებრივი
თავისებურებანი, როგორც არასრულწლოვანის საუკეთესო
ინტერესების დაცვის წინაპირობა**

სამაგისტრო ნაშრომი
სამართლის მაგისტრის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად

სამეცნიერო ხელმძღვანელი - ეკა ზარნაძე
ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო
უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი

თბილისი
2019

სარჩევი

1. შესავალი	4
2. ინკვიზიციურობა - სამართალწარმოების პრინციპი	7
2.1. ინკვიზიციურობა სამოქალაქო სამართალწარმოებაში	10
2.2. ინკვიზიციურობა - საოჯახო სამართლებრივი დავების განხილვის პრინციპი	12
3. საოჯახო დავის ცნება და საოჯახო საქმეთა სხვა კატეგორიის სამოქალაქო საქმეთაგან დამოუკიდებლად განხილვის პრინციპი	17
3.1. დავის კვალიფიკაცია, როგორც საოჯახო საქმისა.....	18
3.2. საოჯახო დავების სხვა კატეგორიის დავებთან განხილვის დაუშვებლობა.....	22
4. „ბავშვის უფლებათა შესახებ კონვენცია“ - არასრულწლოვანის საუკეთესო ინტერესების დაცვის ფუნდამენტური სტანდარტი	25
4.1. ბავშვის უფლებათა კონვენციის ოთხი ქოლგა პრინციპი.....	28
4.2. ბავშვის მიერ აზრის გამოხატვის უფლება და იყოს მოსმენილი - „ბავშვის უფლებების შესახებ კონვენციის“ მე-12 მუხლი.....	32
5. არასრულწლოვანის ინტერესებთან დაკავშირებულ დავათა განხილვისას არასრულწლოვანის ჩაბმის პრინციპი	38
5.1. შვიდ წლამდე ასაკის ბავშვის მონაწილეობა.....	38
5.2. შვიდიდან თვრამეტ წლამდე ასაკის ბავშვის მონაწილეობა დავის განხილვაში	40
6. მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანოს მონაწილეობის სავალდებულოობის პრინციპი საოჯახო საქმეებში	42
7. არასრულწლოვანის უფლება დამოუკიდებლად აღძრას სარჩელი	47
8. ინტერესთა კონფლიქტი არასრულწლოვანსა და მის კანონიერ წარმომადგენელს შორის	49
9. დროებითი განკარგულების ინსტიტუტი	53
9.1. კანონის განსაზღვრულობა და სამართლებრივი უსაფრთხოება (სსსკ-ის 355-ე მუხლი)	53
9.2. ეროვნული საკონსტიტუციო სასამართლოს პრაქტიკა დროებითი განკარგულების ინსტიტუტთან მიმართებით	56

10. დასკვნა	61
ბიბლიოგრაფია	65

1. შესავალი

არასრულწლოვანთა საუკეთესო ინტერესების დაცვა საერთაშორისო და აქედან გამომდინარე, ყოველი კონკრეტული სახელმწიფოს შიდასახელმწიფოებრივი კანონმდებლობის ფუნდამენტური სტანდარტია. მნიშვნელოვან, საერთაშორისო დოკუმენტს, რომელიც არასრულწლოვანის საუკეთესო ინტერესებთან დაკავშირებულ ყველა საკითხს ამომწურავად გვთავაზობს „ბავშვთა უფლებების შესახებ კონვენცია“ წარმოადგენს. აღნიშნული კონვენციის თანახმად, ხელშემკვრელი სახელმწიფოები ერთხმად აღიარებენ ოჯახის, როგორც საზოგადოების ძირითადი უჯრედის მნიშვნელობას კაცობრიობის წინაშე. ოჯახის განსაკუთრებულ წევრებს ბავშვები წარმოადგენენ, რომელთა აღზრდასა და კეთილდღეობის უზრუნველყოფაზე, მათ საჭირო დაცვასა და ხელშეწყობაზე, პასუხისმგებლობას როგორც არასრულწლოვანის მშობლები და მისი ოჯახის წევრები, აგრეთვე სახელმწიფო კისრულობს. ბავშვი მისი პიროვნების სრულფასოვანი განვითარებისათვის უნდა იზრდებოდეს ოჯახურ გარემოცვაში, ბედნიერების, სიყვარულისა და გაგების ატმოსფეროში. სამწუხაროდ, ხშირია შემთხვევები, რომლებიც არასრულწლოვანთა უფლებებისა და საუკეთესო ინტერესების დარღვევას უკავშირდება. სახელმწიფო ამ დროს განსაკუთრებული პასუხისმგებლობის მატარებელ სუბიექტად გვევლინება. არასრულწლოვანის უფლებებთან დაკავშირებული თითოეული საკითხი გულისხმიერებას და ასეთი უფლებების დარღვევის განსაკუთრებულ შესწავლას მოითხოვს. შესაბამისად, ისევე როგორც საკანონმდებლო და აღმასრულებელი, ასევე სასამართლო ხელისუფლება ჩართულია საზოგადოების ამ მნიშვნელოვანი წევრების ინტერესთა დაცვის პროცესში. საოჯახო დავები სფეციფიურობით ხასიათდება, რაც განსაკუთრებით არასრულწლოვნების უფლებებსა და ინტერესებთან დაკავშირებული საქმეების განხილვის დროს ვლინდება.

წინამდებარე ნაშრომის მიზანია, საოჯახო დავების განხილვის საპროცესო სამართლებრივი თავისებურებების, როგორც არასრულწლოვანის საუკეთესო ინტერესების დაცვის წინაპირობის არსის განსაზღვრა და ასეთ დავებთან დაკავშირებული საკანონმდებლო ხარვეზების გამოკვეთა, მისი აღმოფხვრისათვის აუცილებელი გზების ძიება. ნაშრომში განხილული საკითხები შეეხება საერთაშორისო სამართლებრივ დებულებებს, რომელთა შესაბამისადაც მეტნაკლებად სისრულეშია მოყვანილი საქართველოს მოქმედი, რეალობის ამსახველი კანონმდებლობა.

ზოგადმეცნიერული მეთოდი, მცირე ისტორიული ასპექტების გათვალისწინებით წარმოადგენს მოცემული ნაშრომის მეთოდოლოგიური კვლევის საფუძველს. გარდა ამისა, ნაშრომი მოიცავს დოგმატიურ და

ნორმატიულ კვლევის მეთოდებს. გამოყენებულია, აგრეთვე, შედარებით-სამართლებრივი კვლევის მეთოდი, რომლის მიზანია საერთაშორისო სამართლებრივი და ქვეყნის შინადახელმწიფოებრივი კანონმდებლობის ურთიერთშედარება და აღნიშნულიდან გამომდინარე პრობლემის გადაჭრის საუკეთესო გზის მოძიება.

ნაშრომი ათი თავისაგან შედგება, რომელთა შორისაა შესავალი და დასკვნითი ნაწილი. დანარჩენ ნაწილებში განხილული საკითხები, შესაძლებლობას იძლევა პასუხი გავცეთ შესავალში წამოჭრილ პრობლემებს.

ყურადღება გავამახვილოთ ნაშრომის მეორე ნაწილზე, რომელიც სამართალწარმოებაში არსებულ ინკვიზიციურობის პრინციპს ეხება. ამ თავში საუბარია ინკვიზიციურობის, როგორც ზოგადად სამართლის ცალკეულ დარგებში არსებულ, ასევე სამოქალაქო სამართალში, კერძოდ საოჯახო სამართლებრივი დავების განხილვის დროს გამოყენებად ფუნდამენტურ ინკვიზიციურობის პრინციპზე. აღნიშნული პრინციპი საოჯახო დავის განხილველ სასამართლოს უფლებას აძლევს თავისი ინიციატივით მიიღოს გადაწყვეტილება დამატებითი ინფორმაციის ან მტკიცებულების წარმოსადგენად.

ნაშრომის მესამე თავი საოჯახო დავის ცნებას და საოჯახო საქმეთა სხვა კატეგორიის სამოქალაქო საქმეთაგან დამოუკიდებლად განხილვის პრინციპს ეძღვნება, რომელიც მოიცავს ინფორმაციას დავის საოჯახო დავად კვალიფიკაციის და საოჯახო დავების სხვა კატეგორიის დავებთან ერთად განხილვის დაუშვებლობის შესახებ.

მეოთხე თავში საუბარია როგორც „ბავშვის უფლებათა შესახებ კონვენციით“ განმტკიცებულ „ქოლგა დებულებებზე“ და მათ მნიშვნელობაზე ბავშვთა საუკეთესო ინტერესების დაცვის პროცესში, ასევე ბავშვის მიერ აზრის გამოხატვის უფლებაზე და უფლებაზე იყოს მოსმენილი. აქვე იკვეთება საქართველოს საკანონმდებლო სივრცეში არსებული პრობლემები, რომლებიც „ბავშვთა უფლებების შესახებ კონვენციის“ მე-12 მუხლს შეეხება.

მეხუთე თავი არასრულწლოვანის ინტერესებთან დაკავშირებულ დავათა განხილვისას არასრულწლოვანის ჩაბმის პრინციპს მოიაზრებს. აქ საყურადღებოა შვიდ წლამდე და შვიდიდან თვრამეტ წლამდე ასაკის ბავშვის მონაწილეობა დავის განხილვისას.

საოჯახო-სამართლებრივი დავების განხილვის კიდევ ერთი თავისებურება იმაში მდგომარეობს, რომ არასრულწლოვანის საუკეთესო ინტერესებთან დაკავშირებულ საქმეებზე, რომელიც მათ უფლებებსა და ინტერესებს ეხება, სავალდებულოა მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანოს ჩართვა. ნაშრომის მეექვსე თავში სწორედ საოჯახო საქმეებში

მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანოს მონაწილეობის სავალდებულოობის პრინციპზეა საუბარი.

არასრულწლოვანს უფლება აქვს დამოუკიდებლად აღძრას სარჩელი და დაიცვას საკუთარი ინტერესები სასამართლოში. იგი უფლებამოსილია მისი უფლებების დარღვევისას, აგრეთვე, მიმართოს მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანოს. დავის სასამართლოში განხილვისას სასამართლოს უმთავრესი ფუნქციაა, განუმარტოს არასრულწლოვანს თავისი უფლებები, ასევე მისცეს მას შესაძლებლობა გამოავლინოს საკუთარი შეხედულებების გამოხატვის უნარი. არასრულწლოვანსა და მის კანონიერ წარმომადგენელს შორის ინტერესთა კონფლიქტზეა საუბარი ნაშრომის მერვე თავში და აქ უკვე მოყვანილია სასამართლო პრაქტიკა საკითხის შინაარსის თვალსაჩინოებისათვის.

წინამდებარე ნაშრომის მეცხრე თავი დროებითი განკარგულების ინსტიტუტთან დაკავშირებულ საკითხებს მოიცავს. კერძოდ, საუბარია სსსკ-ის 355-ე მუხლის განსაზღვრულობასა და სამართლებრივ უსაფრთხოებაზე. გარდა ამისა, აღნიშნული თავის მეორე ქვეთავი ეძღვნება ეროვნულ საკონსტიტუციო სასამართლოს პრაქტიკას დროებითი განკარგულების ინსტიტუტთან მიმართებით. ამ შემთხვევაში, კიდევ ერთხელ ცხადდება არასრულწლოვანის საუკეთესო ინტერესების უპირატესი დაცვის მნიშვნელობა სასამართლო ხელისუფლების მიერ.

ნაშრომის დასკვნაში აღწერილია ის შედეგები, რომლებიც გამოიკვეთა თემაზე მუშაობის დროს. შემაჯამებელი თეზისები ხაზს უსვავს საკითხის აქტუალობას და პასუხობს ნაშრომის სათაურშივე გამოკვეთილ თემატიკას.

2. ინკვიზიციურობა - სამართალწარმოების პრინციპი

ტერმინები „შეჯიბრებითი“ და „ინკვიზიციური“ გამომდინარეობს იმ ორი ტიპის პროცედურიდან, რომლებიც სამართლებრივი დავების გადასაწყვეტად საერთაშორისო მასშტაბით გამოიყენება. ზოგადად რომ ვთქვათ, შეჯიბრებით სისტემაში მხარეები თვითონ ირჩევენ, რა მტკიცებულებები წარუდგინონ სასამართლოს ან ტრიბუნალს, ინკვიზიციურ სისტემაში კი სასამართლომ ან ტრიბუნალმა შეიძლება თავად ჩაატაროს საგამოძიებო მოქმედებები ან/და შეაგროვოს ის მტკიცებულებები, რომლებზე დაყრდნობითაც იქნება მიღებული გადაწყვეტილება საქმეზე.¹ შეჯიბრებითობისა და ინკვიზიციურობის პრინციპთა ერთობლიობა მოსამართლეს მისთვის განსახილველად წარდგენილი საქმის სრულყოფილად შესწავლასა და სამართლიანი, ობიექტური გადაწყვეტილების გამოტანაში ეხმარება.

ინკვიზიციურობის პრინციპი მოსამართლეს უფლებას აძლევს, საკუთარი ინიციატივით მოიპოვოს მტკიცებულებები, მხარეებს მისცეს მითითებები, მოსთხოვოს მათ სარჩელის ან შეგებებული სარჩელის დაზუსტება, საქმის განხილვისას მოიწვიოს მესამე პირები ან მხარეებს დაავალოს გარკვეული მტკიცებულებების მოპოვება. მოსამართლე თავადაც უფლებამოსილია მონაწილეობა მიიღოს მტკიცებულებათა მოპოვებაში. საბოლოოდ, მოსამართლე შეისწავლის საქმის ყველა ასპექტს და მიიღებს სამართლიან გადაწყვეტილებას. ინკვიზიციურობის პრინციპი ძირითადად ადმინისტრაციული სამართალწარმოებისთვისაა დამახასიათებელი. ადმინისტრაციული პროცესი უზრუნველყოფს ყოველი პირის საჯარო-სამართლებრივი უფლებების დაცვასა და ადმინისტრაციული საქმიანობის კანონშესაბამისობაზე ობიექტურ კონტროლს. ეს კონტროლი კი ინკვიზიციურობის პრინციპის საფუძველზე ხორციელდება.² სასამართლოს უფლებამოსილება, თავად განსაზღვროს საჭირო მტკიცებულებების სახე და იზრუნოს მათ მოსაპოვებლად, არ ნიშნავს იმას, რომ პროცესის მონაწილე მხარეები სრულად გათავისუფლდებიან თავიანთი სასარჩელო მოთხოვნის დასაბუთების ვალდებულებისაგან.

ინკვიზიციურობის პრინციპის არსი ნათლად იკვეთება საქართველოს ადმინისტრაციულ საპროცესო კოდექსში. კერძოდ, საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-4 მუხლის თანახმად, „სასამართლო უფლებამოსილია თავისი ინიციატივით მიიღოს

¹ David Jackson: Adversarial and Inquisitorial Systems Medico-Legal Society of NSW Inc Scientific Meeting, March 2009, p. 1.

² ადმინისტრაციული საპროცესო სამართლის სახელმძღვანელო, მაია კოპალიეშვილი, ნუგზარ სხირტლაძე, ეკატერინე ქარდავა, პაატა ტურავა (რედ.), თბილისი 2008

გადაწყვეტილება დამატებითი ინფორმაციის ან მტკიცებულებების წარმოსადგენად”.³ გარდა სამართლის აღნიშნული მიმართულებისა, ინკვიზიციურობა, როგორც სამართალწარმოების პრინციპი, ასევე გვხვდება სამოქალაქო სამართალწარმოებაში, თუმცა აქ ინკვიზიციურობის პრინციპი ხასიათდება გარკვეული თავისებურებით.

ინკვიზიციურობის პრინციპი უკავშირდება და მისი გამოყენების აუცილებლობა იკვეთება ყოველი კონკრეტული დავის არსიდან გამომდინარე. მაგალითად, ადმინისტრაციული დავის განხილვისას მნიშვნელოვანია იმის განსაზღვრა, თუ ვის ეკისრება საქმის გარემოებების გამოკვლევის პასუხისმგებლობა. ინკვიზიციურობა, როგორც სამართალწარმოების პრინციპი, გამოკვეთს სასამართლოს მნიშვნელოვან როლს საქმის განხილვისას და სწორედ სასამართლოს ენიჭება საქმესთან დაკავშირებული ფაქტობრივი გარემოებების გამოკვლევის პროცედურის ზედმიწევნითი სიზუსტით წარმართვის ვალდებულება.

ინკვიზიციურობის პრინციპი მოქმედებს მაშინ, როცა კონკრეტულ საქმესთან მიმართებაში წარმოჩენილია სპეციფიკური საჯარო ინტერესი. ეს ის შემთხვევაა, როდესაც საჯარო ინტერესთა არსებობა გავლენას ახდენს გადაწყვეტილების მიღებაზე. საჯარო ინტერესების არსებობის შემთხვევაში, მხოლოდ მხარეებს არ შეიძლება მივანდოთ ადმინისტრაციული საქმის განხილვის გადაწყვეტისა და ჭეშმარიტების დადგენისათვის მნიშვნელოვანი ფაქტობრივი მტკიცებულებებისა და გარემოებების ობიექტურად მოძიების პრეროგატივა. ამ შემთხვევაში, სასამართლოს უფლებამოსილება, თავად განსაზღვროს საქმისათვის საჭირო მტკიცებულებების წარმოდგენის საკითხები ან თავისი ინიციატივით გამოიკვლიოს შესაბამისი გარემოებები, წარმოადგენს საჯარო ინტერესების დაცვის წინაპირობას.⁴

ინკვიზიციურობის პრინციპი, მართალია, მოსამართლეს აძლევს საქმის გარემოებათა გამოკვლევისა და დადგენის პროცესში აქტიური მონაწილეობის მიღების შესაძლებლობას, თუმცა, ეს თავის მხრივ, არ გულისხმობს და მიუთითებს მხარეთა პასიურობაზე დავათა განხილვის პროცესში, არამედ, მხარეები არათუ უფლებამოსილნი, ვალდებულნიც არიან ხელი შეუწყონ სასამართლოს, რათა ამ უკანასკნელის მიერ მოხდეს საქმის ყოველმხრივი, სრული და ობიექტური გამოკვლევა და შესაბამისად, საქმეზე სამართლიანი და კანონშესაბამისი გადაწყვეტილების მიღება. მართალია, სასამართლოს მინიჭებული აქვს მოქმედების თავისუფლება, თუმცა მას ამავედროულად აკისრია პასუხისმგებლობა, მიიღოს მხარის მიერ

³ საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-4 მუხლი

⁴ ადმინისტრაციული საპროცესო სამართლის სახელმძღვანელო, მაია კოპალეიშვილი, ნუგზარ სხირტლაძე, ეკატერინე ქარდავა, პაატა ტურავა (რედ.), თბილისი 2008

წარმოდგენილი მტკიცებულებები და უარი არ თქვას აღნიშნულ მტკიცებულებათა განხილვაზე. სასამართლო მხარეთა მიერ წარმოდგენილი მტკიცებულებების არასაკმარისად მიჩნევის შემთხვევაში, სამართალწარმოებაში არსებული ინკვიზიციურობის პრინციპის გამოყენებით, თავად, საკუთარი ინიციატივით დაიწყებს მტკიცებულებათა მოძიებას და მოახდენს მათ გამოკვლევას.

სისხლის სამართლის საქმეთა განხილვისას ინკვიზიციურობის პრინციპი, განსხვავებით ადმინისტრაციული და სამოქალაქო სამართლისაგან, ცნობილია, როგორც ე.წ. „საგამომიებო პრინციპი“. იგი წარმოადგენს შეჯიბრებითობის პრინციპის საპირისპირო პრინციპს, რომელიც დამახასიათებელია კონტინენტური ევროპის სამართლის მქონე ქვეყნების სისხლის სამართლის პროცესისათვის. საგამომიებო (ინკვიზიციურ) პროცესში საქმის გარემოებათა გამოკვლევის პრივილეგია არა მხარეებს, არამედ სისხლის სამართლის საქმის მწარმოებელ სახელმწიფო ორგანოებს ეკუთვნით. როგორც გამომიების, ისე სასამართლო პროცესი ატარებს ინკვიზიციურ ხასიათს.

სისხლისსამართლებრივი დევნის ორგანოს ვალდებულება გამოარკვიოს ბრალდებულის მამხილებელი და ასევე გამამართლებელი გარემოებები. შეჯიბრებითი პროცესისაგან განსხვავებით, მოსამართლე დამოუკიდებლად ატარებს სასამართლო გამოძიებას სრული მოცულობით და ამ გზით ხდება ე.წ. „მატერიალური ჭეშმარიტების“ დადგენა. მოსამართლე საქმის განხილვის დროს არ იზღუდება მხარეთა შუამდგომლობებით და მოსაზრებებით. იგი უფლებამოსილია და ამავდროულად ვალდებულია, ჭეშმარიტების დასადგენად მოიპოვოს და გამოიკვლიოს ყველა მნიშვნელოვანი მტკიცებულება, მათ შორის ისინიც, რომელიც მხარეებს არ წარმოუდგენიათ ან არ გამოუთხოვიათ.

არსებობს მოსაზრება, რომ სიმართლე უკეთესად დგინდება, როდესაც მხარეები საქმის გარემოებების შესახებ თავის შეხედულებას დამოუკიდებლად აყალიბებენ და ამასთანავე მოწინააღმდეგე მხარის მიერ მოყვანილი არგუმენტების სისუსტეზე მიუთითებენ. ამდენად, შეჯიბრებით პროცესში ადგილი აქვს მტკიცებულებათა ორკვალოვან გამოკვლევას, რომლის დროსაც ერთი მხარის მიერ გამოკვლეული მტკიცებულება პარალელურად კრიტიკულად მოწმდება მოწინააღმდეგე მხარის მიერ. ასეთ პირობებში საქმისთვის კიდევ უფრო მეტი მნიშვნელოვანი გარემოების და დეტალის გამოვლენა ხდება, ვიდრე ეს ინკვიზიციური პროცესის დროს არის შესაძლებელი.⁵

⁵<https://geolaw.wordpress.com/tag/%E1%83%98%E1%83%9C%E1%83%99%E1%83%95%E1%83%98%E1%83%96%E1%83%98%E1%83%AA%E1%83%98%E1%83%A3%E1%83%A0%E1%83%9D%E1%83%91%E1>

2.1. ინკვიზიციურობა სამოქალაქო სამართალწარმოებაში

ინკვიზიციურობის პრინციპი გამოხატულებას ჰპოვებს სამოქალაქო სამართალწარმოებაშიც. თუმცა, როგორც აღინიშნა, ადმინისტრაციული სამართალწარმოებისაგან განსხვავებით, აღნიშნული პრინციპი ამ შემთხვევაში გარკვეული თავისებურებით ხასიათდება. სამოქალაქო სამართალწარმოებაზე საუბრისას, მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ სამოქალაქო პროცესი მიმდინარეობს კერძო სამართლის სუბიექტთა შორის, შესაბამისად, სამოქალაქო პროცესში ხდება მხოლოდ კერძო ინტერესთა სამართლებრივი დაცვა. ამასთან, სამოქალაქო პროცესი მთლიანად აგებულია საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსით განსაზღვრულ შეჯიბრებითობისა და დისპოზიციურობის პრინციპებზე, რომელთა არსიდან გამომდინარე, მხარეები თავად განსაზღვრავენ, თუ რომელი ფაქტები და გარემოებები უნდა დაედოს საფუძვლად მათ მოთხოვნებს და რომელი მტკიცებულებებით უნდა იქნეს დადასტურებული ეს ფაქტები. აღნიშნულ პრინციპებს გარკვეულწილად უპირისპირდება ინკვიზიციურობის პრინციპი, რომელიც სასამართლოს უფლებას აძლევს საკუთარი ინიციატივით გადაწყვიტოს დამატებითი ინფორმაციის ან მტკიცებულებების მხარეთა მიერ წარმოდგენის ან საკუთარი ინიციატივით მოპოვების საკითხი.

სამოქალაქო სამართალწარმოებაში შეჯიბრებითობის პრინციპის მოქმედება გულისხმობს, რომ სასამართლოში ფაქტებს წარადგენენ მხარეები, რომელთა გამოკვლევისა და შეფასების შედეგად მიიღება საბოლოო, შემაჯამებელი გადაწყვეტილება. საქართველოს ახალი სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მიღებამდე სამოქალაქო სამართალწარმოებაში გაბატონებული იყო საგამომიებო (ასევე შეიძლება ეწოდოს მოკვლევის, ინკვიზიციურობის, ოფიციალობის) პრინციპი. 1964 წლის სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-11 მუხლი შეიცავდა მოთხოვნას, რომლის თანახმად, სასამართლო მოვალე არ იყო დაყრდნობოდა მხოლოდ მხარეთა მიერ წარმოდგენილ მასალას და ახსნა-განმარტებებს და მიეღო კანონით გათვალისწინებული ყველა ზომა, რათა ყოველმხრივ, სრულად და ობიექტურად გამოეკვლია საქმის ნამდვილი გარემოებანი და მხარეთა უფლება-მოვალეობანი. ამავე კოდექსის 52-ე მუხლის თანახმად, თუ წარმოდგენილი მტკიცებულებები საკმარისი არ იყო, სასამართლო მხარეებს და საქმეში მონაწილე სხვა პირებს წინადადებდა აძლევდა წარმოედგინათ დამატებითი მტკიცებულებები ან შეეგროვებინათ ისინი საკუთარი ინიციატივით. ამ პრინციპის მოქმედების პირობებში რიგი უარყოფითი ტენდენციებისა, შესუსტებული იყო მხარეთა აქტივობა. კერძოდ, ისინი

დიდად აღარ ზრუნავდნენ იმ ფაქტების სრულად და ამომწურავად მითითებაზე, რომლებიც ასაბუთებდნენ მათ მოთხოვნებსა და შესაგებელს. ისინი აღარ იჩენდნენ აქტიურობას მტკიცებულებათა მოძიებასა და სასამართლოსთვის წარდგენაზე.⁶

როგორც აღინიშნა, დღის მდგომარეობით მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად, სამოქალაქო სამართალწარმოება მთლიანად აგებულია შეჯიბრებითობისა და დისპოზიციურობის პრინციპთა საწყისებზე და შესაბამისად, სამართალწარმოებაც სამოქალაქო დავათა განხილვისას სწორედ რომ აღნიშნულ პრინციპთა გამოყენებით და მათ მომწესრიგებელ ნორმათა სრული დაცვით მიმდინარეობს, რაც უზრუნველყოფს სასამართლოს მიერ მხარეთა უფლებების სამოქალაქო პროცესში ამომწურავად რეალიზაციის შესაძლებლობას. ინკვიზიციურობის პრინციპის ამ ორ ფუნდამენტურ პრინციპებთან დაპირისპირება, საშუალებას გვაძლევს სრულყოფილად გავიაზროთ თითოეული მათგანის არსი და მნიშვნელობა სამოქალაქო სამართალწარმოების დროს.

მეცნიერთა გარკვეული ნაწილი მიიჩნევს, რომ ინკვიზიციურობის პრინციპი შეჯიბრებითობის პრინციპთან შედარებით დავათა განხილვის დროს უკეთესი მოდელია ჭეშმარიტების დადგენის თვალსაზრისით. არაერთი თეორეტიკოსის მოსაზრებით, სასამართლო გვევლინება „პასიური არბიტრის“ როლში შეჯიბრებითი პროცესის პირობებში და შესაბამისად, იგი მოკლებულია საქმის გარემოებების სრულყოფილად გამოკვლევის შესაძლებლობას. ასეთ დროს, გასაკვირი არ არის, რომ მოსამართლე, რომელიც შემოიფარგლება მხოლოდ მხარეთა მიერ მოპოვებული მასალებით, გადაწყვეტილებას იღებს იმ მხარის სასარგებლოდ, რომელმაც სასამართლოს წარუდგინა მეტად სარწმუნო და დამაჯერებელი არგუმენტაცია. მეცნიერთა და თეორეტიკოსთა სხვა ნაწილის აზრით, შეჯიბრებითი პროცესი მხოლოდ ფორმალური ჭეშმარიტების დადგენას ემსახურება, მატერიალური ჭეშმარიტება კი დაუდგენელია. ამდენად, ინკვიზიციურობის პრინციპის აქტიურად გამოყენება, სასამართლოს ეხმარება მნიშვნელოვანი გარემოებებისა და დეტალების გამორკვევაში, რაც საქმეზე სამართლიანი გადაწყვეტილების მიღების საწინდარია. ამ დროს სასამართლო აქტიური მსმენელის როლში გვევლინება და საქმის არსებითად განხილვის დროს უფრო ფართო უფლებები აქვს მინიჭებული.

⁶ ილონა გაგუა, მტკიცების ტვირთი სამოქალაქო საპროცესო სამართალში, სადისერტაციო ნაშრომი სამართლის დოქტორის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად, თბილისის ივანე ჯავახიშვილის სახელმწიფო უნივერსიტეტი, იურიდიული ფაკულტეტი, თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა 2012

http://press.tsu.ge/data/image_db_innova/Disertaciebi/ilona_gagua.pdf

ინკვიზიციურობის პრინციპის სამოქალაქო სამართალწარმოებაში გამოყენების მოწინააღმდეგეები ყურადღებას ამახვილებენ შეჯიბრებითი პრინციპის უპირატესობაზე და მიუთითებენ, რომ იგი ემსახურება არა მხოლოდ ფორმალური, არამედ მატერიალური ჭეშმარიტების დადგენას, დავათა განხილვის პროცესში. ისინი უარყოფენ მოსამართლის, როგორც „პასიური მსმენელის“ ფუნქციას და მიუთითებენ მოსამართლის ისეთ უფლებებზე, როგორიცაა: მოსამართლის მიერ სასამართლო სხდომის ხელმძღვანელობა, მხარეთა ახსნა-განმარტებების მოსმენა, პროცესის მონაწილე მხარეთა შეკითხვების ეტაპის წარმართვა, მხარეთა მიერ წარმოდგენილ მტკიცებულებათა გამოკვლევის პროცესში მონაწილეობა, მხარეთა საპაექრო სიტყვათა თუ რეპლიკის მოსმენა. ამადროულად, აღსანიშნავია, რომ მოსამართლე პროცესის მონაწილე მხარეთა შეკითხვების ეტაპზე, უფლებამოსილია, მხარეებს თავადაც დაუსვას შეკითხვები, რაც საბოლოოდ უზრუნველყოფს მოსამართლის მიერ დავის გადაწყვეტისათვის მნიშვნელოვანი გარემოებების გამოკვეთას და მატერიალური და ფორმალური ჭეშმარიტების დადგენას, რის საფუძველზეც სასამართლოს გამოაქვს მოტივირებული გადაწყვეტილება.

2.2. ინკვიზიციურობა - საოჯახო სამართლებრივი დავების განხილვის პრინციპი

საქორწინო და საოჯახო საქმეთა კატეგორიას მიეკუთვნება საქმეები, რომლებიც წარმოიშობა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის მეხუთე წიგნის - „საოჯახო სამართლის“ ნორმებით (1106-1305-ე მუხლებით) მოწესრიგებული ურთიერთობებიდან. საოჯახო კატეგორიის საქმეთა განხილვა წარმოებს სამოქალაქო საპროცესო კანონმდებლობით დადგენილი წესების დაცვით, ოღონდ იმ თავისებურებათა გათვალისწინებით, რაც ამ თავშია მოცემული.⁷

⁷ თენგიზ ლილუაშვილი, ვალერი ხრუსტალი, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის კომენტარი, მეორე გადამუშავებული და შესწორებული გამოცემა, გამომცემლობა „სამართალი“, თბილისი 2007”

<https://www.scribd.com/doc/239905029/%E1%83%A1%E1%83%90%E1%83%A5%E1%83%90%E1%83%A0%E1%83%97%E1%83%95%E1%83%94%E1%83%9A%E1%83%9D%E1%83%A1-%E1%83%A1%E1%83%90%E1%83%9B%E1%83%9D%E1%83%A5%E1%83%90%E1%83%9A%E1%83%90%E1%83%A5%E1%83%9D-%E1%83%A1%E1%83%90%E1%83%9E%E1%83%A0%E1%83%9D%E1%83%AA%E1%83%94%E1%83%A1%E1%83%99%E1%83%9D%E1%83%93%E1%83%94%E1%83%A5%E1%83%A1%E1%83%98%E1%83%A1-%E1%83%99%E1%83%9D%E1%83%9B%E1%83%94%E1%83%9C%E1%83%A2%E1%83%90%E1%83%A0%E1%83%94%E1%83%91%E1%83%98-%E1%83%95-%E1%83%AE%E1%83%A0%E1%83%A3%E1%83%A1%E1%83%A2%E1%83%90%E1%83%9A%E1%83%98-%E1%83%97->

ინკვიზიციურობის პრინციპი სამოქალაქო სამართალწარმოების პროცესში გამოიყენება საოჯახო სამართლებრივ დავათა განხილვისას და მას უდიდესი მნიშვნელობა გააჩნია საქმის ფაქტობრივი გარემოებების შესწავლისა და საქმეზე ჭეშმარიტების დადგენის თვალსაზრისით. საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 354-ე მუხლის პირველი ნაწილით დადგენილია, რომ სასამართლოს შეუძლია თავისი ინიციატივით განსაზღვროს დასადგენ გარემოებათა წრე და მხარეთა ახსნა-განმარტების შემდეგ თვითონ გამოითხოვოს მტკიცებულებები, რომლებზედაც მხარეებს არ მიუთითებიათ.⁸

მართალია საოჯახო სამართლებრივი ურთიერთობები განეკუთვნება კერძო სამართლის რეგულირების სფეროს, თუმცა ამ ურთიერთობების განვითარებითა და სიმტკიცით დაინტერესებულია მთელი საზოგადოება. ამ მოსაზრებით შეიძლება აიხსნას ის გარემოება, რომ სასამართლოს, რომელიც იხილავს კონკრეტულ საოჯახო-სამართლებრივ დავას, მინიჭებული აქვს ფართო უფლებები, თვითონ, თავისი ინიციატივით მიიღოს ყველა ზომა, რათა დაადგინოს საქმის სწორად გადაწყვეტისათვის მნიშვნელობის მქონე გარემოებები და გამოიტანოს სამართლიანი გადაწყვეტილება, კერძოდ:

ა) სასამართლოს შეუძლია თვითონ განსაზღვროს მტკიცების საგანი, ე.ი. იმ გარემოებათა წრე, რომელთა დადგენის გარეშე შეუძლებელია საქმის სწორად გადაწყვეტა. მხარეთა მიერ მითითებული გარემოებებით სასამართლო, ამ შემთხვევაში, შეზოჭილი არაა.

ბ) თვითონ თავისი ინიციატივით გამოითხოვოს არა მარტო ის მტკიცებულებები, რომლებზეც მიუთითებენ მხარეები, არამედ რომლებზეც მხარეები არ მიუთითებენ, მაგრამ რომლებსაც აქვთ მნიშვნელობა მტკიცების საგანში შემავალ დასადგენ (სადიებელ) გარემოებათა დასადასტურებლად.⁹

<https://www.scribd.com/doc/239905029/%E1%83%9A%E1%83%98%E1%83%9A%E1%83%A3%E1%83%90%E1%83%A8%E1%83%95%E1%83%98%E1%83%9A%E1%83%98-2007-%E1%83%AC%E1%83%94%E1%83%9A%E1%83%98>

⁸ საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსი, მუხლი 354, ნაწილი პირველი

⁹ თენგიზ ლილუაშვილი, ვალერი ხრუსტალი, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის კომენტარი, მეორე გადამუშავებული და შესწორებული გამოცემა, გამომცემლობა „სამართალი“, თბილისი 2007”

<https://www.scribd.com/doc/239905029/%E1%83%A1%E1%83%90%E1%83%A5%E1%83%90%E1%83%A0%E1%83%97%E1%83%95%E1%83%94%E1%83%9A%E1%83%9D%E1%83%A1-%E1%83%A1%E1%83%90%E1%83%9B%E1%83%9D%E1%83%A5%E1%83%90%E1%83%9A%E1%83%90%E1%83%A5%E1%83%9D-%E1%83%A1%E1%83%90%E1%83%9E%E1%83%A0%E1%83%9D%E1%83%AA%E1%83%94%E1%83%A1%E1%83%99%E1%83%9D%E1%83%93%E1%83%94%E1%83%A5%E1%83%A1%E1%83%98%E1%83%A1-%E1%83%99%E1%83%9D%E1%83%9B%E1%83%94%E1%83%9C%E1%83%A2%E1%83%90%E1%83%A0%E1%83%94%E1%83%91%E1%83%98-%E1%83%95-%E1%83%AE%E1%83%A0%E1%83%A3%E1%83%A1%E1%83%A2%E1%83%90%E1%83%9A%E1%83%98-%E1%83%97->

სასამართლომ მტკიცებულებათა გამოთხოვის თაობაზე მსჯელობისას აუცილებლად, მხედველობაში უნდა მიიღოს თითოეული სამოქალაქო საქმის დამახასიათებელი სპეციფიკა. განსაკუთრებული სპეციფიკაა სასამართლო ხასიათდება საოჯახო საქმეები, რომელთა განხილვის დროსაც სასამართლო თავად არის ვალდებული ისეთი მტკიცებულებებიც გამოითხოვოს, რომლებზედაც მხარეებს საერთოდ არ მიუთითებიათ.

ცხადია, დღეის მდგომარეობით მოქმედი სამოქალაქო საპროცესო კანონმდებლობა, საოჯახო დავის განმხილველ მოსამართლეს საშუალებას აძლევს იმოქმედოს მისთვის მინიჭებული უფლებამოსილების ფარგლებში და მოიპოვოს საქმის გადაწყვეტისათვის მნიშვნელოვანი ყველა მტკიცებულება. თუმცა, აქვე აღსანიშნავია, რომ მოსამართლის ამგვარი „თავისუფლება“ განპირობებულია სწორედ საოჯახო დავათა დამახასიათებელი ნიშან-თვისებებით და მომეტებული საზოგადოებრივი ინტერესით ამგვარი კატეგორიის საქმეთა მიმართ. აღსანიშნავია, აგრეთვე, რომ მოქმედი სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მიღებამდე, სასამართლო ვალდებული იყო არა მარტო დახმარებოდა, პროცესის მონაწილე მხარეებს მოეპოვებინათ და შეეგროვებინათ მტკიცებულებები, არამედ სასამართლოს მოეთხოვებოდა მტკიცებულებათა დამოუკიდებლად შეგროვება. თუ არ ჩავთვლით საოჯახო სამართლებრივ დავათა განხილვის თავისებურებებს და ამ კატეგორიის საქმეთა განხილვისას ინკვიზიციურობის ელემენტებს, ამჟამად, სასამართლო მტკიცებულებების შეგროვების ვალდებულებისაგან სამოქალაქო სამართალწარმოების პროცესში გათავისუფლებულია და მტკიცებულებათა შეგროვების ვალდებულებაც იმ პირებს ეკისრებათ, რომლებიც უშუალოდ მონაწილეობენ სამოქალაქო საქმის განხილვაში. იმ შემთხვევაში, როდესაც მხარეები ამა თუ იმ მიზეზის გამო ვერ შეძლებენ მტკიცებულებათა მოპოვებას იმ პირისაგან, ვისთანაც ეს მტკიცებულებები იმყოფება, მათ უფლება აქვთ სასამართლოს წინაშე დააყენონ შუამდგომლობა მტკიცებულებათა გამოთხოვის თაობაზე. ეს ის შემთხვევაა, როდესაც მხარე თავის მოთხოვნებს ან შესაგებელს ასაბუთებს მტკიცებულებებით, რომლებსაც, როგორც მისთვის ცნობილია ფლობენ სხვა პირები და რომელთა ჩვეულებრივი გზით, მხარის მიერ მათი მიღება ვერ ხერხდება.

საოჯახო დავათა განხილვისას ხშირია შემთხვევები, როდესაც მხარეები სასამართლოს მიმართავენ ამა თუ იმ მტკიცებულების გამოთხოვის თაობაზე შუამდგომლობით და მიუთითებენ, რომ მათ მიერ მტკიცებულებათა მოპოვება მცდელობის მიუხედავად ვერ მოხერხდა. მაგალითად, სტატისტიკურად ხშირია სასამართლოში წარდგენილი სარჩელები

[%E1%83%9A%E1%83%98%E1%83%9A%E1%83%A3%E1%83%90%E1%83%A8%E1%83%95%E1%83%98%E1%83%9A%E1%83%98-2007-%E1%83%AC%E1%83%94%E1%83%9A%E1%83%98](#)

ალიმენტის ოდენობის განსაზღვრასთან დაკავშირებით. როგორც წესი, ალიმენტის ოდენობის განსაზღვრა ხდება ურთიერთშეთანხმებით. პირს, რომელიც ითხოვს ალიმენტის დაკისრებას და ალიმენტის გადამხდელს შორის, თუ შეთანხმება ვერ შედგა, ალიმენტის ოდენობას სასამართლო განსაზღვრავს მეუღლეთა მატერიალური და ოჯახური მდგომარეობის გათვალისწინებით. საალიმენტო ურთიერთობებზე საუბრისას, მნიშვნელოვანია იმის აღნიშვნა, რომ საალიმენტო ვალდებულების ნებისმიერი მხარის მატერიალურ თუ საოჯახო მდგომარეობაში შესული ცვლილება შეიძლება საფუძვლად დაედოს ალიმენტის მოთხოვნის უფლების შეზღუდვას ან პირიქით, გაფართოებას.¹⁰

ალიმენტის დაკისრების მოთხოვნით სასამართლოსათვის წარდგენილი სარჩელით, ზოგიერთ შემთხვევაში, მოსარჩელები ითხოვენ სასამართლომ მოახდინოს სსიპ „შემოსავლების სამსახურიდან“ მოპასუხის შემოსავლების შესახებ ინფორმაციის გამოთხოვა. ამგვარი შუამდგომლობა მოსარჩელემ შეიძლება დააყენოს, ასევე, მოპასუხის სამუშაო დაწესებულებიდან მისი ყოველთვიური ხელფასის ოდენობის შესახებ ინფორმაციის გამოთხოვის თაობაზეც. როგორც წესი, სასამართლო ასეთ დროს იღებს განჩინებას მტკიცებულებათა გამოთხოვის შესახებ და შესაბამისი ორგანიზაციიდან გამოითხოვს იმ მნიშვნელოვან ინფორმაციას, რომლის მიღებაც საჭირო და ამავედროულად აუცილებელია საქმეზე სამართლიანი გადაწყვეტილების მისაღებად. სასამართლო ასეთ შემთხვევაში, მიუთითებს შეჯიბრებითობის პრინციპზე, ყურადღებას ამახვილებს მხარეთა თანაბარ უფლებებსა და შესაძლებლობებზე, დაასაბუთონ თავიანთი მოთხოვნები, უარყონ ან გააქარწყლონ მეორე მხარის მიერ წამოყენებული მოთხოვნები, მოსაზრებები თუ მტკიცებულებები. გასათვალისწინებელია, მხარეთა უფლება, თავად განსაზღვრონ, თუ რომელი ფაქტები უნდა დაედოს საფუძვლად მათ მოთხოვნებს ან რომელი მტკიცებულებებით უნდა იქნეს დადასტურებული ეს ფაქტები. რაც შეეხება ინკვიზიციურობის ელემენტს, იგი განსაკუთრებით იკვეთება მაშინ, როდესაც, მართალია მხარე არ უთითებს სასამართლოს მიერ გარკვეული ინფორმაციისა თუ მტკიცებულების გამოთხოვის თაობაზე, თუმცა ამგვარი ინფორმაციისა თუ მტკიცებულების გამოთხოვა და საქმეზე დართვა მნიშვნელოვანია საოჯახო დავათა „განსაკუთრებულიდან“ გამომდინარე სხვა კატეგორიის დავებთან შედარებით. რომ დავუბრუნდეთ ალიმენტის დაკისრების თაობაზე სარჩელებს, სასამართლო პრაქტიკაში ხშირია შემთხვევები, როდესაც მოსარჩელის მოთხოვნას წარმოადგენს მოპასუხისათვის ალიმენტის დაკისრება ან/და წარსული დროის ალიმენტის დაკისრება, თუმცა მხარე სასამართლოს არ წარუდგენს არც ინფორმაციას

¹⁰ <http://legalclinic.iliauni.edu.ge/alimentis-dakisrebis-sakithkhi/>

მოპასუხის ყოველთვიური შემოსავლის ოდენობის შესახებ და არც შუამდგომლობას აყენებს ასეთი მტკიცებულების გამოთხოვის თაობაზე. მოცემულ შემთხვევაში, სასამართლო სამართლიანად მიუთითებს საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 354-ე მუხლის პირველი ნაწილის დანაწესზე და აღნიშნავს, რომ ინკვიზიციურობის პრინციპის თანახმად, რომელიც გამოიყენება საოჯახო დავათა განხილვის დროს, სასამართლოს უფლება აქვს, თავისი ინიციატივით მიიღოს გადაწყვეტილება დამატებითი ინფორმაციის ან მტკიცებულების წარმოსადგენად, იმდენად რამდენადაც, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 354-ე მუხლის თანახმად, საოჯახო დავათა განხილვის დროს სასამართლოს შეუძლია თავისი ინიციატივით განსაზღვროს დასადგენ გარემოებათა წრე და მხარეთა ახსნა-განმარტების შემდეგ თვითონ გამოითხოვოს მტკიცებულებები, რომლებზედაც მხარეებს არ მიუთითებიათ.

3. საოჯახო დავის ცნება და საოჯახო საქმეთა სხვა კატეგორიის სამოქალაქო საქმეთაგან დამოუკიდებლად განხილვის პრინციპი

საქართველოს სამოქალაქო კანონმდებლობის კოდიფიკაციის პროცესი 1997 წელს მიღებულ სამოქალაქო კოდექსში აისახა. სამოქალაქო კოდექსის მიღებამ უზრუნველყო საბაზრო მეურნეობის პრინციპების დანერგვა და სამოქალაქო საზოგადოების ჩამოყალიბება. ქონებრივი თავისუფლებისა და სამოქალაქო ბრუნვის მონაწილე პირთა თანასწორობაც სამოქალაქო კოდექსის მიღებას უკავშირდება. ამ დროისათვის საზოგადოებრივი ურთიერთობები ახლებურად მოწესრიგდა, რასაც საფუძვლად დაედო საზღვარგარეთული გამოცდილების გამოყენება, ასევე, ქართული სამართლებრივი დოქტრინის სიღრმისეული შესწავლა და ანალიზი. სამოქალაქო კოდექსში გაერთიანებულ იქნა ყველა ის ნორმა, რომელიც ცალკეულ სამართლის დარგებს ემნიდა. ამ პერიოდში ხდება საოჯახო სამართლებრივ ნორმათა სრულყოფა და ახლებური რეგულირება. ამ დრომდე, 1970 წლიდან არსებობდა საქართველოს საქორწინო და საოჯახო კოდექსი. იგი არეგულირებდა ოჯახთან დაკავშირებულ ურთიერთობებს. ტერმინი „ოჯახი“ თურქული წარმოშობისაა და ნიშნავს კერას, სახლს, სახლელს. იგი ძველ ქართულში არ გვხვდება. მის სინონიმად გამოიყენებოდა „სახლი“, რომელიც ქმრისა და ცოლ-შვილისაგან შემდგარი პატარა ერთობის აღმნიშვნელი იყო. „ოჯახი“ შუა საუკუნეებიდან ჩაენაცვლა „სახლს“. მის პარალელურად დამკვიდრდა „კომლის“ ცნებაც.¹¹ 1997 წელს მიღებულ ახალ სამოქალაქო კოდექსში მოქცეულ იქნა საოჯახო ურთიერთობათა სამართლებრივი რეგულირება და გაუქმდა მანამდე არსებული საქორწინო და საოჯახო კოდექსი.

საოჯახო სამართლებრივ ურთიერთობებს გარკვეული თავისებურებები ახასიათებს. ამდენად, მნიშვნელოვანია, საოჯახო სამართლის სტატუსის განსაზღვრა სამოქალაქო სამართლებრივ სისტემაში და სამოქალაქო სამართლებრივ ნორმებთან საოჯახო სამართლებრივი ნორმების შერწყმისა და შეთავსების პროცესი. ზოგადად, სამოქალაქო კოდექსი „აწესრიგებს პირთა თანასწორობაზე დამყარებულ კერძო ხასიათის ქონებრივ, საოჯახო და პირად ურთიერთობებს“.¹² აღნიშნულიდან გამომდინარე, ცხადია, საოჯახო ურთიერთობები სამოქალაქო ურთიერთობების შემადგენელ, განუყოფელ ნაწილს წარმოადგენს. თუმცა, აქვე ჩნდება ლოგიკური შეკითხვა: რამ განაპირობა საოჯახო ურთიერთობების სამოქალაქო კოდექსში ცალკე, მეხუთე წიგნში მოთავსება, თუკი საოჯახო ურთიერთობები მოხსენიებულია

¹¹ ივ. ჯავახიშვილის ენციკლოპედიური ლექსიკონი. მთავარი რედაქტორი რ. მეტრეველი. თბილისი, 2002. გვ. 516, 597.

¹² საქართველოს სამოქალაქო კოდექსი. მუხლი 1. ცნება. მოქმედების სფერო

კერძო ხასიათის ქონებრივი და პირადი ურთიერთობების გვერდით. საოჯახო დავები სხვა კატეგორიის სამოქალაქო საქმეთაგან დამოუკიდებლად განიხილება, რაც ცხადყოფს და ხაზს უსვამს საოჯახო სამართლებრივი ურთიერთობებიდან წარმოშობილ დავათა სპეციფიურ ხასიათს და მათ „განსაკუთრებულობას“ სხვა კატეგორიის სამოქალაქო დავებთან შედარებით.

3.1. დავის კვალიფიკაცია, როგორც საოჯახო საქმისა

საოჯახო სამართლის რეგულირების საგანია ოჯახის წევრებს შორის წარმოშობილი პირადი და ქონებრივი ურთიერთობები. შესაბამისად, ოჯახი წარმოადგენს იმ პირთა ერთობლიობას, რომელთა შორისაც არსებული ურთიერთობები საოჯახო სამართლით რეგულირდება. საოჯახო სამართალი არეგულირებს ქორწინების, ნათესაობის, შვილად აყვანისა და ბავშვის აღსაზრდელად მიღების, მეურვეობისა და მზრუნველობის დაწესების საფუძველზე ოჯახის წევრებს შორის, აგრეთვე, ოჯახის წევრებსა და სხვა პირებს შორის წარმოშობილ პირად და ქონებრივ ურთიერთობებს.¹³

საოჯახო ურთიერთობები, როგორც აღინიშნა, დგას კერძო ხასიათის პირადი და ქონებრივი ურთიერთობების გვერდით. ამდენად, საოჯახო ურთიერთობები ნამდვილად წარმოადგენს კერძო ხასიათის პირად და ქონებრივ ურთიერთობებს. თუმცა, მხოლოდ აღნიშნული კრიტერიუმების გათვალისწინებით ცალსახად ვერ დგინდება საოჯახო სამართლის საგანი. დავის, როგორც საოჯახო საქმის კვალიფიკაციისათვის, მნიშვნელოვანია დადგინდეს, თუ რას წარმოადგენს ზოგადად საოჯახო ურთიერთობის საგანი და სად გადის ზღვარი საოჯახო ურთიერთობებსა და სამოქალაქო კოდექსით რეგულირებულ სხვა სამოქალაქო სამართლებრივ ურთიერთობებს შორის. მითუმეტეს, იმ პირობებში, როდესაც საოჯახო ურთიერთობა, ისევე როგორც სამოქალაქო სამართლით რეგულირებული სხვა სახის სამოქალაქო სამართლებრივი ურთიერთობანი უკავშირდება პირადი და ქონებრივი ინტერესების დაცვას და ამ ინტერესებიდან გამომდინარე სამოქალაქო უფლებათა და ვალდებულებათა რეალიზებას. პირთა წრეს, რომელთა შორისაც წარმოიშობა საოჯახო ურთიერთობები, მართალია, განსაზღვრულია და წარმოადგენს ის პირები, რომელთა ერთობა ქმნის ოჯახს და რომელთა შორისაც შეიძლება წარმოიშვას კერძო ხასიათის პირადი და ქონებრივი ურთიერთობები, მაგრამ ეს ცალსახად არ ნიშნავს იმას, რომ მათ შორის არ შეიძლება წარმოიშვას სხვა სახის ურთიერთობა. მაგალითად, ცოლსა და ქმარს შორის, რომლებიც იმყოფებიან რეგისტრირებულ ქორწინებაში და წარმოადგენენ მეუღლეებს, შესაძლოა არსებობდეს მათ შორის არსებული საოჯახო სამართლებრივი ურთიერთობისგან განსხვავებული, სულ სხვა

¹³ საოჯახო და მემკვიდრეობის სამართალი, ეკატერინე შენგელია, რომან შენგელია

სახის ურთიერთობა. ამდენად, მეუღლეთა შორის წარმოშობილი პირადი და ქონებრივი ურთიერთობა სავსებით შესაძლებელია, სულაც არ შედიოდეს საოჯახო სამართლის რეგულირების სფეროში. მაგალითად, ოჯახის წევრთა შორის თუ არსებობს სასესხო ან სხვა სახის ვალდებულებით-სამართლებრივი ურთიერთობა, ის დარეგულირდება სახელშეკრულებო სამართლის ნორმებით და არ მოექცევა საოჯახო სამართლის ნორმათა რეგულირების არეალში. ასე მაგალითად, შვილის ჯანმრთელობისათვის მიყენებული ზიანის ანაზღაურების საკითხი და მასთან დაკავშირებული ვალდებულების წარმოშობის საფუძვლები გამომდინარეობს დელიქტური სამართლიდან. ეს და სხვა მრავალი ურთიერთობა შეიძლება არ ექცეოდეს საოჯახო სამართლებრივ ურთიერთობათა რეგულირების ჩარჩოში, რაც განაპირობებს დავის კვალიფიკაციას, როგორც სხვა სახის სამოქალაქო სამართლებრივი დავისა და არა როგორც საოჯახო სამართლებრივი დავის კატეგორიისა. პირადი და ქონებრივი ურთიერთობები, რომელსაც საოჯახო სამართალი არეგულირებს, განსხვავებულია სამოქალაქო სამართლით რეგულირებული სხვა ურთიერთობებისაგან. „წმინდა სამოქალაქო ქონებრივი ურთიერთობები, ძირითადად, ეკონომიკურ-სამეურნეო მოთხოვნილებებზეა დაფუძნებული, ხოლო საოჯახო კი ფიზიკური მოთხოვნილებებისა და ზნეობრივი გრძნობების ერთობაზე. საოჯახო ურთიერთობები უმეტესად ისეთი უფლებების წარმოშობას ედება საფუძვლად, რომლებიც ოჯახის ერთი წევრის პირად დამოკიდებულებას განსაზღვრავს მეორის მიმართ. ამით ოჯახის წევრთა სტატუსის დადგენა ხდება მაშინ, როცა სხვა სახის ქონებრივი ურთიერთობები განსაზღვრულ ქონებასთან დამოკიდებულებით არის განპირობებული. ასეთი ქონებრივი უფლებების ოდენობა და ზღვარი შედარებით ადვილი დასადგენია, მაშინ, როცა, საოჯახო ურთიერთობებში ეს გამწვანებულია მათი უფრო მეტად ზნეობრივი, ვიდრე იურიდიული ხასიათის გამო”.¹⁴

არაერთხელ აღინიშნა, რომ საოჯახო ურთიერთობები ხასიათდება თავისებურებებით, რაც განაპირობებს საოჯახო სამართლის ცალკე სამართლებრივ ინსტიტუტად ჩამოყალიბებას. დავის, როგორც საოჯახო საქმის კვალიფიკაცია, სწორედ ამ თავისებურებებს უკავშირდება. საოჯახო ურთიერთობები უმეტეს წილად, გარდა გამონაკლისი შემთხვევებისა, წარმოიშობა მათი მონაწილე პირების ნების საწინააღმდეგოდ. ასე მაგალითად, მშობლისა და შვილის კავშირი არ არის დამოკიდებული მათ მიერ ნების გამოვლენაზე, მაშინ როდესაც მეუღლეები ქორწინებით ადასტურებენ მათ მიერ ოჯახის შექმნის ნებას. რაც შეეხება საოჯახო ურთიერთობათა შეწყვეტას, ისიც ძირითად შემთხვევებში ამ

¹⁴ საოჯახო და მემკვიდრეობის სამართალი, ეკატერინე შენგელია, რომან შენგელია

ურთიერთობების მონაწილეთა ნების საწინააღმდეგოა. საოჯახო ურთიერთობის კიდევ ერთი თავისებურება იმაში მდგომარეობს, რომ ამ ურთიერთობის მონაწილე პირი მოკლებულია შესაძლებლობას, თავისი საოჯახო უფლება გადასცეს სხვა პირს, უარი თქვას მისთვის მინიჭებულ საოჯახო უფლებებსა თუ მოვალეობებზე. საოჯახო უფლებები და მოვალეობები არ შეიძლება შემოიფარგლოს განსაზღვრული დროის მონაკვეთით, ამასთან, აღნიშნული უფლებებითა და მოვალეობებით სარგებლობა შეუძლიათ მხოლოდ ასეთად აღჭურვილ ფიზიკურ პირებს. საოჯახო ხასიათის ურთიერთობები უფრო მეტად აბსოლუტური ხასიათის მატარებელია, ვიდრე ნებისმიერი სხვა სახის პირადი და ქონებრივი ურთიერთობა, გარდა ამისა, საოჯახო სამართლით რეგულირებული ურთიერთობების მიმართ არსებობს მომეტებული საჯარო ინტერესი, რაც გამოკვეთს სამართლის ამ დარგის საჯარო ხასიათს სამოქალაქო სამართლის სხვა დარგებისაგან განხვავებით.

დავის, საოჯახო სამართლებრივ დავად დაკვალიფიცირებისათვის, მნიშვნელოვანია, რომ დავა ექცეოდეს საოჯახო სამართლებრივი ურთიერთობების მომწესრიგებელი ნორმების რეგულირების სფეროში. საოჯახო სამართლებრივი ურთიერთობები წარმოადგენს საოჯახო ურთიერთობებს, რომლებიც მოწესრიგებულია სამართლის ნორმებით. საოჯახო ურთიერთობიდან გამომდინარე ყველა დავის გადასაწყვეტად აუცილებელია მხარეთა შორის არსებული სამართლებრივი ურთიერთობა რეგულირდებოდეს საოჯახო სამართლებრივი ნორმებით და იმ შემთხვევაში, თუ დავის გადასაწყვეტად საოჯახო სამართლებრივი ურთიერთობის მარეგულირებელი ნორმები უნდა იქნეს გამოყენებული, რომლებიც განსაზღვრავენ საოჯახო ურთიერთობათა მონაწილე მხარეთა უფლებებსა და მოვალეობებს, მათი განხორციელების პირობებსა თუ საშუალებებს, აგრეთვე მხარეთა პასუხისმგებლობის საკითხებს და სხვ. დავა დაკვალიფიცირდება საოჯახო სამართლებრივ დავად. ამასთან, შესაძლებელია, მხარეთა შორის არსებობდეს საოჯახო ურთიერთობა, მაგრამ არ არსებობდეს საოჯახო სამართლებრივი ურთიერთობა. ამის მიუხედავად, შეიძლება დავა მაინც საოჯახო დავად დაკვალიფიცირდეს და შესაბამისად იგი გადაწყდეს საოჯახო სამართლებრივი ურთიერთობების მომწესრიგებელი კანონმდებლობით. მაგ. ქალისა და მამაკაცის ფაქტობრივი თანაცხოვრება, მათ მიერ საერთო შვილის აღზრდის საკითხებზე წარმოშობილი ურთიერთობა მიიჩნევა საოჯახო ურთიერთობად, თუმცა მათ შორის არ არსებობს საოჯახო სამართლებრივი ურთიერთობა. პრაქტიკაში ხშირია შემთხვევები, როდესაც არარეგისტრირებული ქორწინების დროს დაბადებული ბავშვის ერთ-ერთი მშობელი სარჩელით მიმართავს

სასამართლოს და ითხოვს მის სასარგებლოდ არასრულწლოვანის რჩენა-აღზრდისათვის ალიმენტის გადახდის დაკისრებას, არარეგისტრირებული ქორწინებისას დაბადებული არასრულწლოვანის საცხოვრებელი ადგილის ან/და მშობელთან ურთიერთობის წესის განსაზღვრას. ასეთი მოცემულობის დროს, თავისთავად ცხადია, მიუხედავად მხარეთა შორის არსებული არარეგისტრირებული ქორწინებისა, ურთიერთობები, მითუმეტეს მაშინ, როდესაც იგი არასრულწლოვანის უფლებებისა და საუკეთესო ინტერესების დაცვას ემსახურება დარეგულირდება საოჯახო სამართლებრივი ნორმებით და დავაც ასეთად დაკვალიფირდება.

საოჯახო სამართლებრივი ურთიერთობები, ისევე როგორც სხვა სახის სამოქალაქო სამართლებრივი ურთიერთობები, გარკვეულწილად, კავშირშია ზნეობრივ ნორმებთან, თუმცა აღნიშნული ზნეობრივი ნორმები დავის საოჯახოდ კვალიფიკაციაზე არსებით ზეგავლენას არ და ვერ მოახდენს. ამის მიუხედავად, ყოველ კონკრეტულ საოჯახო სამართლებრივ დავაზე გადაწყვეტილების გამოტანისას, სასამართლო ხელმძღვანელობს, როგორც საოჯახო სამართლის მატერიალური კანონმდებლობით, ასევე მოსამართლე ითვალისწინებს საოჯახო სამართალში დამკვიდრებულ ზნეობრივ პრინციპებს.

საოჯახო სამართლებრივი ურთიერთობები შეიძლება რამდენიმე ჯგუფად დაიყოს მათი წარმოშობის საფუძვლებისა და სუბიექტური შემადგენლობის გათვალისწინებით. 1) საქორწინო სამართლებრივი ურთიერთობის საფუძველი ქორწინებაა, ხოლო მისი სუბიექტები არიან მეუღლეები ან ყოფილი მეუღლეები; 2) მშობლიური ურთიერთობები, რომელიც მოიცავს მშობლებსა და შვილებს შორის არსებულ ურთიერთობებს; 3) შვილება, ბავშვის მინდობით აღზრდა, მეურვეობა და მზრუნველობა საფუძველია შვილად აყვანის და ბავშვებზე ზრუნვასთან დაკავშირებული სამართლებრივი ურთიერთობების, რომელთა სუბიექტები არიან მშვილებლები, ნაშვილებნი, დედობილ-მამობილი, შვილობილები. ასევე მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანოები და პირები, რომლებიც მოკლებულნი არიან მეურვეობასა და მზრუნველობას; 4) ოჯახის სხვა წევრებს შორის წარმოშობილი სამართლებრივი ურთიერთობები. აღნიშნული კლასიფიკაციის მეშვეობით ხორციელდება კონკრეტული საოჯახო სამართლებრივი ურთიერთობის გამოყოფა საერთო საოჯახო სამართლებრივი სივრციდან. შესაბამისად, მარტივია მხარეთა შორის წარმოშობილი დავის საგნის ზუსტად განსაზღვრა, რაც საბოლოოდ ამარტივებს საოჯახო სამართლებრივ დავათა კატეგორიისათვის მის მიკუთვნებას.

3.2. საოჯახო დავების სხვა კატეგორიის დავებთან განხილვის დაუშვებლობა

საკითხი იმის თაობაზე, უნდა შეიცავდეს თუ არა სამოქალაქო კოდექსი საოჯახო სამართალთან დაკავშირებულ საკანონმდებო რეგულაციებს მუდამ აქტუალურია. ჯერ კიდევ საბჭოთა კავშირის დროს საოჯახო ურთიერთობები ცალკე, საქორწინო და საოჯახო სამართლის კოდექსით რეგულირდებოდა. ფრანგული და გერმანული სამოქალაქო კოდექსების საფუძველზე შექმნილ სამოქალაქო კოდექსებში საოჯახო სამართალიც შევიდა, ვინაიდან სწორედ რომ სამოქალაქო ურთიერთობათა ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს ნაწილს სწორედ საოჯახო ურთიერთობები წარმოადგენს. „ამიტომაც არ იყო შემთხვევითი, რომ ფრანგულ სამოქალაქო კოდექსში პირველი წიგნი სწორედ საოჯახო სამართალს ეძღვნება. ასე იყო ეს იუსტინიანეს ინსტიტუციებში. რაც შეეხება პანდექტურ სისტემას, რომელიც საფუძველად დაედო გერმანულ სამოქალაქო კოდექსს, მასში საოჯახო სამართალი ერთ-ერთ დასკვნით, რიგით მეოთხე წიგნად შევიდა. ქართული სამოქალაქო კოდექსი პანდექტური სამართლის სისტემის მიხედვით შეიქმნა და საოჯახო სამართალი მასში მეხუთე წიგნად შევიდა“.¹⁵

სამოქალაქო კოდექსში საოჯახო სამართლებრივი ნორმების შეტანამ საოჯახო სამართალს „წართვა სამართლის დამოუკიდებელ დარგად არსებობის უფლება და სამოქალაქო სამართლის ქვედარგად გადააქცია“.¹⁶

ამდენად, საოჯახო სამართლებრივი ურთიერთობების სამართლებრივი რეგულირების თავისებურებები, ამ ურთიერთობათა ანალიზი ცხადყოფს, რომ საოჯახო სამართალი სამოქალაქო ურთიერთობათა ნაირსახეობას წარმოადგენს და ის როგორც სამართლის დამოუკიდებელი დარგი გამოყოფილი არ არის. ამის მიუხედავად, საოჯახო სამართალი მაინც ითვლება სამოქალაქო სამართლის დამოუკიდებელ ინსტიტუტად, ვინაიდან, იგი განსაზღვრული ხასიათის სპეციფიკით გამოირჩევა, რაც სამართლებრივი რეგულირების პროცესში ვლინდება. მართალია, საოჯახო სამართალი ექცევა

¹⁵ საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი მეხუთე, წინათქმა, ლ. ჭანტურია <https://www.scribd.com/doc/239904668/%E1%83%A1%E1%83%90%E1%83%A5%E1%83%90%E1%83%A0%E1%83%97%E1%83%95%E1%83%94%E1%83%9A%E1%83%9D%E1%83%A1-%E1%83%A1%E1%83%90%E1%83%9B%E1%83%9D%E1%83%A5%E1%83%90%E1%83%9A%E1%83%90%E1%83%A5%E1%83%9D-%E1%83%99%E1%83%9D%E1%83%93%E1%83%94%E1%83%A5%E1%83%A1%E1%83%98%E1%83%A1-%E1%83%99%E1%83%9D%E1%83%9B%E1%83%94%E1%83%9C%E1%83%A2%E1%83%90%E1%83%A0%E1%83%98-%E1%83%AC%E1%83%98%E1%83%92%E1%83%9C%E1%83%98-v-%E1%83%A1%E1%83%90%E1%83%9D%E1%83%AE%E1%83%90%E1%83%AF%E1%83%9D-%E1%83%93%E1%83%90-%E1%83%9B%E1%83%94%E1%83%9B%E1%83%99%E1%83%95%E1%83%98%E1%83%93%E1%83%A0%E1%83%94%E1%83%9D%E1%83%91%E1%83%98%E1%83%97%E1%83%98-%E1%83%A1%E1%83%90%E1%83%9B%E1%83%90%E1%83%A0%E1%83%97%E1%83%90%E1%83%9A%E1%83%98-2000?fbclid=IwAR0EbVVC0-sthzutbrstkwmHw1pcxz34CdWgxiKRnH6sNsRYcXsbo0TkisQ>

¹⁶ შ. ჩიკვაშვილი, საოჯახო სამართალი, თბილისი, 2004, გვ. 18

სამოქალაქო სამართლის რეგულირების სფეროში და საოჯახო სამართლისა და სამართლის ყველა სხვა ინსტიტუტის რეგულირების მეთოდები საერთოა, მაგრამ საოჯახო სამართლებრივი დავები ყოველთვის განიხილება სამოქალაქო სამართლებრივი დავების სხვა კატეგორიებისაგან დამოუკიდებლად. საოჯახო დავების სხვა კატეგორიის დავებისაგან დამოუკიდებლად განხილვის პრინციპი განმტკიცებულია საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსში. კერძოდ, საოჯახო-სამართლებრივი ურთიერთობებიდან წარმოშობილი საქმეები არ შეიძლება განიხილებოდეს სხვა ხასიათის მოთხოვნების შესახებ აღძრულ საქმეებთან ერთად.¹⁷ სარჩელის აღძვრის დროს, მოსარჩელეს შეუძლია ერთ სარჩელში გააერთიანოს ამ სასამართლოს განსჯადი რამდენიმე მოთხოვნა ერთი და იმავე მოპასუხის მიმართ, იმისგან დამოუკიდებლად, ერთსა და იმავე საფუძვლებს ემყარება ეს მოთხოვნები თუ - არა.¹⁸ საოჯახო სამართლებრივი ურთიერთობებიდან წარმოშობილი დავების დროსაც ასეთი გაერთიანება, შეერთება რამდენიმე მოთხოვნისა, დასაშვებია, მაგრამ მხოლოდ ერთი პირობით - თუ ეს მოთხოვნები საოჯახო სამართლებრივი ურთიერთობიდან წარმოიშობა. მაგალითად, განქორწინების საქმის გადაწყვეტასთან ერთად, მეუღლებს შეუძლიათ მოითხოვონ ქონების გაყოფაც. რადგან ორივე ეს მოთხოვნა წესრიგდება საოჯახო სამართლით, სასამართლომ უნდა განიხილოს ეს მოთხოვნები. მაგრამ განქორწინების საქმესთან ერთად არ შეიძლება განხილულ იქნეს, სესხის, ქირავნობის, ზიანის მიყენების და ა.შ. წარმოშობილი ურთიერთობების საფუძველზე აღძრული საქმეები, რადგან ასეთი კატეგორიის საქმეები არ განეკუთვნება საოჯახო-სამართლებრივი ურთიერთობებიდან წარმოშობილ საქმეთა კატეგორიას.¹⁹

საოჯახო სამართლებრივი ურთიერთობებიდან წარმოშობილი დავები უნიკალურ ხასიათს ატარებენ, აქედან გამომდინარე, აღნიშნულ დავათა

¹⁷ საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსი, 354-ე მუხლის მე-2 ნაწილი

¹⁸ საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსი, 182-ე მუხლის 1-ლი ნაწილი

¹⁹ https://www.scribd.com/doc/239905029/%E1%83%A1%E1%83%90%E1%83%A5%E1%83%90%E1%83%A0%E1%83%97%E1%83%95%E1%83%94%E1%83%9A%E1%83%9D%E1%83%A1%E1%83%A1%E1%83%90%E1%83%9B%E1%83%9D%E1%83%A5%E1%83%90%E1%83%9A%E1%83%90%E1%83%A5%E1%83%9D-%E1%83%A1%E1%83%90%E1%83%9E%E1%83%A0%E1%83%9D%E1%83%AA%E1%83%94%E1%83%A1%E1%83%99%E1%83%9D%E1%83%93%E1%83%94%E1%83%A5%E1%83%A1%E1%83%98%E1%83%A1%E1%83%99%E1%83%9D%E1%83%9B%E1%83%94%E1%83%9C%E1%83%A2%E1%83%90%E1%83%A0%E1%83%94%E1%83%91%E1%83%98-%E1%83%95-%E1%83%AE%E1%83%A0%E1%83%A3%E1%83%A1%E1%83%A2%E1%83%90%E1%83%9A%E1%83%98-%E1%83%97-%E1%83%9A%E1%83%98%E1%83%9A%E1%83%A3%E1%83%90%E1%83%A8%E1%83%95%E1%83%98%E1%83%9A%E1%83%98-2007-%E1%83%AC%E1%83%94%E1%83%9A%E1%83%98?fbclid=IwAR3Ea9tf_Nx6oWLhf6giniFQLRJaCVOha1trRCIRD7lrwowTWoWShxiVMjs

სპეციფიკურ სუბიექტთა წრე განსაზღვრულია და მათ წარმოადგენენ: მეუღლეები, მშობლები, შვილები, მეურვეები, მზრუნველები, და-ძმები და სხვ. დავები, რომლებიც წარმოიშობა ხსენებულ სუბიექტთა შორის და რომელთა დავის საგანი გამომდინარეობს საოჯახო სამართლებრივი ურთიერთობებიდან დაკვალიფიცირდება საოჯახო სამართლებრივ დავად და იგი განიხილება ყველა სხვა სამოქალაქო სამართლებრივი დავისგან დამოუკიდებლად, რაც წარმოადგენს სამოქალაქო საპროცესო სამართალში დამკვიდრებულ, საოჯახო დავათა სხვა კატეგორიის დავებისაგან დამოუკიდებლად განხილვის პრინციპს.

4. „ბავშვის უფლებათა შესახებ კონვენცია” - არასრულწლოვანის საუკეთესო ინტერესების დაცვის ფუნდამენტური სტანდარტი

ბავშვთა უფლებები როგორც საერთაშორისო, ასევე ყოველი კონკრეტული სახელმწიფოს შიდა კანონმდებლობის ნაწილია და მათი დაცვის ვალდებულება თითოეულ სახელმწიფოს ეკისრება. ბავშვთა უფლებებზე საუბრისას, უმნიშვნელოვანესია, ხაზი გაესვას იმ საერთაშორისო და შიდასახელმწიფოებრივ დოკუმენტებს, რომლების სრულად ასახავს მათ უფლებათა რეალიზაციის პროცესსა და საშუალებებს.

მეორე მსოფლიო ომის დასრულების შემდეგ, 1945 წელს შეიქმნა გაერთიანებული ერების ორგანიზაცია, რომლის სახელიც ადამიანის უფლებების ისტორიაში ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს დოკუმენტს უკავშირდება. გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ჩამოყალიბებისას, მის წესდებაში ასახული მიზნებიდან და პრინციპებიდან ერთ-ერთს წარმოადგენდა ეკონომიკური, კულტურული, სოციალური და ჰუმანიტარული პრობლემების გადაწყვეტაში საერთაშორისო თანამშრომლობის აუცილებლობა და ადამიანის უფლებებისა და ძირითადი თავისუფლებისადმი პატივისცემის ხელშეწყობა და განვითარება. წესდებაში ამ მიზნის ასახვა იყო რეაქცია ადამიანის უფლებათა მასობრივ და უხეშ დარღვევებზე, რომელთაც ადგილი ჰქონდა მეორე მსოფლიო ომის წინარე პერიოდსა და მიმდინარეობისას.²⁰

1989 წლის 20 ნოემბერს გაეროს ეგიდით, გენერალური ასამბლეის მიერ მიღებულ იქნა ისეთი მნიშვნელოვანი აქტი, როგორცაა „კონვენცია ბავშვის უფლებების შესახებ”. აღნიშნულმა კონვენციამ შეცვალა ბავშვების აღქმაც და მათდამი დამოკიდებულებაც - ბავშვები არიან განსაკუთრებული უფლებების მქონე ადამიანები და არა ქველმოქმედების მხოლოდ პასიური ობიექტები. კონვენცია აღიარებს, რომ ბავშვებს განსაკუთრებული ზრუნვა და დაცვა სჭირდებათ. ბავშვის უფლებათა კონვენცია საერთაშორისო დონეზე ბავშვის უფლებების პირველი კრებულია და სავალდებულოა, ეს უფლებები თითოეული ბავშვისთვის იყოს გარანტირებული. თითქმის ყველა ქვეყანამ მიიღო ეს კონვენცია: ადამიანის უფლებებთან დაკავშირებულ შეთანხმებათა შორის ბავშვის უფლებათა კონვენცია ისტორიაში ყველაზე მეტი ქვეყნის მიერ არის რატიფიცირებული. კონვენცია 54 მუხლისაგან შედგება და ის აყალიბებს ბავშვთა კეთილდღეობის მინიმალურ სტანდარტებს მათი განვითარების თითოეული ეტაპისათვის. ეს დოკუმენტი 18 წლამდე ყველა ადამიანს ეხება

²⁰ <https://www.civiceducation.ge/ka/lessons/1-15>

(ბავშვის განსაზღვრების მიხედვით) გენდერის, წარმომავლობის, რელიგიის, შეზღუდული შესაძლებლობების მიუხედავად.²¹

„ბავშვთა უფლებების შესახებ კონვენციას“ საქართველო 1994 წლიდან მიუერთდა. 2000 წელს გაეროს გენერალურმა ასამბლეამ მიიღო ბავშვის უფლებათა კონვენციის ორი ფაკულტატური ოქმი, „ფაკულტატური ოქმი შეიარაღებულ კონფლიქტში ბავშვთა მონაწილეობის შესახებ“ და „ფაკულტატური ოქმი ბავშვებით ვაჭრობის, ბავშვთა პროსტიტუციისა და ბავშვთა პორნოგრაფიის შესახებ“, რომელთა მიზანია ბავშვთა დაცვის გაუმჯობესება შეიარაღებული კონფლიქტებისა და სექსუალური ძალადობისაგან. რაც შეეხება 2014 წელს მიღებულ მესამე ფაკულტატურ ოქმს - „ფაკულტატური ოქმი შეტყობინების პროცედურების შესახებ“, აღნიშნული ოქმი ბავშვებს საშუალებას აძლევს მათი უფლებების დარღვევის შემთხვევები პირდაპირ ბავშვის უფლებათა დაცვის კომიტეტს შეატყობინონ, რომელიც თავის მხრივ მეთვალყურეობას უწევს კონვენციის შესრულებას. გამომდინარე იქიდან, რომ საქართველო სამივე ფაკულტატური ოქმის ხელმომწერია, იგი ვალდებულია დაიცვას სამივე ოქმით გათვალისწინებული და დაცული ბავშვთა უფლებები.

„კონვენციასთან შესაბამისობაში საქართველოს კანონმდებლობის მოყვანის პროცესი დღესაც აქტუარულია. ის გამოწვევები, რომლის წინაშეც დღეს საქართველო დგას, შესაბამის გამოწვევებს განაპირობებს საქართველოს კანონმდებლობისა და სასამართლო პრაქტიკის მიმართ. ამ გამოწვევათაგან ერთერთს არასრულწლოვანის უფლებათა დაცვის სფეროში საქართველოს კანონმდებლობის ევროკავშირის მიერ აღიარებულ საერთაშორისო და შესაბამისად ევროპულ სტანდარტებთან ჰარმონიზაცია წარმოადგენს“.²²

კონვენციის ხელშემკვრელი მხარები ერთხმად აღიარებენ, გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაციაში განმტკიცებულ ბავშვთა განსაკუთრებული ზრუნვისა და დახმარების უფლებას. ოჯახი წარმოადგენს საზოგადოების ძირითად უჯრედს და იგი სწორედ ამ საზოგადოების წინაშეა ვალდებული სახელმწიფოს აღზარდოს ამ ოჯახის განსაკუთრებული წევრი - ბავშვი და იზრუნოს მის აღზრდაზე, განვითარებაზე, კეთილდღეობაზე და სრულყოფაზე. ოჯახია ის ძირითადი ბირთვი, რომელიც ვალდებულია ხელი

²¹<https://www.unicef.org/georgia/ka/%E1%83%91%E1%83%90%E1%83%95%E1%83%A8%E1%83%95%E1%83%98%E1%83%A1-%E1%83%A3%E1%83%A4%E1%83%9A%E1%83%94%E1%83%91%E1%83%90%E1%83%97%E1%83%90-%E1%83%99%E1%83%9D%E1%83%9C%E1%83%95%E1%83%94%E1%83%9C%E1%83%AA%E1%83%98%E1%83%90>

²² „არასრულწლოვანთა უფლებების ჰარმონიზაცია ევროპულ სტანდარტებთან: საქართველოს სამოქალაქო კოდექსის სრულყოფის პერსპექტივები“, I. არასრულწლოვანთა უფლებების ევროპული სტანდარტის მთავარი სამართლებრივი წყარო - ეკა ზარნაძე

შეუწყოს ბავშვის საზოგადოების სრულფასოვანი წევრად ჩამოყალიბებას. ბავშვი უნდა იზრდებოდეს ოჯახურ გარემოცვაში, ბედნიერების, სიყვარულის, გაგების ატმოსფეროში, რათა მისი პიროვნება სრულად და ჰარმონიულად განვითარდეს. ბავშვი უნდა მოემზადოს დამოუკიდებელი ცხოვრებისათვის საზოგადოებაში და იგი უნდა აღიზარდოს მშვიდობის, ღირსების, შემწყნარებლობის, თავისუფლების და სოლიდარობის სულისკვეთებით გაჯერებულ იდეალებზე. ადამიანის უფლებათა დეკლარაციაში აღნიშნულია, რომ „ბავშვი, მისი ფიზიკური და გონებრივი სიმწიფის გამო საჭიროებს სპეციალურ დაცვას და ზრუნვას, მათ შორის სათანადო სამართლებრივ დაცვას, როგორც დაბადებამდე, ისე დაბადების შემდეგ”.²³

„ბავშვის განსაკუთრებული დაცვის აუცილებლობა გათვალისწინებულია ბავშვის ჟენევის 1924 წლის დეკლარაციით და გენერალური ასამბლეის მიერ 1959 წლის 20 ნოემბერს მიღებული ბავშვის უფლებათა დეკლარაციით და აღიარებულია ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაციით, სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების შესახებ საერთაშორისო პაქტით (კერძოდ, 23 და 24 მუხლებით), ეკონომიკური, სოციალური და კულტურული უფლებების შესახებ საერთაშორისო პაქტით (კერძოდ, 10 მუხლით), აგრეთვე იმ სპეციალიზებული დაწესებულებების და საერთაშორისო ორგანიზაციების წესდებითა და შესაბამისი დოკუმენტებით, რომლებიც ბავშვთა კეთილდღეობის საკითხებზე მუშაობენ”.²⁴ „ბავშვთა უფლებების შესახებ კონვენციის” მონაწილე სახელმწიფოებმა კონვენციის მიღებისას გაითვალისწინეს არა მხოლოდ წინამდებარე, არამედ, სოციალური და სამართლებრივი პრინციპების შესახებ დეკლარაციის დებულებებიც, რომლებიც თავის მხრივ, ეხება ბავშვთა დაცვასა და კეთილდღეობის უზრუნველყოფას, ითვალისწინებს ბავშვების აღსაზრდელად გადაცემისას და ბავშვთა შვილად აყვანის დროს ეროვნულ და საერთაშორისო დონეებზე, ე.წ. „პეგინის წესებს”, რომელიც წარმოადგენს არასრულწლოვანთა მიმართ მართლმსაჯულების აღსრულებასთან დაკავშირებულ იმ მინიმალურ სტანდარტებსა და წესებს, რომლებსაც გაერთიანებული ერების ორგანიზაცია უჭერს მხარს.

„ბავშვთა უფლებების შესახებ კონვენციის” ხელშემკვრელი სახელმწიფოები საბოლოოდ ხაზს უსვავენ ყველა ხალხის ტრადიციებისა და კულტურული ღირებულებების მნიშვნელობას ბავშვის დაცვისა და ჰარმონიული განვითარებისათვის, განვითარებად ქვეყნებში ბავშვთა ცხოვრების პირობების გაუმჯობესებისათვის თითოეული ქვეყნის

²³ „კონვენცია ბავშვის უფლებების შესახებ”, პრეამბულა
<https://matsne.gov.ge/ka/document/view/1399901?publication=0>

²⁴ „კონვენცია ბავშვის უფლებების შესახებ”, პრეამბულა
<https://matsne.gov.ge/ka/document/view/1399901?publication=0>

საერთაშორისო თანამშრომლობის მნიშვნელობას და აღნიშნული კონვენციის მიღებით საერთაშორისო დონეზე ადასტურებენ კონვენციის უმნიშვნელოვანეს როლს ბავშვთა უფლებების დაცვის სფეროში, რის საფუძველზეც საფუძვლიანად მიიჩნევა მსოფლიოსათვის „ბავშვთა უფლებების შესახებ კონვენცია“ არასრულწლოვანის საუკეთესო ინტერესების დაცვის ფუნდამენტურ სტანდარტად.

4.1. ბავშვის უფლებათა კონვენციის ოთხი ქოლგა პრინციპი

გაეროს ბავშვის უფლებების კომიტეტის მიერ ზოგად პრინციპებად აღიარებული „ბავშვის უფლებების შესახებ კონვენციით“ განმტკიცებული პრინციპები: დისკრიმინაციის აკრძალვა, ბავშვის ჭეშმარიტი უფლებების პატივისცემის უფლება, სიცოცხლისა და განვითარების უფლება, ბავშვის აზრის პატივისცემის უფლება, უზრუნველყოფენ ბავშვის უფლებათა რეალიზებას და მათ არსებითი მნიშვნელობა აქვთ კონვენციით გათვალისწინებული სხვა მნიშვნელოვანი პრინციპების დაცვის თვალსაზრისით. ჩამოთვლილი პრინციპები მოიცავენ კონვენციით განმტკიცებულ ყველა სხვა პრინციპს, ამდენად, მათ „ქოლგა დებულებებად“ ან/და „ბავშვის უფლებათა კონვენციის ოთხ „ქოლგა პრინციპად“ მოიხსენიებენ. „ბავშვის უფლებათა შესახებ კონვენციის“ დებულებათა მოზიარე სახელმწიფოები ვალდებული არიან იმგვარად მოაწესრიგონ თავიანთი ქვეყნის ეროვნული კანონმდებლობა, რომ ხელი შეუწყონ „ქოლგა დებულებათა“ და სხვა პრინციპთა იდეოლოგიის იმპლემენტაციას.

„ბავშვის უფლებათა შესახებ კონვენციის“ მე-2 მუხლი ბავშვთა მიმართ დისკრიმინაციის აკრძალვას ეხება. კონვენციის ხელმომწერი სახელმწიფოები სათანადოდ ითვალისწინებენ ყველა ხალხის ტრადიციებსა და კულტურული ღირებულებების მნიშვნელობას ბავშვის დაცვისა და ჰარმონიული განვითარებისათვის²⁵. ამდენად, მონაწილე სახელმწიფოები პატივს სცემენ და თავიანთი იურისდიქციის ფარგლებში უზრუნველყოფენ ყველა იმ ბავშვის იმ უფლებათა დაცვას, რომელიც გათვალისწინებულია კონვენციით. კონვენცია ცალსახად უარყოფს და გმობს ბავშვთა მიმართ ყველა სახის დისკრიმინაციას, რასის, კანის ფერის, სქესის, ენის, რელიგიის, პოლიტიკური და სხვა შეხედულებების, ეროვნული, ეთნიკური ან სოციალური მდგომარეობისა და დაბადების, მისი მშობლების ან კანონიერი მეურვეების ანდა რაიმე სხვა გარემოებების მიუხედავად. კონვენციის მონაწილე სახელმწიფოები ორიენტირებული არიან ბავშვთა დაცვის უზრუნველყოფისაკენ, კერძოდ ისინი ხმარობენ რა ყველა ზომას ბავშვთა უფლებების და საუკეთესო

²⁵ „კონვენცია ბავშვის უფლებების შესახებ“ (1989 წლის 20 ნოემბერი)
<https://matsne.gov.ge/ka/document/view/1399901?publication=0>

ინტერესების დასაცავად, უზრუნველყოფენ ყოველგვარი დისკრიმინაციის ფორმის გამოვლენას, აღმოფხვრას და საჭირო ზომების მიღებას, რომელიც, თავის მხრივ, შეიძლება მომდინარეობდეს ბავშვის, ბავშვის მშობლების, კანონიერი მეურვეების ან ოჯახის სხვა წევრთა სტატუსის, საქმიანობის, გამოთქმული შეხედულებებისა ან მრწამსის საფუძვლებიდან.

„ბავშვის უფლებათა შესახებ კონვენციის“ მეორე და უმნიშვნელოვანესი „ქოლგა დებულება“ ამავე კონვენციის მე-3 მუხლით განმტკიცებული ბავშვის ჭეშმარიტი ინტერესების პატივისცემის უფლებაა. ბავშვის ჭეშმარიტი ინტერესების პატივისცემის უფლება მოიაზრებს ბავშვის საუკეთესო ინტერესების უზრუნველყოფას, არასრულწლოვანის ამ უფლებათა პატივისცემას და ზრუნვას მათ რეალიზებაზე. ბავშვების მიმართ ყველა მოქმედებაში იმის მიუხედავად, მიმართავენ მას სოციალური უზრუნველყოფის საკითხებზე მომუშავე სახელმწიფო თუ კერძო დაწესებულებები, სასამართლოები, ადმინისტრაციული თუ საკანონმდებლო ორგანოები, უპირველესი ყურადღება სწორედ ბავშვის საუკეთესო ინტერესების უზრუნველყოფას ეთმობა.²⁶ კონვენციის მონაწილე თითოეული სახელმწიფო და ამ სახელმწიფოთა შემადგენელი საკანონმდებლო, აღმასრულებელი და სასამართლო ხელისუფლება აქტიურად უნდა იყოს ჩართული ეროვნულ და საერთაშორისო დონეზე ბავშვთა უფლებების დასაცავად გარკვეული ნაბიჯების გადადგმისათვის და თითოეული მათგანი ვალდებულია, ბავშვი მისი კეთილდღეობისათვის აუცილებელი დაცვითა და ზრუნვით უზრუნველყოს. გარდა ამისა, სახელმწიფო მუდმივად უნდა კისრულობდეს არასრულწლოვანთა მშობლების, მეურვეების ან კანონით ბავშვთა ზრუნვაზე და განვითარებაზე პასუხისმგებელი ნებისმიერი სხვა პირის უფლებებისა და მოვალეობების დაცვის ვალდებულებას. სახელმწიფოებმა უნდა მიიღონ ყველა შესაბამისი საკანონმდებლო თუ ადმინისტრაციული ზომა, რათა ჭეშმარიტად იქნას აღსრულებული კონვენციით დაცული ბავშვის ჭეშმარიტი უფლებების პატივისცემის იდეა. კონვენციით ასევე განსაზღვრულია მონაწილე სახელმწიფოთა მიერ ბავშვთა ზრუნვისათვის სახელმწიფოში არსებულ კომპეტენტურ ორგანოთა შესაბამისობა, არასრულწლოვანთა დაცვის მიზნით განხორციელებული ზედამხედველობისას მათ მიერვე დადგენილ ნორმებთან. კონვენციის მესამე მუხლი ადგენს: მონაწილე სახელმწიფოები უზრუნველყოფენ, რომ ბავშვებზე ზრუნვისათვის ან მათი დაცვისათვის პასუხისმგებელი დაწესებულებები, სამსახურები და ორგანოები შეესაბამებოდნენ კომპეტენტური ორგანოების

²⁶ „კონვენცია ბავშვის უფლებების შესახებ“ (1989 წლის 20 ნოემბერი), მე-3 მუხლის 1-ლი ნაწილი

<https://matsne.gov.ge/ka/document/view/1399901?publication=0>

მიერ დადგენილ ნორმებს. კერძოდ, უსაფრთხოების და ჯანმრთელობის დაცვის სფეროში და მათი პერსონალის რიცხვისა და ვარგისიანობის, აგრეთვე კომპეტენტური ზედამხედველობის თვალსაზრისით.²⁷

2013 წლის 29 მაისს გამოქვეყნებულ (CRC/C/GC/14) ბავშვთა უფლებების შესახებ №14 ზოგად კომენტარში აღნიშნულია, რომ ბავშვთა ინტერესები პრიორიტეტულად უნდა იყოს მიღებული მხედველობაში. კომიტეტმა აღნიშნა, რომ ბავშვთა უფლებების დაცვა სამმაგი კონცეფციაა. პირველი და არსებითია, ბავშვის უფლება, შეფასდეს მისი ინტერესები, რათა განიხილებოდეს, როგორც მთავარი საზრუნავი სხვა ინტერესებთან უპირატესობაში, აღნიშნული იძლევა ამ უფლების იმპლემენტაციის გარანტიას და სწორი გადაწყვეტილების მიღწევის ვარაუდს, მითუმეტეს მაშინ, როდესაც გადაწყვეტილება უნდა შეეხოს ბავშვის, ბავშვთა განსაზღვრული ან განუსაზღვრელი ჯგუფის ან ზოგადად ბავშვებთან დაკავშირებულ საკითხებს, მათი ინტერესების დაცვას. მეორე უმნიშვნელოვანესი კონცეფცია არის ფუნდამენტური, განმარტებითი სამართლებრივი პრინციპი: თუ სამართლებრივი დებულება იძლევა ერთზე მეტი ინტერპრეტაციის საშუალებას, უნდა იქნეს გამოყენებული განმარტება, რომელიც უკეთ იცავს ბავშვის ინტერესებს.²⁸ ამასთან, ბავშვებთან დაკავშირებული გადაწყვეტილების მიღებისას გასათვალისწინებელია ე.წ. „პროცედურული წესი“: სახელმწიფოებმა უნდა განმარტონ, თუ რა ფორმით გაითვალისწინეს ბავშვთა უფლებები და კონკრეტულად რა საკითხები მიიღეს მხედველობაში ბავშვთა ინტერესების გასათვალისწინებლად. მნიშვნელოვანია პროცესის სტანდარტულობასა თუ ინდივიდუალურობაზე მითითება, აგრეთვე, ყველა ის კრიტერიუმი, რომელთა დაყრდნობითაც გათვალისწინებულ იქნა და შეფასდა ბავშვის ინტერესები სხვა არგუმენტების წინააღმდეგ.

ბავშვის ინტერესთა კონცეფცია კომპლექსურია და მისი შემადგენელი ნაწილები უნდა განისაზღვროს თითოეული შემთხვევის გათვალისწინებით. მე-3 მუხლის პირველი პარაგრაფის ინტერპრეტაცია და იმპლემენტაცია კონცეფციის სხვა დებულებებთან ერთად აძლევს საშუალებას კანონმდებელს, მოსამართლეს, ადმინისტრაციულ, სოციალურ და საგანმანათლებლო ორგანოს გაერკვნენ კონცეფციაში და მიიღონ მისგან კონკრეტული სარგებელი. შესაბამისად, ბავშვის ინტერესთა დაცვის

²⁷ „კონვენცია ბავშვთა უფლებების შესახებ“ (1989 წლის 20 ნოემბერი), მე-3 მუხლის მე-3 ნაწილი

<https://matsne.gov.ge/ka/document/view/1399901?publication=0>

²⁸ ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს მეოთხე სექციის გადაწყვეტილება საქმეზე „გ.ს. საქართველოს წინააღმდეგ“, საჩივარი №2361/13, 2015 წლის 21 ივლისი

<https://matsne.gov.ge/ka/document/view/3276261?publication=0>

კონცეფცია მოქნილი და ადაპტირებადია. მისი მორგება და განსაზღვრა ხდება ინდივიდუალურად, სიტუაციის სფეროფიკიდან გამომდინარე, ბავშვის ან ბავშვების კონკრეტული პერსონალური სტატუსის სიტუაციის ან საჭიროების მიხედვით. ინდივიდუალური გადაწყვეტილების მიღებისას ბავშვის ინტერესები დაცული უნდა იყოს ბავშვის კონკრეტული გარემოებების ფონზე.²⁹

რაც შეეხება „ბავშვთა უფლებების შესახებ კონვენციის“ თანახმად დადგენილ მესამე „ქოლგა პრინციპს“, წარმოადგენს კონვენციის მე-6 მუხლის დაცვის სფეროში მოქცეული ბავშვის სიცოცხლისა და განვითარების უფლება. კონვენციის მონაწილე სახელმწიფოები ერთხმად აღიარებენ ყოველი ბავშვის სიცოცხლის ხელშეუვალ უფლებას და ისინი ხმარობენ მათ ხელთ არსებულ, მაქსიმალურად ყველა ღონეს, რაც ბავშვის გადარჩენისა და მისი ჯანმრთელობის განვითარების საწინდარია.

„ბავშვთა უფლებების შესახებ კონვენციის“ ქოლგა დებულებებზე საუბრისას, აუცილებლად, ყურადღება უნდა გავამახვილოთ ამავე კონვენციის მე-12 მუხლზე, რომელიც ბავშვთა აზრის პატივისცემაზე მიგვითითებს. თითოეული ბავშვი, ისევე როგორც ყოველი ზრდასრული ადამიანი, ალჭურვილია უნართ გააჩნდეს და ჩამოაყალიბოს საკუთარი შეხედულებები. თუმცა, ბავშვთა ამ უფლების რეალიზება სახელმწიფოთა მხრიდან მხარდაჭერას და დაცვას საჭიროებს. არასრულწლოვნებს თავისუფლად უნდა მიეცეთ შესაძლებლობა გამოიყენონ მათთვის მინიჭებული ზემოხსენებული უფლება და გამოხატონ თავიანთი შეხედულებები მათთვის საინტერესო და მნიშვნელოვან ნებისმიერ საკითხთან დაკავშირებით. სახელმწიფო და ყოველი ადამიანი ვალდებულია სათანადო ყურადღება მიაქციოს ბავშვის მიერ გამოხატულ შეხედულებებს, რა თქმა უნდა, მათი ასაკისა და მოწიფულობის შესაბამისად. ამ მიზნით ბავშვს, კერძოდ, ეძლევა შესაძლებლობა მოსმენილი იქნეს ბავშვთან დაკავშირებული ნებისმიერი, ან წარმომადგენლის ან შესაბამისი ორგანოს მეშვეობით იმ წესით, რომელიც გათვალისწინებულია ეროვნული კანონმდებლობის პროცესუალური ნორმებით.³⁰

„ბავშვის უფლებათა კონვენციის“ ოთხი ქოლგა პრინციპის დაცვა მნიშვნელოვანწილად უკავშირდება კონვენციით გათვალისწინებულ სხვა

²⁹ ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს მეოთხე სექციის გადაწყვეტილება საქმეზე „გ.ს. საქართველოს წინააღმდეგ“, საჩივარი №2361/13, 2015 წლის 21 ივლისი <https://matsne.gov.ge/ka/document/view/3276261?publication=0>

³⁰ „კონვენცია ბავშვთა უფლებების შესახებ“ (1989 წლის 20 ნოემბერი), მე-12 მუხლის მე-2 ნაწილი <https://matsne.gov.ge/ka/document/view/1399901?publication=0>

უფლებათა რეალიზების პროცესს. ნებისმიერი საკითხის გადაწყვეტისას, რომელიც პირდაპირ კავშირშია ბავშვთა უფლებებთან და მათ საუკეთესო ინტერესებთან, მხედველობაში უნდა იქნას მიღებული კონვენციით დაცულ უფლებასა და სხვა ადამიანის უფლებათა საერთაშორისო ხელშეკრულებით დაცულ უფლებას შორის ყველა შესაძლო კონფლიქტი. მოცემულ შემთხვევაში, გამოსავალი უნდა ვეძიოთ ბავშვის ინტერესთა იდენტიფიცირების გათვალისწინებით.

4.2. ბავშვის მიერ აზრის გამოხატვის უფლება და იყოს მოსმენილი - „ბავშვის უფლებების შესახებ კონვენციის“ მე-12 მუხლი

„ბავშვის საუკეთესო ინტერესები არის მთავარი საზრუნავი ნებისმიერი გადაწყვეტილების მიღების შემთხვევაში, რომელიც ბავშვებს უკავშირდება“.³¹ ბავშვის მიერ აზრის გამოხატვის უფლება და მისი უფლება იყოს მოსმენილი, სწორედ ბავშვის საუკეთესო ინტერესების დაცვის წინაპირობას წარმოადგენს. „ბავშვთა უფლებების შესახებ კონვენციის“ მე-12 მუხლით დადგენილია, რომ მონაწილე სახელმწიფოები უზრუნველყოფენ საკუთარი შეხედულებების მქონე ბავშვის უფლებას, თავისუფლად გამოთქვას თავისი შეხედულებები ნებისმიერ საკითხზე, რომელიც მას ეხება, ამასთან, ბავშვის შეხედულებებს სათანადო ყურადღება ეთმობა მისი ასაკისა და სიმწიფის შესაბამისად.³² აღნიშნული მიზნის განსახორციელებლად, ბავშვს ეძლევა შესაძლებლობა მოუსმინონ მას და საკითხის გადაწყვეტისას, რომელიც უშუალოდ მას უკავშირდება, მონაწილეობა მიაღებინონ საქმის განხილვის პროცესში. ბავშვის საუკეთესო ინტერესების შეფასება უნდა მოიცავდეს ბავშვის უფლების პატივისცემას, თავისუფლად გამოხატოს თავისი მოსაზრება ყველა საკითხზე, რომელიც მასზე ზეგავლენას ახდენს და მის მიერ გამოთქმული მოსაზრებისათვის სათანადო მნიშვნელობის მინიჭებას.³³

ზოგადი კომენტარი 12-ის შესაბამის ნაწილებში, რომელიც ეხება ბავშვის უფლებას, მოუსმინონ და რომელიც ბავშვის უფლებების კომიტეტმა 2009 წლის 20 ივლისს გამოაქვეყნა (CRC/C/GC/12) ვკითხულობთ შემდეგს: ყველა ბავშვის უფლება მოუსმინონ და მათი შეხედულება აღიქვან სერიოზულად, წარმოადგენს კონვენციის ერთ-ერთ ფუნდამენტურ ღირებულებას. ბავშვის უფლებების კომიტეტმა მუხლი 12 განსაზღვრა, როგორც კონვენციის ოთხი

³¹ *X.v. Latvia* ([GC], no. 27853/09, §§ 92-108, ECHR 2013)

³² „კონვენცია ბავშვთა უფლებების შესახებ“ (1989 წლის 20 ნოემბერი), მე-12 მუხლის 1-ლი ნაწილი

<https://matsne.gov.ge/ka/document/view/1399901?publication=0>

³³ ნ.წ. და სხვები საქართველოს წინააღმდეგ (განაცხადი №71776/12), სტრასბურგი, 2 თებერვალი, 2016 წელი

<https://matsne.gov.ge/ka/document/view/3295053?publication=0>

ძირითადი პრინციპის ერთ-ერთი შემადგენელი ელემენტი. ამასთან, დანარჩენი ძირითადი პრინციპებია არა-დისკრიმინაციის პრინციპი, სიცოცხლისა და განვითარების უფლება და ბავშვის ინტერესების უკეთ უზრუნველყოფისთვის უპირველესი ყურადღების დათმობა, რაც ხაზს უსვამს იმ ფაქტს, რომ მოცემული მუხლი არა მხოლოდ აყალიბებს უფლებას როგორც ასეთს, არამედ გათვალისწინებული უნდა იქნას ყველა სხვა უფლების ინტერპრეტაციისა და განხორციელებისას.³⁴

სახელმწიფოები ვალდებული არიან მიიღონ ყველა ზომა „ბავშვთა უფლებების შესახებ კონვენციის“ მე-12 მუხლით დაცული სიკეთის განხორციელების მიზნით. აქედან გამომდინარე ტერმინს „უზრუნველყოფენ“ სახელმწიფოთათვის ე.წ. „მბოჭავი“ ხასიათი გააჩნია, რაც თავის მხრივ, გულისხმობს იმას, რომ სახელმწიფოებს არ გააჩნიათ მოქმედების თავისუფლება მაშინ, როდესაც საკითხი ბავშვთა უფლებების და მოცემულ შემთხვევაში, ბავშვის ინტერესების გათვალისწინებისა და მოსმენის უფლებას ეხება. ამდენად, სახელმწიფოს აკისრია მკაცრი ვალდებულება, გაატაროს ყველა ღონისძიება ბავშვთა ამ უფლების განხორციელების მიზნით. სახელმწიფომ, აუცილებლად უნდა შეაფასოს თითოეული ბავშვის საკუთარი შეხედულების ჩამოყალიბების უნარი და არამც და არამც არ უნდა ივარაუდოს, რომ ბავშვს არ შეუძლია საკუთარი შეხედულების ჩამოყალიბება. სახელმწიფომ იმპერატიულად უნდა გაითავისოს ბავშვის ამ უნარის არსებობის ფაქტი ყველა შემთხვევაში და მან მხოლოდ იმაზე უნდა იზრუნოს, რომ ბავშვს მისცეს მისი გამოვლენის საშუალება - შეხედულების გამოხატვის უფლება. ამ შემთხვევაში ასაკობრივი შეზღუდვა არ უნდა არსებობდეს და თითოეულ ბავშვს მისი ასაკის მიუხედავად უნდა მიეცეს უფლება გამოთქვას თავისი მოსაზრება, მით უმეტეს იმ საკითხებთან დაკავშირებით, რომლებიც უშუალოდ მის საუკეთესო ინტერესებს უკავშირდება. მნიშვნელოვანია, აგრეთვე, ყურადღება გამახვილდეს ბავშვთა „თავისუფლებაზე“. შემთხვევითი არაა, რომ კონვენციის მე-12 მუხლში ცალსახადაა მითითება ბავშვის უფლებაზე, თავისუფლად გამოხატოს შეხედულებები. სიტყვა „თავისუფლება“ გულისხმობს ზეგავლენის არარსებობას ბავშვის ამ უფლებაზე და ასევე ბავშვის ნება-სურვილზე, აქვს თუ არა მას მისთვის მინიჭებული მოსმენის უფლების განხორციელების წადილი. შეხედულება საკუთრივ ბავშვისას უნდა წარმოადგენდეს და მასზე რაიმე სახის ზეგავლენის ან ზეწოლის მოხდენა დაუშვებელია. ბავშვი არაა ვალდებული თავს მოეხვიოს სხვისი

³⁴ ნ.წ. და სხვები საქართველოს წინააღმდეგ (განაცხადი №71776/12), სტრასბურგი, 2 თებერვალი, 2016 წელი
<https://matsne.gov.ge/ka/document/view/3295053?publication=0>

შეხედულებები და გამოხატოს არა თავისი, არამედ სხვისი აზრი. ბავშვს აქვს უფლება მოუსმინონ ყველა იმ საკითხთან დაკავშირებით, რომელიც მას და მის საუკეთესო ინტერესებს უკავშირდება. მართალია, „ბავშვთა უფლებების შესახებ კონვენცია“ კონკრეტულად არ უთითებს ბავშვის იმ ასაკზე, საიდანაც უნდა დაიწყოს ბავშვის შეხედულებების მოსმენა და არც კონვენციის ხელშემკვერელ მხარეებს არ აქვთ თავიანთ საკანონმდებლო ბაზაზე აღნიშნული ასაკის დაწესების რეკომენდაცია ან ვალდებულება, მაგრამ ამის მიუხედავად, ბავშვის ასაკსა და მოწიფულობას აქვს მნიშვნელობა ბავშვის შეხედულებების მოსმენის დროს, ვინაიდან თავად ამ უფლების განმახორციელებელ სუბიექტებს უნდა ჰქონდეთ შესაძლებლობა მათი შეხედულებების სერიოზულად აღქმისა და მოსმენისა. ბავშვი ინფორმირებული უნდა იყოს ყველა შესაძლო შედეგზე, რაც უშუალოდ მის მიერ საკუთარი შეხედულებების გამოხატვის პროცესს დაუკავშირდება.

მე-12 მუხლის პუნქტი 2 აკონკრეტებს, რომ მოსმენის შესაძლებლობა უზრუნველყოფილი უნდა იქნას განსაკუთრებით „ნებისმიერ სასამართლო და ადმინისტრაციული საქმის წარმოების პროცესში, რომელიც ბავშვს ეხება“. კომიტეტი ხაზს უსვავს, რომ ეს დებულება უკავშირდება ყველა შესაბამის სასამართლო საქმის წარმოებას, რომელიც მოიცავს მშობლებისგან დაცილებას, მეურვეობას, მზრუნველობასა და შვილად აყვანას. მოსმენის უფლება ეხება როგორც საქმის წარმოებებს, რომელთა ინიციატორი ბავშვია, ასევე საჩივრებს ცუდ მოპყრობასთან დაკავშირებით და სკოლასთან მოწყვეტასთან დაკავშირებულ განცხადებებს, ასევე სხვათა მიერ ინიცირებულ საქმის წარმოებებს, რომლებიც შეეხება ბავშვს, როგორცაა მშობლებისგან დაცილება ან შვილად აყვანა.³⁵

სახელმწიფოს მხრიდან ბავშვთა უფლებებისა და ჭეშმარიტი ინტერესების დარღვევასთან დაკავშირებით საუბარია ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს 2016 წლის 02 თებერვლის გადაწყვეტილებაში ნ.წ. და სხვები საქართველოს წინააღმდეგ. საჩივრის ავტორს წარმოადგენს არასრულწლოვანი ძმების დეიდა, რომელიც მისი დის გარდაცვალების შემდგომ ბიჭების ბებიასთან და ბაბუასთან ერთად ზრიდა მათ. მხარეთა შორის დავა მას შემდეგ დაიწყო, რაც ბავშვების მამამ სარჩელით მიმართა თბილისის საქალაქო სასამართლოს და მოითხოვა შვილების დაბრუნება საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 1204-ე მუხლის შესაბამისად.³⁶

³⁵ ნ.წ. და სხვები საქართველოს წინააღმდეგ (განაცხადი №71776/12), სტრასბურგი, 2 თებერვალი, 2016 წელი

<https://matsne.gov.ge/ka/document/view/3295053?publication=0>

³⁶ საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 1204-ე მუხლი ადგენს: მშობლებს უფლება აქვთ მოითხოვონ არასრულწლოვანი შვილის დაბრუნება იმ პირისაგან, რომელიც მას თავისთან ამყოფებს კანონიერი საფუძვლის გარეშე;

თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2010 წლის 18 მაისის გადაწყვეტილებით მოსარჩელის მოთხოვნა დაკმაყოფილდა, მამამ დაიბრუნა თავისი არასრულწლოვანი შვილები. თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2011 წლის 24 თებერვლის გადაწყვეტილებით, თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2010 წლის 18 მაისის გადაწყვეტილების შეცვლით მიღებულ იქნა ახალი გადაწყვეტილება და მოსარჩელის მოთხოვნა არ დაკმაყოფილდა. ბავშვები საცხოვრებლად უნდა დარჩენილიყვნენ დედის ოჯახში. საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2011 წლის 11 ოქტომბრის განჩინებით, გაუქმდა თბილისის სააპელაციო სასამართლოს მიერ მიღებული გადაწყვეტილება და საქმე ხელახლა განსახილველად დაუბრუნდა ამავე სასამართლოს. თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2012 წლის 02 თებერვლის განჩინებით უცვლელად დარჩა პირველი ინსტანციის სასამართლოს მიერ მიღებული გადაწყვეტილება. საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატამ დაუშვებლობის გამო 2012 წლის 03 მაისის განჩინებით, განუხილველად დატოვა ბავშვების დედის საკასაციო საჩივარი. სწორედ ეროვნული სასამართლოების ეს გადაწყვეტილებები გახდა ნ.წ.-ის მიერ ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოსათვის საკუთარი და საკუთარი დისშვილების სახელით მიმართვის საფუძველი.

ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ, გადაწყვეტილებაში ყურადღება გაამახვილა როგორც კონვენციის მე-3, მე-8, მე-9 და მე-12 მუხლებზე, ასევე საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 1197-ე-1199 და 1204-ე მუხლებზე. საბოლოოდ, სასამართლომ დაადგინა ბავშვის პირადი და ოჯახური ცხოვრების პატივისცემის უფლების დარღვევის ფაქტი, რომელსაც „ბავშვთა უფლებების შესახებ კონვენციის“ მე-8 მუხლი ითვალისწინებს.³⁷ სასამართლომ განმარტა, რომ საქმის არსი მდგომარეობს საჩივარში, რომლის მიხედვითაც მიმდინარე საქმეში ადგილობრივი ხელისუფლების მიერ განხორციელებული პროცედურები არ იყო შესაბამისობაში კონვენციის მე-8 მუხლის მოთხოვნებთან და ის უგულვებლყოფდა ბავშვის საუკეთესო ინტერესებს. ამიტომაც გამოსაკვლევია ორი ძირითადი ასპექტი - იყვნენ თუ არა ბიჭები სათანადოდ ჩართულები საქმის წარმოებაში და იყო თუ არა

³⁷ „ბავშვთა უფლებების შესახებ კონვენციის“ მე-8 მუხლი ადგენს: 1. მონაწილე სახელმწიფოები ვალდებულია კისრულობენ პატივი სცენ ბავშვის უფლებას შეინარჩუნოს თავისი ინდივიდუალურობა, მათ შორის მოქალაქეობა, სახელი და ოჯახური ურთიერთობა, როგორც გათვალისწინებულია კანონით, ამასთან არ დაუშვან კანონსაწინააღმდეგო ჩარევა; 2. თუ ბავშვი უკანონოდ კარგავს თავისი ინდივიდუალობის ნაწილს ან ყველა ელემენტს, მონაწილე სახელმწიფოები უზრუნველყოფენ მას საჭირო დახმარებით და დაცვით მისი ინდივიდუალობის რაც შეიძლება სწრაფად აღდგენისათვის;

ეროვნული სასამართლოების მიერ მიღებული გადაწყვეტილებები ნაკარნახევი მათი საუკეთესო ინტერესებით. სასამართლოს აზრით, არაჯეროვანმა წარმომადგენლობამ და შედეგად ბიჭების შეხედულებების სათანადოდ წარდგენასა და მოსმენაში წარუმატებლობამ (მარცხმა) შეარყია არსებულ საქმეში გადაწყვეტილების მიღების პროცესის პროცედურული სამართლიანობა, რაც კიდევ უფრო გამძაფრდა ბიჭების საუკეთესო ინტერესების არაადექვატური და ცალმხრივი შეფასებით, სადაც მათი ემოციური მდგომარეობა უბრალოდ იგნორირებული იქნა.³⁸ ამდენად, ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ ხსენებული გადაწყვეტილებით, გააკრიტიკა საქართველოს მთავრობის პოზიცია და მიუთითა საქართველოში არსებულ ბავშვთა უფლებების დაცვის რეალიზაციის მიზნით არსებულ საკანონმდებლო ხარვეზებზე და არ გაიზიარა საქართველოს მთავრობის არგუმენტი, რომ საქართველოს კანონმდებლობა არ გულისხმობს სამართალწარმოებაში ბავშვის პირადად ჩართვის აუცილებლობას.

საქართველოს სამოქალაქო კოდექსით რეგულირებული, არასრულწლოვანთა ინტერესებთან დაკავშირებული ყველა დავის გადაწყვეტისას მნიშვნელოვანია გათვალისწინებულ იქნეს ყველა ის საერთაშორისო აქტი, რეკომენდაცია და პრინციპი, რომელიც არასრულწლოვანთა საუკეთესო ინტერესების დაცვის წინაპირობას წარმოადგეს. ამასთან, აუცილებელია მოხდეს ქართული საკანონმდებლო ბაზის დახვეწა, ანალიზი და მისი საერთაშორისო-სამართლებრივ კანონმდებლობასთან შესაბამისობაში სრულყოფილად მოყვანა. საქართველოს სამოქალაქო კოდექსი არასრულწლოვანთა დაკავშირებული საკითხების გადაწყვეტისას ითვალისწინებს არასრულწლოვანთა ჩართულობას. ზოგიერთი საკითხის გადაწყვეტასთან დაკავშირებით არასრულწლოვანის ჩართულობა სამოქალაქო კოდექსით დადგენილი არ არის. არასრულწლოვანის თახმობასა და არასრულწლოვანის სურვილის გათვალისწინებას მის ჩართულობასთან დაკავშირებით, რა თქმა უნდა, ასეთ შემთხვევაში მნიშვნელობა აქვს. „კოდექსი არასრულწლოვანის ინტერესთან დაკავშირებული საკითხის გადაწყვეტაში მისი ჩართულობის ორ სახეს იცნობს: 1. როდესაც არასრულწლოვანის აზრი საკითხის გადასაჭრელად გადამწყვეტი მნიშვნელობისაა: ამ დროს კანონმდებელი იყენებს ცნებას „ბავშვის თანხმობა“ და სასამართლოს ავალდებულებს, საკითხი გადაწყვიტოს ბავშვის ნების შესაბამისად არასრულწლოვანის გვარის

³⁸ ნ.წ. და სხვები საქართველოს წინააღმდეგ (განაცხადი №71776/12), სტრასბურგი, 2 თებერვალი, 2016 წელი, (§73, §84)
<https://matsne.gov.ge/ka/document/view/3295053?publication=0>

შეცვლისას (1196.2 მუხლი), არასრულწლოვანის შვილად აყვანის დადგენის (1255.1, 1256-ე მუხლი), ასევე ნაშვილებისათვის სახელის შეცვლის დროს (1257.2 მუხლი), ნაშვილების მშობლებად დაბადების აქტის ჩანაწერში მშვილებელის რეგისტრაციის დადგენისას (1258-ე მუხლი); 2. როდესაც ბავშვის მოსაზრება გასათვალისწინებელია, მაგრამ სავალდებულო ხასიათი არა აქვს. კანონმდებელი იყენებს ცნებას „ბავშვის სურვილის გათვალისწინება“ და ადგენს მას და მშობლის უფლებაჩამორთმეული პირისათვის მშობლის უფლების აღდგენის საკითხის გადაწყვეტისას (1209.3 მუხლი). სამოქალაქო კოდექსი არ ითვალისწინებს არასრულწლოვანის აზრის მოსმენის უფლებას მის ინტერესებთან უშუალოდ კავშირში არსებული ისეთი საკითხების სასამართლოს მიერ განხილვისას, როგორცაა: არასრულწლოვანის საცხოვრებელი ადგილის განსაზღვრა მშობელთა შეუთანხმებლობისას (1201-ე მუხლი), არასრულწლოვანთან იმ მშობლის ურთიერთობის წესის განსაზღვრა, რომელიც არ ცხოვრობს არასრულწლოვანთან (1198-ე, 1202-ე მუხლი), არასრულწლოვანის მესამე პირებთან ურთიერთობის წესის განსაზღვრა (1203-ე მუხლი), იგივე ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს მიერ მითითებული, არასრულწლოვანის მშობელთან დაბრუნების საკითხი (1204-ე მუხლი). სამოქალაქო კოდექსი ითვალისწინებს ბავშვის უფლებას იყოს მოსმენილი მშობლის უფლებაჩამორთმეული პირისათვის მშობლის უფლების აღდგენის დროს (1209.3 მუხლი), მაგრამ იგივე მშობლის უფლების ჩამორთმევის საკითხის განხილვის დროს კანონმდებელი არ ადგენს არასრულწლოვანის უფლებას იყოს მოსმენილი (1206-ე მუხლი)”.³⁹

ცხადია, საქართველოს კანონმდებლობა არასრულწლოვანთა „ბავშვის უფლებების შესახებ კონვენციისა“ და სხვა საერთაშორისო სამართლებრივი კანონმდებლობის ნორმებთან შესაბამისობაში მოყვანასა და სრულყოფას საჭიროებს. ბავშვის უფლებები და მათი საუკეთესო ინტერესების დაცვა სხვა უფლებებთან მიმართებით უპირატეს, განსაკუთრებით სენსიტიურ მიდგომას მოითხოვს, ვინაიდან სწორედ რომ არასრულწლოვნები წარმოადგენენ თითოეული სახელმწიფოს მომავალს. არასრულწლოვანთა უფლებები წარმოადგენს იმ ფუნდამენტურ სტანდარტს, რომელთა დაცვაც კაცობრიობის ერთ-ერთი უმთავრესი ვალდებულებაა.

³⁹ „არასრულწლოვანთა უფლებების ჰარმონიზაცია ევროპულ სტანდარტებთან: საქართველოს სამოქალაქო კოდექსის სრულყოფის პერსპექტივები, 1. „არასრულწლოვანთა უფლებების ევროპული სტანდარტის მთავარი სამართლებრივი წყარო“ - ეკა ზარნაძე

5. არასრულწლოვანის ინტერესებთან დაკავშირებულ დავათა განხილვისას არასრულწლოვანის ჩაბმის პრინციპი

არასრულწლოვანთა ინტერესებთან დაკავშირებულ დავათა განხილვისას თავად არასრულწლოვანის ჩაბმა პროცესში ფუნდამენტურ პრინციპს წარმოადგენს და იმგვარი დავების განხილვისას, სადაც არასრულწლოვანის ჩაბმა აუცილებელ ხასიათს ატარებს, აღნიშნული პრინციპის სასამართლოს ან რომელიმე სხვა სახელმწიფო ორგანოს მიერ გამოუყენებლობა არსებით მატერიალურ თუ პროცესუალურ დარღვევას წარმოადგენს, რაც, საბოლოოდ, სასამართლოს მიერ მიღებულ გადაწყვეტილებაზე უარყოფით ასახვას ჰპოვებს. საქართველოს სამოქალაქო და სამოქალაქო საპროცესო კოდექსი გარკვეულწილად უზრუნველყოფს აღნიშნული პრინციპის პრაქტიკულ გამოვლინებას, თუმცა იმ ხარვეზებს, რომელიც ნათლად იკვეთება ამ საკითხის მარეგულირებელ კანონმდებლობაში, როგორც მატერიალურ-სამართლებრივ, ისე პროცესუალურ-სამართლებრივ ნორმებში, ევროპულ სტანდარტებთან შესაბამისობაში მოყვანა ესაჭიროება. საკითხის არსის გამოსაკვეთად უნდა გამოვიყენოთ ორი ნაწილი - თუ როგორ ხდება დავათა განხილვისას შვიდ წლამდე ასაკის ბავშვის და შვიდიდან თვრამეტ წლამდე ასაკის ბავშვის მონაწილეობა.

5.1. შვიდ წლამდე ასაკის ბავშვის მონაწილეობა

არასრულწლოვანის ინტერესებთან დაკავშირებულ დავათა განხილვისას, როგორც აღინიშნა, უნდა გაიმიჯნოს ერთმანეთისაგან არასრულწლოვანთა დავის განხილვის პროცესში მონაწილეობის უფლების განხორციელების მექანიზმები. კერძოდ, გასათვალისწინებელია, არასრულწლოვანის ასაკი. მიუხედავად იმისა, რომ არც „ბავშვთა უფლებების შესახებ კონვენცია“ და არც საქართველოს შიდასახელმწიფოებრივი კანონმდებლობა იმპერატიულად არ ადგენს, თუ რა ასაკიდან შეიძლება განხორციელდეს ბავშვის მოსმენის უფლება, რომელიც არასრულწლოვანის საუკეთესო ინტერესების გამორკვევის წინაპირობაა, ერთმანეთისაგან უნდა გაიმიჯნოს ის საპროცესო თავისებურებები, რომელიც არასრულწლოვანებთან დაკავშირებულ დავათა განხილვის დროს პირდაპირ და უშუალო კავშირშია არასრულწლოვანის ასაკთან. განსახილველ შემთხვევაში, ერთმანეთისაგან ვმიჯნავთ, შვიდ წლამდე ასაკის ბავშვის მონაწილეობასთან დაკავშირებულ საპროცესო-სამართლებრივ საკითხებს და შვიდიდან თვრამეტ წლამდე ასაკის არასრულწლოვანთა უფლების - ჩაერთონ მათ ინტერესებთან დაკავშირებულ დავებში, განხორციელების მექანიზმებს. საქართველოს სამოქალაქო კოდექსით დადგენილია, რომ მშობლები არასრულწლოვანი

შვილების კანონიერი წარმომადგენლები არიან და განსაკუთრებულ რწმუნებათა გარეშე გამოდიან მათი უფლებებისა და ინტერესების დასაცავად მესამე პირებთან ურთიერთობაში, მათ შორის სასამართლოში.⁴⁰ პრაქტიკაში ხშირია დავები, რომლებიც არასრულწლოვანთა ინტერესების დაცვას უკავშირდება. საგულისხმოა, რომ კანონის შესაბამისად, შვიდ წლამდე ასაკის არასრულწლოვანი მოხსენებულია მცირეწლოვნად და იგი ქმედუუნაროდ ითვლება. რაც შეეხება ქმედუუნარიანობას, ანუ ფიზიკური პირის უნარს, თავისი ნებითა და მოქმედებით, სრული მოცულობით შეიძინოს და განახორციელოს სამოქალაქო უფლებები და მოვალეობები, წარმოიშობა სრულწლოვანების, ე.ი. თვრამეტი წლის ასაკის მიღწევისთანავე. არასრულწლოვანთა და მცირეწლოვანთა ინტერესებს სასამართლოში იცავენ მათი კანონიერი წარმომადგენლები - მშობლები, თუმცა მშობელთა უფლებები დაუშვებელია განხორციელდეს ბავშვის ინტერესებისათვის ზიანის მიყენების გზით. საპროცესო ქმედუუნარიანობის თვალსაზრისით, მცირეწლოვნები და ქმედუუნაროდ აღიარებული მოქალაქეები გათანაბრებულები არიან. ასეთ შემთხვევაში, სახეზე არ გვაქვს, საპროცესო ქმედუუნარიანობა, რის გამოც მცირეწლოვანთა უფლებების დაცვას სასამართლოში ახორციელებენ მათი კანონიერი წარმომადგენლები, მშობლები, მშვილებლები ან მეურვეები. თუ მცირეწლოვანს არ ჰყავს კანონიერი წარმომადგენელი, მას სასამართლო საპროცესო წარმომადგენელს დაუნიშნავს.

ცალკეულ შემთხვევებში, როდესაც დავა ეხება შვიდ წლამდე ასაკის მცირეწლოვანთა საუკეთესო ინტერესებისა და უფლებების დაცვას, სასამართლოს იმ შემთხვევაში აკისრია არასრულწლოვანის სავალდებულო მონაწილეობის უზრუნველყოფა და არასრულწლოვანის ჩართვა დავის განხილვის პროცესში, როდესაც ბავშვი არის იმ ასაკისა და მოწიფულობის, რომ მას შეუძლია დამოუკიდებლად, სხვათა ზეგავლენისა და აზრის გათვალისწინების გარეშე, თავისუფლად გამოხატოს საკუთარი შეხედულებები და დააფიქსიროს აზრი. თუ რა შემთხვევებში ავალდებულებს კანონმდებელი სასამართლოს მიიღოს „ბავშვის თანხმობა“ კონკრეტულად განსაზღვრულია, მაგრამ, თავისთავად ცხადია, როცა ბავშვის აზრის მოსმენა მისი ასაკიდან გამომდინარე შეუძლებელია, სასამართლო საკითხის გადაწყვეტის დროს ვერ მოისმენს არასრულწლოვანის აზრს და ვერ მიიღებს მის თანხმობას. ამგვარ შემთხვევებში, სასამართლო დავას განიხილავს მცირეწლოვანის საქმეში ჩაბმის პრინციპის გამოყენების გარეშე.

⁴⁰ საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 1198-ე მუხლის მე-6 ნაწილი

5.2. შვიდიდან თვრამეტ წლამდე ასაკის ბავშვის მონაწილეობა დავის განხილვაში

სამოქალაქო საპროცესო ქმედუნარიანობა არის პირის უნარი, თავისი მოქმედებით განახორციელოს სასამართლოში საპროცესო უფლებები და შეასრულოს საპროცესო მოვალეობები, აგრეთვე, დაავალოს საქმის წარმოება წარმომადგენელს. ფიზიკური პირის საპროცესო ქმედუნარიანობა წარმოიშობა თვრამეტი წლის ასაკიდან. თუ პირი ამ ასაკის მიღწევამდე იქორწინებს, ის მოიპოვებს საპროცესო ქმედუნარიანობას. შვიდიდან თვრამეტ წლამდე არასრულწლოვანთა, აგრეთვე, შეზღუდულ ქმედუნარიანად აღიარებულ მოქალაქეთა უფლებებსა და კანონით დაცულ ინტერესებს სასამართლოში იცავენ მათი მშობლები, მშვილებლები ან მზრუნველები. ამასთან, სასამართლო ვალდებულია ასეთ საქმეებში ჩააბას თვით არასრულწლოვნებიც.⁴¹ აღნიშნულიდან გამომდინარე, არასრულწლოვნები (შვიდიდან თვრამეტ წლამდე), აგრეთვე, შეზღუდულ ქმედუნარიანად აღიარებული მოქალაქეები საპროცესო ქმედუნარიანობის თვალსაზრისით გათანაბრებულები არიან. არასრულწლოვანს შეუძლია სასამართლოში პირადად დაიცვას თავისი უფლება, იყოს მოსარჩელე ან მოპასუხე, იმ შემთხვევაში, თუ არასრულწლოვანს კანონით მინიჭებული აქვს უფლება თვითონ, დამოუკიდებლად განკარგოს თავისი ქონება, დადოს წვრილმანი საყოფაცხოვრებო გარიგებანი, მინიჭებული აქვს საწარმოს დამოუკიდებლად გაძლოლის უფლება და ა.შ.⁴²

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 81-ე მუხლის მე-3 ნაწილი, მართალია, ადგენს შვიდიდან თვრამეტ წლამდე ასაკის არასრულწლოვანთა ჩაბმის სავალდებულოობას მის ინტერესებთან

⁴¹ საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 81-ე მუხლის მე-3 ნაწილი

⁴² თენგიზ ლილუაშვილი, ვალერი ხრუსტალი, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის კომენტარი, მეორე გადამუშავებული და შესწორებული გამოცემა, გამომცემლობა „სამართალი“, თბილისი 2007”
<https://www.scribd.com/doc/239905029/%E1%83%A1%E1%83%90%E1%83%A5%E1%83%90%E1%83%A0%E1%83%97%E1%83%95%E1%83%94%E1%83%9A%E1%83%9D%E1%83%A1-%E1%83%A1%E1%83%90%E1%83%9B%E1%83%9D%E1%83%A5%E1%83%90%E1%83%9A%E1%83%90%E1%83%A5%E1%83%9D-%E1%83%A1%E1%83%90%E1%83%9E%E1%83%A0%E1%83%9D%E1%83%AA%E1%83%94%E1%83%A1%E1%83%99%E1%83%9D%E1%83%93%E1%83%94%E1%83%A5%E1%83%A1%E1%83%98%E1%83%A1-%E1%83%99%E1%83%9D%E1%83%9B%E1%83%94%E1%83%9C%E1%83%A2%E1%83%90%E1%83%A0%E1%83%94%E1%83%91%E1%83%98-%E1%83%95-%E1%83%AE%E1%83%A0%E1%83%A3%E1%83%A1%E1%83%A2%E1%83%90%E1%83%9A%E1%83%98-%E1%83%97-%E1%83%9A%E1%83%98%E1%83%9A%E1%83%A3%E1%83%90%E1%83%A8%E1%83%95%E1%83%98%E1%83%9A%E1%83%98-2007-%E1%83%AC%E1%83%94%E1%83%9A%E1%83%98?fbclid=IwAR1CAFo0CYTHL1VZSXcBpHG9speammBkl dXgHmImdiBCuNq8IWVhOIZC3LI>

დაკავშირებულ დავათა განხილვის დროს, თუმცა, აღნიშნული ნორმის დისპოზიცია არასრულწლოვანის სტატუსთან დაკავშირებით მაინც ბუნდოვანია, რაც ცალსახა დასტურია იმისა, რომ კანონმდებელი არც ამ შემთხვევაში იძლევა სრულყოფილ მითითებას. საბოლოო ჯამში, არასრულწლოვანის უფლებების ბუნდოვანება სწორედ მის საპროცესო სტატუსს უკავშირდება. „ზოგჯერ მას მოწმის ან მესამე პირის სტატუსით იწვევენ პროცესზე, ზოგჯერ კი დაინტერესებული პირის სახით. საპროცესო კანონმდებლობა მოწმის ან მესამე პირის სტატუსით პირის სასამართლოს ინიციატივით ჩაბმას არ იცნობს და არც „დაინტერესებული“ პირის სტატუსს განსაზღვრავს. გარდა ამისა, 81.3 მუხლის სუბიექტის მინიმალური ასაკობრივი ზღვარი შვიდი წელია, მატერიალური კანონმდებლობით კი ათი წელი. მატერიალურ სამართლებრივი მოუწესრიგებლობა საკითხისა, და პროცესუალურ სამართლებრივი ბუნდოვანება ხელს უწყობს ბავშვის უფლების დარღვევას და შესაბამისად, აფერხებს სადავო საკითხის გადაწყვეტას ბავშვის საუკეთესო ინტერესების გათვალისწინებით“⁴³.

⁴³ „არასრულწლოვანთა უფლებების ჰარმონიზაცია ევროპულ სტანდარტებთან: საქართველოს სამოქალაქო კოდექსის სრულყოფის პერსპექტივები, 1. „არასრულწლოვანთა უფლებების ევროპული სტანდარტის მთავარი სამართლებრივი წყარო“ - ეკა ზარნაძე

6. მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანოს მონაწილეობის სავალდებულოობის პრინციპი საოჯახო საქმეებში

საჯარო სამართლის იურიდიული პირი - სოციალური მომსახურების სააგენტო არის საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს სახელმწიფო კონტროლს დაქვემდებარებული საჯარო სამართლის იურიდიული პირი, რომლის მიზანს მოსახლეობის შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სფეროში სახელმწიფო პოლიტიკის რეალიზაცია და მისი განხორციელების ხელშეწყობა, იძულებით გადაადგილებულ პირთა - დევნილთა და სტიქიური მოვლენების შედეგად დაზარალებულ და გადაადგილებას დაქვემდებარებულ პირთა მიმართ სახელმწიფო პოლიტიკის განხორციელება წარმოადგენს.⁴⁴ სააგენტოს ერთ-ერთ მნიშვნელოვან ფუნქციას და უფლებასმოსილებას წარმოადგენს მეურვეობის, მზრუნველობის, მხარდაჭერის, შვილად აყვანისა და მინდომით აღზრდის პროცესის წარმართვა და კორდინაცია, გასაშვილებელ ბავშვთა და მშვილებელთა ერთიანი რეესტრის და მინდობით აღსაზრდელთა და მინდობით აღმზრდელთა მონაცემთა ბაზის წარმოება, საქართველოს ტერიტორიაზე კანონმდებლობით გათვალისწინებული ცენტრალური და ადგილობრივი მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანოს ფუნქციების უზრუნველყოფა, აგრეთვე, სხვა სახელმწიფოში გაშვილების მიზნებისათვის, ცენტრალური მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანოს ფუნქციის უზრუნველყოფა.⁴⁵ სოციალური მომსახურების სააგენტო (სმს) პასუხისმგებელია ბავშვების სოციალურ რეაბილიტაციასთან და დაცვასთან დაკავშირებული სახელმწიფო პროგრამების ზედამხედველობასა და განხორციელებაზე.⁴⁶

საოჯახო სამართლებრივი დავების განხილვისას მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანოს მონაწილეობის სავალდებულოობის შემთხვევები რეგულირდება საქართველოს სამოქალაქო კოდექსის შესაბამისი ნორმებით. კოდექსით რეგულირებული ასეთი შემთხვევაა, მაგალითად, გათვალისწინებული საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 1200-ე მუხლით.

⁴⁴ საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის ბრძანება №01-14/ნ, საჯარო სამართლის იურიდიული პირის - სოციალური მომსახურების სააგენტოს დებულების დამტკიცების შესახებ

⁴⁵ საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის ბრძანება №01-14/ნ, საჯარო სამართლის იურიდიული პირის - სოციალური მომსახურების სააგენტოს დებულების დამტკიცების შესახებ, მუხლი 2, პუნქტი 1(ზ)

⁴⁶ ნ.წ. და სხვები საქართველოს წინააღმდეგ (განაცხადი №71776/12), სტრასბურგი, 2 თებერვალი, 2016 წელი, (§39)

<https://matsne.gov.ge/ka/document/view/3295053?publication=0>

იდეალურ შემთხვევაში, შვილების აღზრდასთან დაკავშირებულ ყველა საკითხს მშობლები წყვეტენ ურთიერთშეთანხმებით. მაგრამ იმ დროს, როდესაც ასეთი შეთანხმების მიღწევა მშობელთა შორის პრაქტიკულად შეუძლებელია, საკითხი სასამართლოს მონაწილეობით უნდა გადაწყდეს. სასამართლო დავასთან მიმართებით მშობლის წარმომადგენლობითი უფლებამოსილება შეჩერდება და სასამართლოს განჩინების შესაბამისად, მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანო დანიშნავს ბავშვის წარმომადგენელს, რომელიც საქმის სასამართლოში განხილვის დროს წარმოადგენს ბავშვის ინტერესებს. მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანოს საქმეში ჩაბმა, თავის მხრივ, გარკვეულ პროცედურებთანაა დაკავშირებული. სასამართლო გამოიტანს განჩინებას საქმეში მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანოს ჩაბმის თაობაზე და დაავალებს მას დანიშნოს არასრულწლოვანის წარმომადგენელი და სასამართლოს წარმოუდგინოს საკუთარი პოზიცია კონკრეტულ დავასთან მიმართებით. მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანოს საქმეში ჩართვისა და ამ უკანასკნელის მიერ შესაბამისი შეფასება-დასკვნის წარმოდგენის შემდგომ, მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანო ახორციელებს ყველა საჭირო მოქმედებას, რომელიც მას კანონის შესაბამისად აქვს მინიჭებული, რათა დაიცვას არასრულწლოვანის საუკეთესო ინტერესები. ყოველი სასამართლო სხდომა მიმდინარეობს მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანოს მიერ დანიშნული არასრულწლოვანის წარმომადგენლის მონაწილეობითა და დაკვირვებით. ასე მაგალითად, 2010 წლის 5 იანვარს გ.ბ-მ თბილისის საქალაქო სასამართლოს მიმართა მისი ვაჟიშვილების დაბრუნების მოთხოვნით, სამოქალაქო კოდექსის 1204-ე მუხლის შესაბამისად. 2010 წლის 12 იანვარს პირველი ინსტანციის სასამართლომ მიიღო გადაწყვეტილება საქმის წარმოებაში სოციალური მომსახურების სააგენტოს ჩართვის შესახებ. სასამართლოს განკარგულებით საქმის მასალები უნდა გადაგზავნილიყო სმს-ში, სმს-ს უნდა დაენიშნა ბიჭების ინტერესების დამცავი წარმომადგენელი და სმს-ს უნდა ჩაეტარებინა ბავშვების მამისა და დედის მხრიდან ოჯახების სოციალური გარემოსა და საცხოვრებელი პირობების შეფასება.⁴⁷ არსებობს შემთხვევები, როდესაც იკვეთება არასრულწლოვნებისათვის არაჯანსაღი გარემოს შექმნის ეჭვი. ასეთ დროს, სასამართლო უფლებამოსილია არასრულწლოვანის აღზრდის გასაკონტროლებლად საქმეში ჩააბას მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანო. გარდა ამისა, საკასაციო სასამართლო ხაზგასმით უთითებს, რომ იმ შემთხვევაში, თუკი არსებობს ეჭვი - რაც სასწრაფო

⁴⁷ ნ.წ. და სხვები საქართველოს წინააღმდეგ (განაცხადი №71776/12), სტრასბურგი, 2 თებერვალი, 2016 წელი, (§10)
<https://matsne.gov.ge/ka/document/view/3295053?publication=0>

რეაგირებას მოითხოვს - მშობლის უფლების არასწორად განხორციელებისა ან ბავშვის აღზრდასთან დაკავშირებული საკითხების არასწორად გადაწყვეტისა, ყველა ორგანო, მათ შორის, უპირველესად სწორედ სასამართლო - რომელსაც კანონით სწორედ ამიტომ განესაზღვრა ინკვიზიციური უფლება ფაქტობრივი გარემოებების დადგენისა და გამოკვლევისა, ვალდებულია, მიიღოს კანონით გათვალისწინებული ზომები ბავშვების უფლებების დასაცავად და აქტიურად ჩართოს კომპეტენტური ორგანოები ამ მდგომარეობის მოსაწესრიგებლად. ყურადსაღებია, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 1198¹ მუხლის დანაწესი, რომელიც ავალდებულებს მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანოს, აქტიურად ჩაერთოს არასრულწლოვანთა უფლებების, მათ შორის განათლების უფლების დაცვაში არა ზოგადი დაკვირვებებითა და მხოლოდ საცხოვრებელი პირობების შესწავლით შემოიფარგლოს.⁴⁸

დავა, რომლის განხილვისას მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანოს ჩართულობა სავალდებულოა, გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 1200-ემუხლით გათვალისწინებული შემთხვევისა, აგრეთვე წარმოადგენს 1201-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევაც, როდესაც არასრულწლოვანის მშობლები განქორწინებულნი არიან და ერთ-ერთი მშობლის სასარჩელო მოთხოვნას არასრულწლოვანი შვილის საცხოვრებელი ადგილის განსაზღვრა წარმოადგენს.⁴⁹ დავის განხილვისას მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანოს მონაწილეობა არ უნდა ატარებდეს მარტოოდენ ფორმალურ ხასიათს. იგი მიმართული უნდა იყოს საქმის ყოველმხრივი და სრულყოფილი გამოკვლევისაკენ, არასრულწლოვანთა ჭეშმარიტი ინტერესის დადგენისა და ისეთი გადაწყვეტილების მიღების ხელშეწყობისაკენ, რომელიც სწორედ რომ არასრულწლოვანის უფლებათა დაცვას ემსახურება. ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს კრიტიკა დაიმსახურა მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანოს მონაწილეობის არასრულფასოვნებამ და გადაწყვეტილებაში №71776/12 (ნ.წ. და სხვები საქართველოს წინააღმდეგ) აღნიშნულია: როგორც საქმის მასალებიდან ჩანს,

⁴⁸ ნ.წ. და სხვები საქართველოს წინააღმდეგ (განაცხადი №71776/12), სტრასბურგი, 2 თებერვალი, 2016 წელი, (§24)

<https://matsne.gov.ge/ka/document/view/3295053?publication=0>

⁴⁹ საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 1201-ე მუხლი: 1. თუ განქორწინების გამო ან სხვა მიზეზით მშობლები ცალ-ცალკე ცხოვრობენ, მათ შეთანხმებაზე და მოკიდებული, თუ ვის ექნება უფლება, გადაწყვიტოს, ვისთან უნდა ცხოვრობდეს არასრულწლოვანი შვილი; 2. შეუთანხმებლობის შემთხვევაში დავას იმის თაობაზე, თუ ვისთან უნდა ცხოვრობდეს არასრულწლოვანი შვილი, წყვეტს სასამართლო ბავშვის ინტერესების გათვალისწინებით. ამ შემთხვევაში მშობლის უფლება, იყოს ბავშვის წარმომადგენელი სასამართლო დავასთან მიმართებით, შეჩერებულია. მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანო ნიშნავს ბავშვის წარმომადგენელს, რომელიც საქმის სასამართლოში განხილვის დროს ბავშვის ინტერესებს წარმოადგენს;

სოციალური მომსახურების სააგენტო ფორმალურად ჩაერთო სამართალწარმოებაში მხოლოდ სააპელაციო ეტაპიდან, გამოტოვა რა გაურკვეველი მიზეზების გამო პირველ ინსტანციაში საქმის მთლიანი განხილვა. სააპელაციო სამართალწარმოებაში მისი ჩართვის შემდეგ, სოციალურმა მომსახურების სააგენტომ და მისმა შესაბამისმა რაიონულმა განყოფილებამ მიიღო „დაინტერესებული მხარის“ სტატუსი. თუმცა, სამოქალაქო საპროცესო კოდექსი არ ითვალისწინებს რაიმე დებულებას „დაინტერესებული მხარის“ სტატუსთან დაკავშირებით და/ან მის შემდგომ საპროცესო უფლებებთან დაკავშირებით. აქედან გამომდინარე, გაურკვეველი რჩება, თუ როგორ შეძლო სოციალური მომსახურების სააგენტომ ეფექტურად წარმოედგინა ბავშვების ინტერესები, როცა მას არ გააჩნდა ფორმალური პროცედურული როლი ამ საქმეში. ზემოთ თქმულს სასამართლო მიჰყავს მეორე საკითხამდე. ბავშვების ინტერესების წარდგენის მიზნით მოხდა სოციალური მომსახურების სააგენტოსა და მისი შესაბამისი რაიონული განყოფილების დანიშვნა, მაგრამ ისევ გაურკვეველი რჩება, თუ ზუსტად რას გულისხმობს წარმომადგენლობის ეს ტიპი. არც სამოქალაქო საპროცესო კოდექსი და არც სოციალური მომსახურების სააგენტოსთან დაკავშირებული კანონმდებლობა არ განმარტავს ზემოთ მოცემული სქემის ფარგლებში დანიშნული წარმომადგენლის ფუნქციებსა და უფლებამოსილებებს. პრაქტიკულად, სამართალწარმოების ორ წელზე მეტი პერიოდის განმავლობაში, სოციალური მომსახურების სააგენტოს სხვადასხვა წარმომადგენელი ბიჭებს მხოლოდ რამდენჯერმე შეხვდა ერთადერთი მიზნით, მოემზადებინათ რამდენიმე ანგარიში ბიჭების საცხოვრებელ პირობებთან და მათ ემოციურ მდგომარეობასთან დაკავშირებით. ბიჭების მონიტორინგისა და მათთან სანდო ურთიერთობის დამყარების მიზნით ადგილი არ ჰქონია რეგულარულ და ხშირ კონტაქტს მათთან. სასამართლო ვერ ხედავს, თუ როგორ შეიძლება, სოციალური მომსახურების სააგენტო, რამდენიმე ანგარიშის შედგენისა და სასამართლო სხდომებზე დაშვებისათვის აუცილებელი სტატუსის გარეშე დასწრების გზით, კლასიფიცირდეს, როგორც ადექვატური და მნიშვნელოვანი წარმომადგენელი.⁵⁰

ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს ზემოაღნიშნული კრიტიკა, გასათვალისწინებელია, რათა მოხდეს იმ საკანონმდებლო ხარვეზების აღმოფხვრა, რომლებიც მნიშვნელოვანწილად უშლის ხელს მაურვეობისა და მზრუნველობის ორგანოს ფუნქციათა ჯეროვან შესრულებას

⁵⁰ ნ.წ. და სხვები საქართველოს წინააღმდეგ (განაცხადი №71776/12), სტრასბურგი, 2 თებერვალი, 2016 წელი, (§74, §75, §77)
<https://matsne.gov.ge/ka/document/view/3295053?publication=0>

დავათა განხილვის პროცესში. ამისათვის უპირანი იქნებოდა მოქმედ კანონმდებლობაში ზუსტად აისახოს წარმომადგენლობის არსი, რაც თავისთავად გამოკვეთს მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანოს კომპეტენციას. სმს-ს მონაწილეობა დავათა განხილვის პროცესში უნდა უზრუნველყოფდეს არასრულწლოვანთა საუკეთესო ინტერესების დადგენას, მათ ინფორმირებასა და „ბავშვთა უფლებების შესახებ კონვენციისა“ თუ შიდასახელმწიფოებრივი კანონმდებლობის შესაბამისად მათ უფლებათა დაცვას.

7. არასრულწლოვანის უფლება დამოუკიდებლად აღძრას სარჩელი

არასრულწლოვანს უფლება აქვს დამოუკიდებლად აღძრას სარჩელი და დაიცვას საკუთარი ინტერესები და უფლებები სასამართლოში. არასრულწლოვანის მიერ ამ უფლების გამოყენების შესაძლებლობა უკავშირდება რიგი წინაპირობების არსებობას. იმ შემთხვევაში, თუ სახეზეა არასრულწლოვანის უფლებებისა და კანონიერი ინტერესების დარღვევა, მას აქვს მის მშობელთა თუ სხვა კანონიერ წარმომადგენელთა მიერ უფლების ბოროტად გამოყენებისაგან თავდაცვის უფლება. არასრულწლოვანი უფლებამოსილია, დამოუკიდებლად მიმართოს მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანოს თუკი მისი ერთ-ერთი ან ორივე მშობელი არ ასრულებს მის განათლებასთან და აღზრდასთან დაკავშირებულ მოვალეობებს ან ასრულებს, მაგრამ შესრულება არასათანადოა ან ადგილი აქვს მშობლის უფლების ბოროტად გამოყენებას. არასრულწლოვანი 14 წლის ასაკიდან იძენს სასამართლოსათვის დამოუკიდებლად მიმართვის უფლებას. ეს ის შემთხვევებია, რომლებიც უკავშირდება „მშობლის პასუხისმგებლობისა და ბავშვთა დაცვის ზომების შესრულებასთან დაკავშირებით იურისდიქციის, გამოსაყენებელი სამართლის, აღიარების, შესრულებისა და თანამშრომლობის შესახებ“ ჰააგის 1996 წლის 19 ოქტომბრის კონვენციით გათვალისწინებულ შემთხვევებს. აღნიშნული კონვენციის პირველ და ძირითად მიზანს წარმოადგენს იმ სახელმწიფოს განსაზღვრა, რომლის ორგანოებს გააჩნიათ ბავშვის პიროვნების ან ქონების დაცვისკენ მიმართული ზომების მიღების იურისდიქცია. წინამდებარე კონვენციის მიზნებისათვის ტერმინი „მშობლის პასუხისმგებლობა“ მოიცავს მშობლის უფლებამოსილებას ან სხვა ანალოგიურ დამოკიდებულებას, რომელიც განსაზღვრავს მშობლების, მეურვეების ან სხვა კანონიერი წარმომადგენლების უფლებებს, უფლებამოსილებებსა და ვალდებულებებს ბავშვის პიროვნებასთან ან ქონებასთან მიმართებაში.⁵¹ კონვენცია გამოიყენება ბავშვების დაბადებიდან მათ მიერ 18 წლის ასაკის მიღწევამდე.

კანონი ყველა ფიზიკურ და იურიდიულ პირს მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანოსათვის არასრულწლოვანთა უფლებებისა და კანონიერი ინტერესების დარღვევის შემთხვევების შეტყობინებას ავალდებულებს. თავის მხრივ, მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანოები შეტყობინების მიღებისთანავე უზრუნველყოფენ საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული ღონისძიებების გატარებას. იმ

⁵¹ მშობლის პასუხისმგებლობისა და ბავშვთა დაცვის ზომების შესრულებასთან დაკავშირებით იურისდიქციის, გამოსაყენებელი სამართლის, აღიარების, შესრულებისა და თანამშრომლობის შესახებ 1996 წლის კონვენცია, მუხლი 1
<https://matsne.gov.ge/ka/document/view/2759259?publication=0>

შემთხვევაში, თუ ადგილი აქვს ჰააგის 1996 წლის 19 ოქტომბრის კონვენციით გათვალისწინებულ შემთხვევებს, მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანოები ვალდებულნი არიან მიმართონ ცენტრალურ ორგანოს.

საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ ბავშვთა დაცვის მიმართვიანობის (რეფერირების) პროცედურებში ჩართული სუბიექტისა და ბავშვთა საკითხებზე მომუშავე სხვა სუბიექტის მიერ ბავშვზე ძალადობის გამოვლენის და ბავშვზე ძალადობის შესახებ ინფორმაციის შესაბამისი სახელმწიფო ორგანოსათვის მიწოდების ვალდებულების შეუსრულებლობა იწვევს პასუხისმგებლობას საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.⁵²

მანამ სანამ სასამართლო არასრულწლოვანთან დაკავშირებულ საქმეზე გადაწყვეტილებას მიიღებდეს, მით უმეტეს იმ შემთხვევაში, როდესაც თავად არასრულწლოვანი მიმართავს სასამართლო ხელისუფლებას საკუთარი ინტერესების დაცვის უზრუნველსაყოფად, სასამართლომ უნდა გამოიკვლიოს აქვს თუ არა არასრულწლოვანს მისივე საუკეთესო ინტერესებიდან მომდინარე გადაწყვეტილების მიღებისათვის აუცილებელი, საკმარისი ინფორმაცია და საჭიროების შემთხვევაში, სასამართლომ უნდა მოიძიოს საქმის გადაწყვეტისათვის ყველა საჭირო მასალა. გარდა ამისა, სასამართლო ვალდებულია იკვლიოს, აქვს თუ არა ბავშვს მისი ქმედების შემეცნების უნარ-ჩვევა და აღნიშნულის შესაბამისად, მიაწოდოს ინფორმაცია, გაუწიოს კონსულტაცია. უმჯობესია, კონსულტაცია უშუალოდ ბავშვთან, სხვა პირების დასწრების გარეშე განხორციელდეს სასამართლოს მიერ და ყველა მიზეზ გარეშე, არასრულწლოვანს უნდა მიეცეს შესაძლებლობა გამოხატოს თავისი შეხედულებები.

⁵² საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 1198¹-ე მუხლის მე-2¹ ნაწილი

8. ინტერესთა კონფლიქტი არასრულწლოვანსა და მის კანონიერ წარმომადგენელს შორის

იყო მშობელი არა მხოლოდ ადამიანის უფლებაა, არამედ იგი დაკავშირებულია უდიდეს პასუხისმგებლობასთან, როგორც საკუთარი თავისა და შვილის, ასევე კაცობრიობის და ქვეყნის წინაშე. ადამიანის ამ უფლების განხორციელებისას, თავისთავად ცხადია, რიგი ვალდებულებები წარმოიშობა. მშობლებმა თავიანთი შვილები საზოგადოების ღირსეულ წევრებად უნდა აღზარდონ. ამისათვის მათ უნდა იზრუნონ ბავშვების ფიზიკურ, გონებრივ, სულიერ თუ სოციალურ განვითარებაზე, თანაც იმგვარად, რომ გაითვალისწინონ მათი ინტერესების უპირატესობა. მორალური ვალდებულების გათვალისწინებით, კანონი ადგენს, რომ მშობელთა უფლებების განხორციელებისას შვილების ინტერესებისათვის ზიანის მიყენება დაუშვებელია. მსოფლიო აღიარებს ბავშვთა საუკეთესო ინტერესების უპირატესობას და დადგენილია, რომ ბავშვთა უფლებები უმაღლეს დონეზე უნდა იქნას დაცული. აღზრდის პროცესში, დაუშვებელია ისეთი მეთოდების გამოყენება, რომელიც არასრულწლოვანის ფიზიკურ ან ფსიქიკურ ტანჯვას გამოიწვევს. მშობლების ვალდებულებაა არჩინონ თავიანთი შვილები. თუ საკითხი ეხება არასრულწლოვანის ქონების მართვასა და გამოყენებას, ასეთ შემთხვევაშიც, მშობლებს თავიანთი შვილების უფლებებისა და ინტერესების დაცვა ევალებათ. უმნიშვნელოვანესია, მშობელსა და შვილს შორის ჰარმონიული, სიყვარულით აღსავსე ურთიერთობის ჩამოყალიბება, ვინაიდან მშობელთან უშუალო კავშირი დადებითად აისახება არასრულწლოვანის ფსიქო-ემოციურ განვითარებაზე. კვლევები ცხადყოფს, რომ ბავშვები, რომელნიც მოკლებულნი არიან მშობელთა მზრუნველობასა და სიყვარულს, განიცდიან სულიერ ტანჯვას და გაორებას. მათ უჭირთ გამოერკვნენ თავიანთ მისწრაფებებსა და ინტერესებში. უვითარდებათ არასრულფასოვნების კომპლექსი და განიცდიან მუდმივ შიშსა და შფოთვას. მშობლებს მიენიჭათ უფლება, განსაზღვრონ თავიანთი არასრულწლოვანი შვილების მესამე პირებთან ურთიერთობის საკითხებიც. ამასთან, ისინი შვილების კანონიერ წარმომადგენლობას ახორციელებენ განსაკუთრებულ რწმუნებულებათა გარეშე. ხშირია, მშობელთა მიერ შვილების უფლებებისა და ინტერესების დაცვის განხორციელება სასამართლოში. პრაქტიკაში ვლინდება შემთხვევები, როდესაც მშობელსა და შვილებს შორის არსებობს ინტერესთა კონფლიქტი. შესაბამისად, ჩნდება კითხვა, თუ ვინ შეიძლება განახორციელოს არასრულწლოვანის ინტერესების დაცვა სასამართლოში შვილებსა და მათ კანონიერ წარმომადგენელს შორის ასეთი კონფლიქტის არსებობის დროს? კონკრეტულად რა შემთხვევებში შეიძლება ჰქონდეს ადგილი ინტერესთა

კონფლიქტს? ამ კითხვებზე პასუხის გასაცემად, უპრიანია მოვიხმოდ საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 1198¹ მუხლი.⁵³ გარდა მშობელთა მიერ თავიანთი უფლების ბოროტად, არასრულწლოვანისათვის ზიანის მიმყენებელი ქმედებისა, კანონი ე.წ. „რეფერირების“ საკითხებს ითვალისწინებს. ბავშვთა დაცვის მიმართვიანობის (რეფერირების) პროცედურების მიზანია ოჯახში და მის გარეთ ბავშვის ძალადობის ყველა ფორმისგან დაცვის ხელშეწყობა, რეფერირების პროცედურების კოორდინირებული და ეფექტიანი სისტემის ჩამოყალიბების გზით.⁵⁴ რეფერირების პროცესში ხდება ძალადობის მსხვერპლი ბავშვების გამოვლენა, რის შემდგომაც შესაბამისი ორგანოები აფასებენ ბავშვების მდგრალობას. საჭიროების შემთხვევაში, არასრულწლოვნების განცალკევება და მათი

⁵³ საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 1198¹ მუხლი: 1. არასრულწლოვანს აქვს მშობელთა/სხვა კანონიერ წარმომადგენელთა მიერ უფლების ბოროტად გამოყენებისაგან დაცვის უფლება. არასრულწლოვნის უფლებებისა და კანონიერი ინტერესების დარღვევისას, მათ შორის, ორივე ან ერთ-ერთი მშობლის მიერ ბავშვის აღზრდასა და განათლებასთან დაკავშირებული მოვალეობების შეუსრულებლობისას ან არასათანადოდ შესრულებისას, ან მშობლის უფლების ბოროტად გამოყენებისას, არასრულწლოვანს უფლება აქვს, დამოუკიდებლად მიმართოს მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანოებს, ხოლო „მშობლის პასუხისმგებლობისა და ბავშვთა დაცვის ზომების შესრულებასთან დაკავშირებით იურისდიქციის, გამოსაყენებელი სამართლის, აღიარების, შესრულებისა და თანამშრომლობის შესახებ“ ჰააგის 1996 წლის 19 ოქტომბრის კონვენციით გათვალისწინებულ შემთხვევებში – ცენტრალურ ორგანოს, 14 წლის ასაკიდან კი – სასამართლოს.

2. ფიზიკური და იურიდიული პირები, რომლებისთვისაც ცნობილი გახდა არასრულწლოვნის უფლებებისა და კანონიერი ინტერესების დარღვევის შემთხვევები, ვალდებული არიან, მათ შესახებ შეატყობინონ მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანოებს არასრულწლოვნის ფაქტობრივი ადგილსამყოფლის მიხედვით. მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანოები ვალდებული არიან, ამგვარი შეტყობინების მიღებისთანავე განახორციელონ საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრული ღონისძიებები, ხოლო „მშობლის პასუხისმგებლობისა და ბავშვთა დაცვის ზომების შესრულებასთან დაკავშირებით იურისდიქციის, გამოსაყენებელი სამართლის, აღიარების, შესრულებისა და თანამშრომლობის შესახებ“ ჰააგის 1996 წლის 19 ოქტომბრის კონვენციით გათვალისწინებულ შემთხვევებში – მიმართონ ცენტრალურ ორგანოს.

2¹. საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ ბავშვთა დაცვის მიმართვიანობის (რეფერირების) პროცედურებში ჩართული სუბიექტისა და ბავშვთა საკითხებზე მომუშავე სხვა სუბიექტის მიერ ბავშვზე ძალადობის გამოვლენის და ბავშვზე ძალადობის შესახებ ინფორმაციის შესაბამისი სახელმწიფო ორგანოსთვის მიწოდების ვალდებულების შეუსრულებლობა იწვევს პასუხისმგებლობას საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

3. „მშობლის პასუხისმგებლობისა და ბავშვთა დაცვის ზომების შესრულებასთან დაკავშირებით იურისდიქციის, გამოსაყენებელი სამართლის, აღიარების, შესრულებისა და თანამშრომლობის შესახებ“ ჰააგის 1996 წლის 19 ოქტომბრის კონვენციით განსაზღვრული ცენტრალური ორგანოა საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სტრუქტურული ქვედანაყოფი.

⁵⁴ საქართველოს მთავრობის 2016 წლის 12 სექტემბრის №437 დადგენილება ბავშვთა დაცვის მიმართვიანობის (რეფერირების) პროცედურების დამტკიცების თაობაზე, მუხლი 1

განთავსება სპეციალიზებულ დაწესებულებებში, თავშესაფარში ან მინდობით აღზრდაში, ხელს უწყობს არასრულწლოვანთა უსაფრთხოებას და რეაბილიტაციას. შესაბამისი სახელმწიფო ორგანოები, ამავდროულად, ვალდებული არიან განახორციელონ კონტროლი ბავშვთა მიმართ ძალადობის შემთხვევებზე. არასრულწლოვნებსა და მათ კანონიერ წარმომადგენლებს შორის ინტერესთა კონფლიქტი ასევე სახეზეა, როდესაც ოჯახში შექმნილია არასრულწლოვანის ნორმალური აღზრდისა და ჩამოყალიბებისათვის არაჯანსაღი გარემო. ამ დროს, ცხადია, ირღვევა არასრულწლოვანის ინტერესი იცხოვროს და განვითარდეს მშვიდ, სტაბილურ, სრულფასოვან გარემოცვაში. დავათა განხილვის პროცესში, სასამართლომ უნდა მოისმინოს არასრულწლოვანის აზრი, რათა გამოარკვიოს ბავშვის სუბიექტური ნება და გადაწყვეტილება მიიღოს მისი უპირატესი ინტერესების გათვალისწინებით. ბავშვმა, თავად უნდა გადაწყვიტოს, გამოთქვას თავისი შეხედულება და გამოავლინოს მისი მოსმენის ნება. მოსმენა უნდა განხორციელდეს ბავშვის, წარმომადგენლის ან შესაბამისი ორგანოს მეშვეობით.

წარმომადგენელი შეიძლება იყოს მშობელი, ადვოკატი, ან სხვა პირი (მათ შორის სოციალური მუშაკი). მაგრამ ხაზი უნდა გაესვას იმას, რომ მრავალ საქმეში (სამოქალაქო, სისხლის სამართლის ან ადმინისტრაციული) არსებობს ბავშვსა და მის ყველაზე აშკარა წარმომადგენელს (მშობელთა) შორის ინტერესთა კონფლიქტის რისკი. თუ ბავშვის მოსმენა ხორციელდება წარმომადგენლის მეშვეობით, ძალზედ მნიშვნელოვანია, რომ წარმომადგენელმა ბავშვის შეხედულებები სწორად გადასცეს გადაწყვეტილების მიმღებს. შერჩეული მეთოდი უნდა განისაზღვროს ბავშვის (ან, აუცილებლობის შემთხვევაში, შესაბამისი ორგანოს) მიერ მისი კონკრეტული მდგომარეობის შესაბამისად. წარმომადგენლებს უნდა გააჩნდეთ გადაწყვეტილების მიღების პროცესზე საკმარისი ცოდნა და ბავშვებთან მუშაობის გამოცდილება. წარმომადგენელს უნდა ესმოდეს, რომ იგი წარმოადგენს ექსკლუზიურად ბავშვის ინტერესებს და არა სხვა პირების (მშობლები), დაწესებულებები ან ორგანოების (მაგ. ბავშვთა სახლი, ადმინისტრაცია ან საზოგადოება) ინტერესებს. შემუშავებული უნდა იქნას იმ წარმომადგენლის ქცევის ნორმები, რომლებიც დანიშნულნი არიან ბავშვის შეხედულებების წარმოსადგენად. განჩინებები და სასამართლო გადაწყვეტილებები, რომლებიც გავლენას ახდენენ ბავშვებზე, სათანადოდ უნდა იყოს დასაბუთებული და განმარტებული მათთვის გასაგებ ენაზე. ეს

განსაკუთრებით ეხება ისეთ გადაწყვეტილებებს, რომლებიც არ შეესაბამება ბავშვის შეხედულებებსა და მოსაზრებებს.⁵⁵

არასრულწლოვანთა და მათ კანონიერ წარმომადგენელთა შორის ინტერესთა კონფლიქტის არსებობის შემთხვევაში სახელმწიფოს როლი უმთავრესია. სასამართლო ხელისუფლებას უნდა გააჩნდეს ბერკეტი, საქმის წარმოების მიზნებისათვის, დანიშნოს არასრულწლოვანის სპეციალური წარმომადგენელი, მითუმეტეს მაშინ, როდესაც შიდასახელმწიფოებრივი სამართალი მშობლის პასუხიმგებლობის მტვირთველ პირებს უკრძალავს ბავშვთა წარმომადგენლობას მათ და არასრულწლოვნებს შორის წარმოშობილი ინტერესთა კონფლიქტის გამო.

⁵⁵ ნ.წ. და სხვები საქართველოს წინააღმდეგ (განაცხადი №71776/12), სტრასბურგი, 2 თებერვალი, 2016 წელი, (§35, §36, §37, §49)
<https://matsne.gov.ge/ka/document/view/3295053?publication=0>

9. დროებითი განკარგულების ინსტიტუტი

9.1. კანონის განსაზღვრულობა და სამართლებრივი უსაფრთხოება (სსსკ-ის 355-ე მუხლი)

სამართლებრივი სახელმწიფოს პრინციპებიდან გამომდინარეობს სამართლებრივი უსაფრთხოების პრინციპი, რომლის თანახმად, „კანონად შეიძლება ჩაითვალოს საკანონმდებლო საქმიანობის მხოლოდ ის პროდუქტი, რომელიც კანონის ხარისხის მოთხოვნებს პასუხობს. კანონის ხარისხი კი გულისხმობს კანონის შესაბამისობას სამართლის უზენაესობისა და სამართლებრივი უსაფრთხოების პრინციპებთან”.⁵⁶ „სამართლებრივი უსაფრთხოების პრინციპი გულისხმობს, რომ ნორმა უნდა იყოს ნათელი და განსაზღვრულობის მოთხოვნებთან შესაბამისი. ადამიანს უნდა შეეძლოს ზუსტად გაარკვიოს, თუ რას მოითხოვს მისგან კანონმდებელი და მიუსადაგოს ამ მოთხოვნას თავისი ქცევა”.⁵⁷ „განსაზღვრულობის პრინციპი სამართლებრივი სახელმწიფოს პრინციპთან დაკავშირებული სამართლებრივი უსაფრთხოების პრინციპის ერთ-ერთ შემადგენელ ნაწილს წარმოადგენს”.⁵⁸

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსით განმტკიცებულია დროებითი განკარგულების ინსტიტუტის ცნება, რომელიც საოჯახო დავის განხილვის საპროცესო თავისებურებას წარმოადგენს. სასამართლოს შეუძლია მხარეთა შუამდგომლობის საფუძველზე მიიღოს დროებითი განკარგულება, რათა მოაწესრიგოს: ა) შვილის მიმართ მშობელთა ზრუნვის საკითხები; ბ) ერთ-ერთი მშობლის ურთიერთობა ბავშვთან; გ) ბავშვის აღსაზრდელად გადაცემა ერთ-ერთი მშობლისათვის; დ) მცირეწლოვანი ბავშვის შენახვის ვალდებულება; ე) საკითხი ერთ-ერთი მეუღლის მიერ მეორე მეუღლისათვის მატერიალური დახმარების გაწევის შესახებ; ვ) საოჯახო მეურნეობისა და ბინით სარგებლობის საკითხი; ზ) საოჯახო-სამართლებრივი ურთიერთობიდან წარმოშობილი საქმეების განხილვასთან დაკავშირებით ხარჯების ავანსის სახით გადახდევინების საკითხი.⁵⁹ სასამართლოს შეუძლია მიიღოს დროებითი განკარგულება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ იქნება ამის შესახებ მხარის შუამდგომლობა (განცხადება) სასამართლოს მიმართ. დროებითი ამ განკარგულებებს (რომლებიც განჩინების ფორმით მიიღება) იმიტომ ეწოდება, რომ საბოლოოდ ეს

⁵⁶ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილება საქმეზე №1/3/407-26.12.2007

⁵⁷ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილება საქმეზე №2/2-389-26.10.2007

⁵⁸ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილება საქმეზე №2/3/406,408-30.10.2008

⁵⁹ საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 355-ე მუხლის 1-ლი ნაწილი

საკითხები მოწესრიგდება სასამართლოს მიერ საქმეზე მიღებულ გადაწყვეტილებაში. ჩამოთვლილ საკითხებზე დროებითი განკარგულებები, გამოტანილი განჩინების ფორმით, შეიძლება მიღებულ იქნეს მხარეთა შეუტყობინებლად, საქმის ზეპირი განხილვის გარეშე. მაგრამ, თუ სასამართლო ამას საჭიროდ ჩათვლის, შეუძლია ეს საკითხები მხარეთა შეტყობინებითა და მათი მონაწილეობით განიხილოს. ცხადია, რომ მათი გამოუცხადებლობა საკითხის გადაწყვეტას და დროებითი განკარგულების მიღებას ვერ დააბრკოლებს.⁶⁰ განჩინების გამომტან სასამართლოს შეუძლია მხარეთა განცხადების საფუძველზე შეცვალოს ან მთლიანად გააუქმოს თავისი განჩინება.⁶¹ დროებითი განკარგულების შესახებ განჩინება არ საჩივრდება, ვინაიდან იგი დროებითია, საბოლოოდ გადაწყვეტილებაში აისახება, რომელზეც შეიტანება სააპელაციო (საკასაციო) საჩივარი. ამასთან, მხარეს შეუძლია განცხადებით და არა საჩივრით მიმართოს სასამართლოს დროებითი განკარგულების შესახებ განჩინების შეცვლის თაობაზე. შესაბამისად, სასამართლო გამოიტანს განჩინებას შუამდგომლობის დაკმაყოფილების შესახებ ან უარს ეტყვის განცხადების წარმდგენ პირს აღნიშნული შუამდგომლობის დაკმაყოფილებაზე. ეს განჩინება არ გასაჩივრდება კერძო საჩივრით და განცხადება არ გადაიგზავნება ზემდგომ სასამართლოში იმ შემთხვევაშიც, როცა სასამართლო უარს ეუბნება მხარეს განჩინების (დროებითი განკარგულების) შეცვლაზე ან მთლიანად გაუქმებაზე.⁶²

⁶⁰ თენგიზ ლილუაშვილი, ვალერი ხრუსტალი, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის კომენტარი, მეორე გადამუშავებული და შესწორებული გამოცემა, გამომცემლობა „სამართალი“, თბილისი 2007”
<https://www.scribd.com/doc/239905029/%E1%83%A1%E1%83%90%E1%83%A5%E1%83%90%E1%83%A0%E1%83%97%E1%83%95%E1%83%94%E1%83%9A%E1%83%9D%E1%83%A1-%E1%83%A1%E1%83%90%E1%83%9B%E1%83%9D%E1%83%A5%E1%83%90%E1%83%9A%E1%83%90%E1%83%A5%E1%83%9D-%E1%83%A1%E1%83%90%E1%83%9E%E1%83%A0%E1%83%9D%E1%83%AA%E1%83%94%E1%83%A1%E1%83%99%E1%83%9D%E1%83%93%E1%83%94%E1%83%A5%E1%83%A1%E1%83%98%E1%83%A1-%E1%83%99%E1%83%9D%E1%83%9B%E1%83%94%E1%83%9C%E1%83%A2%E1%83%90%E1%83%A0%E1%83%94%E1%83%91%E1%83%98-%E1%83%95-%E1%83%AE%E1%83%A0%E1%83%A3%E1%83%A1%E1%83%A2%E1%83%90%E1%83%9A%E1%83%98-%E1%83%97-%E1%83%9A%E1%83%98%E1%83%9A%E1%83%A3%E1%83%90%E1%83%A8%E1%83%95%E1%83%98%E1%83%9A%E1%83%98-2007-%E1%83%AC%E1%83%94%E1%83%9A%E1%83%98>

⁶¹ საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 355-ე მუხლის მე-3 ნაწილი
⁶² თენგიზ ლილუაშვილი, ვალერი ხრუსტალი, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის კომენტარი, მეორე გადამუშავებული და შესწორებული გამოცემა, გამომცემლობა „სამართალი“, თბილისი 2007”
<https://www.scribd.com/doc/239905029/%E1%83%A1%E1%83%90%E1%83%A5%E1%83%90%E1%83%A0%E1%83%97%E1%83%95%E1%83%94%E1%83%9A%E1%83%9D%E1%83%A1-%E1%83%A1%E1%83%90%E1%83%9B%E1%83%9D%E1%83%A5%E1%83%90%E1%83%9A%E1%83%90%E1%83%A5%E1%83%9D-%E1%83%A1%E1%83%90%E1%83%9E%E1%83%A0%E1%83%9D%E1%83%AA%E1%83%94%E1%83%A1%E1%83%99%E1%83%9D%E1%83%93%E1%83%94%E1%83%A5%E1%83%A1%E1%83%98%E1%83%A1-%E1%83%99%E1%83%9D%E1%83%9B%E1%83%94%E1%83%9C%E1%83%A2%E1%83%90%E1%83%A0%E1%83%94%E1%83%91%E1%83%98-%E1%83%95-%E1%83%AE%E1%83%A0%E1%83%A3%E1%83%A1%E1%83%A2%E1%83%90%E1%83%9A%E1%83%98-%E1%83%97-%E1%83%9A%E1%83%98%E1%83%9A%E1%83%A3%E1%83%90%E1%83%A8%E1%83%95%E1%83%98%E1%83%9A%E1%83%98-2007-%E1%83%AC%E1%83%94%E1%83%9A%E1%83%98>

საკითხავია, რამდენად შეესაბამება საქართველოს სამოქალაქო სპროცესო კოდექსის 355-ე მუხლით განსაზღვრული დროებითი განკარგულების მიღების შესაძლებლობა კანონის განსაზღვრულობისა და სამართლებრივი უსაფრთხოების პრინციპებით დადგენილ მოთხოვნებს. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2018 წლის 07 დეკემბრის №2/10/1212 გადაწყვეტილებაში აღნიშნულია, რომ მოსარჩელის განმარტებით, საქართველოს სამოქალაქო სპროცესო კოდექსის სადავოდ გამხდარი ნორმები ბუნდოვანია და ვერ აკმაყოფილებს კანონის განსაზღვრულობისა და სამართლებრივი უსაფრთხოების კონსტიტუციურ პრინციპებს. კერძოდ, კოდექსი არ შეიცავს ტერმინების - „მშობელთა ზრუნვის“ და „მშობლის ურთიერთობა ბავშვთან“ - განმარტებებს, რაც, საბოლოო ჯამში, იძლევა აღნიშნულ ტერმინთა იმდენად ფართოდ განმარტების შესაძლებლობას, რომ სასამართლომ მშობელს, დროებითი განკარგულების საფუძველზე, აუკრძალოს შვილის საქართველოს საზღვრებს გარეთ გაყვანა, მიუხედავად იმისა, რომ სადავო ნორმები აღნიშნულს პირდაპირ, ექსპლიციტურად არ ითვალისწინებს. მოსარჩელის მტკიცებით, სადავო რეგულირება კონსტიტუციის შესაბამისი იქნებოდა მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მათში სახელდებით იქნებოდა მოცემული კონკრეტული მიზეზები, რაც შეიძლება გახდეს პირის საქართველოს ტერიტორიიდან გასვლის უფლების შეზღუდვის საფუძველი. ასევე, გათვალისწინებული იქნებოდა იმ გარემოებათა ჩამონათვალი, რომელთა არსებობის შემთხვევაშიც უნდა იქნეს გამოყენებული ამგვარი ზომა.⁶³ დროებითი განკარგულების ინსტიტუტთან დაკავშირებული საკითხების სრულყოფილი შესწავლა და ანალიზი მნიშვნელოვანია არა მხოლოდ პროცესუალური, არამედ არასრულწლოვანის საუკეთესო ინტერესების დაცვის თვალსაზრისით, ვინაიდან სასამართლოს ევალება, არასრულწლოვანთა ინტერესების უპირატესი გათვალისწინებით გამოიტანოს გადაწყვეტილება. შეზღუდვები, რომელსაც სასამართლო საოჯახო სამართლებრივი დავის განხილვის მონაწილე მხარეს უწესებს დროებითი განკარგულების შესახებ განჩინების მიღებით, უნდა

[%E1%83%A1%E1%83%90%E1%83%9E%E1%83%A0%E1%83%9D%E1%83%AA%E1%83%94%E1%83%A1%E1%83%9D-%E1%83%99%E1%83%9D%E1%83%93%E1%83%94%E1%83%A5%E1%83%A1%E1%83%98%E1%83%A1-%E1%83%99%E1%83%9D%E1%83%9B%E1%83%94%E1%83%9C%E1%83%A2%E1%83%90%E1%83%A0%E1%83%94%E1%83%91%E1%83%98-%E1%83%95-%E1%83%AE%E1%83%A0%E1%83%A3%E1%83%A1%E1%83%A2%E1%83%90%E1%83%9A%E1%83%98-%E1%83%97-%E1%83%9A%E1%83%98%E1%83%9A%E1%83%A3%E1%83%90%E1%83%A8%E1%83%95%E1%83%98%E1%83%9A%E1%83%98-2007-%E1%83%AC%E1%83%94%E1%83%9A%E1%83%98](#)

⁶³ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2018 წლის 07 დეკემბრის გადაწყვეტილება საქმეზე №2/10/1212
<https://matsne.gov.ge/ka/document/view/4390502?publication=0>

ემსახურებოდეს ლეგიტიმურ მიზანს და ამგვარი შეზღუდვა უნდა იყოს საჭირო და ამავედროულად აუცილებელი. იგი უნდა წარმოადგენდეს აღნიშნული ლეგიტიმური მიზნის მიღწევის ერთადერთ, გამართლებულ საშუალებას.

9.2. ეროვნული საკონსტიტუციო სასამართლოს პრაქტიკა დროებითი განკარგულების ინსტიტუტთან მიმართებით

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2018 წლის 07 დეკემბრის გადაწყვეტილება საქმეზე №2/10/1212, გიორგი სპარტაკ ნიკოლაძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ, მნიშვნელოვანია დროებითი განკარგულების ინსტიტუტთან მიმართებით, კანონით განსაზღვრული მოწესრიგების ანალიზის თვალსაზრისით. საქმის არსი მდგომარეობს შემდეგში: საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2017 წლის 28 აპრილს, კონსტიტუციური სარჩელით მიმართა საქართველოსა და კანადის მოქალაქე გიორგი სპარტაკ ნიკოლაძემ. კონსტიტუციური სარჩელი მიღებულ იქნა არსებითად განსახილველად სასარჩელო მოთხოვნის იმ ნაწილში, რომელიც შეეხება საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 355-ე მუხლის პირველი ნაწილის „ა“, „ბ“ და „გ“ ქვეპუნქტების იმ ნორმატიული შინაარსის კონსტიტუციურობას, რომელიც სასამართლოს უფლებამოსილებას ანიჭებს დროებითი განკარგულების საფუძველზე მშობელს აუკრძალოს შვილის საზღვრებს გარეთ გაყვანა საქართველოს კონსტიტუციის 22-ე მუხლის მე-2 და მე-3 პუნქტებთან მიმართებით.⁶⁴ კონსტიტუციური სარჩელის სამართლებრივ საფუძველს წარმოადგენს საქართველოს იმ დროს მოქმედი კონსტიტუციის მე-16⁶⁵, მე-20 მუხლის პირველი პუნქტი⁶⁶, 22-ე მუხლის მე-2 პუნქტი⁶⁷, 89-ე მუხლის პირველი პუნქტის „ვ“ ქვეპუნქტი⁶⁸, „საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ“ საქართველოს

⁶⁴ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2018 წლის 07 დეკემბრის გადაწყვეტილება საქმეზე №2/10/1212

<https://matsne.gov.ge/ka/document/view/4390502?publication=0>

⁶⁵ ყველას აქვს საუთარი პიროვნების თავისუფალი განვითარების უფლება

⁶⁶ ყოველი ადამიანის პირადი ცხოვრება, პირადი საქმიანობის ადგილი, პირადი ჩანაწერი, მიმოწერა, საუბარი სატელეფონო და სხვა სახის ტექნიკური საშუალებით, აგრეთვე ტექნიკური საშუალებებით მიღებული შეტყობინებანი ხელშეუხებელია. აღნიშნული უფლებების შეზღუდვა დაიშვება სასამართლოს გადაწყვეტილებით ან მის გარეშე, კანონით გათვალისწინებული გადაუდებელი აუცილებლობისას.

⁶⁷ ყველას, ვინც კანონიერად იმყოფება საქართველოში, შეუძლია თავისუფლად გავიდეს საქართველოდან. საქართველოს მოქალაქეს შეუძლია თავისუფლად შემოვიდეს საქართველოში.

⁶⁸ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლო იხილავს ნორმატიული აქტების კონსტიტუციურობას საქართველოს კონსტიტუციის მეორე თავით აღიარებულ ადამიანის ძირითად უფლებებთან მიმართებით.

ორგანული კანონის მე-19 მუხლის პირველი პუნქტის „ე“ ქვეპუნქტი⁶⁹ და 39-ე მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტი.⁷⁰

კონსტიტუციურ სარჩელში, მოსარჩელემ მიუთითა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 1198-ე მუხლის მე-6 ნაწილის დანაწესზე და აღნიშნა, რომ იგი უფლებამოსილი იყო დაეცვა შვილის უფლებები და კანონიერი ინტერესები განსაკუთრებულ რწმუნებულებათა გარეშე. თბილისის საქალაქო სასამართლოს მიერ მიღებული დროებითი განკარგულებით, საოჯახო დავის საბოლოოდ გადაწყვეტამდე მოსარჩელეს აეკრძალა შვილის საქართველოს საზღვრებს გარეთ გაყვანა. საქმეში მნიშვნელოვან გარემოებას ის ფაქტი წარმოადგენს, რომ არასრულწლოვანი კანადის მოქალაქეა და იგი ვერ იღებს მთელ რიგ სარგებელს, რომლის მიღების უფლებაც მას, როგორც კანადის მოქალაქეს წარმოეშობა კანადის ტერიტორიაზე ყოფნისას. კერძოდ, ეს უკანასკნელი უფლებამოსილია, კანადის ტერიტორიაზე ისარგებლოს უნივერსალური ჯანდაცვის სამედიცინო დაზღვევით, აგრეთვე, კანადის მთავრობისგან მიიღოს 500 კანადური დოლარის სასწავლო ობლიგაცია. ამავე დროს, კანადის შემოსავლების სააგენტო ბავშვის მოვლასთან დაკავშირებით, უნივერსალური დახმარების სახით, მშობელს ურიცხავს 300 კანადურ დოლარს.⁷¹ გარდა ამისა, მოსარჩელის წარმომადგენლის არგუმენტაციით, „ბავშვთა უფლებების შესახებ“ კონვენციის მე-10 მუხლი განამტკიცებს ბავშვის უფლებას, შეინარჩუნოს ურთიერთობა სხვადასხვა ქვეყანაში მცხოვრებ მშობლებთან, რაც სწორედ ბავშვის საუკეთესო ინტერესების უზრუნველყოფას ემსახურება. სადავო რეგულირება აღნიშნულის შესაძლებლობას ართმევს ერთ-ერთ მშობელს, რაც არღვევს თავად არასრულწლოვანის უფლებას. შესაბამისად, სადავო რეგულირება არ ემსახურება ბავშვის ინტერესების საფუძველზე შესაბამისი გადაწყვეტილების მიღებას.⁷² მოსარჩელის წარმომადგენელი მოითხოვს სსსკ-ის 355-ე მუხლის პირველი ნაწილის „ა“, „ბ“ და „გ“ ქვეპუნქტების არაკონსტიტუციურად ცნობას ვინაიდან ის ეწინააღმდეგება საქართველოს იმ

⁶⁹ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლო კონსტიტუციური სარჩელის საფუძველზე უფლებამოსილია განიხილოს და გადაწყვიტოს საქართველოს კონსტიტუციასთან საქართველოს საკანონმდებლო აქტების შესაბამისობის საკითხი.

⁷⁰ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოში ნორმატიული აქტის ან მისი ცალკეული ნორმების კონსტიტუციურობის თაობაზე კონსტიტუციური სარჩელის შეტანის უფლება აქვთ ფიზიკურ და იურიდიულ პირებს, თუ მათ მიაჩნიათ, რომ დარღვეულია ან შესაძლებელია უშუალოდ დაირღვეს საქართველოს კონსტიტუციის მეორე თავით აღიარებული უფლებანი და თავისუფლებანი.

⁷¹ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2018 წლის 07 დეკემბრის გადაწყვეტილება საქმეზე №2/10/1212 (აღწერილობითი ნაწილი, §7)

⁷² საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2018 წლის 07 დეკემბრის გადაწყვეტილება საქმეზე №2/10/1212 (აღწერილობითი ნაწილი, §11)

დროს მოქმედი კონსტიტუციის 22-ე მუხლის მე-2 და მე-3 ნაწილებით დადგენილ რეგულაციებს.

მოპასუხის წარმომადგენელმა აქცენტები დასვა ისეთ მნიშვნელოვან საკითხებზე, როგორცაა ბავშვთა უფლებების დაცვის ლეგიტიმური მიზანი, ბავშვის საუკეთესო ინტერესების უზრუნველყოფა და სახელმწიფოს მხრიდან ოჯახის კეთილდღეობის ხელშეწყობისა და დედათა და ბავშვთა უფლებების დაცვის ვალდებულება. მოპასუხის წარმომადგენელმა, აგრეთვე მიუთითა, რომ სახეზეა ლეგიტიმური მიზანი, ვინაიდან სადავო რეგულირება ჯანმრთელობის დაცვის და მართლმსაჯულების განხორციელების ინტერესს ემსახურება. მნიშვნელოვანია არასრულწლოვანის ფიზიკური და ფსიქიკური ჯანმრთელობის დაცვა. გარდა ამისა, საქართველოს კონსტიტუციითვე განმტკიცებული, რომ ადამიანის უფლებებისა და თავისუფლებების განხორციელებამ არ უნდა დაარღვიოს სხვათა უფლებები და თავისუფლებები. რაც შეეხება თანაზომიერების პრინციპს, შეზღუდვამ უნდა უზრუნველყოს არასრულწლოვანის უფლებების ეფექტური დაცვა. ასევე, ის უნდა წარმოადგენდეს ლეგიტიმური მიზნის მიღწევის აუცილებელ ხერხს. მოცემულ შემთხვევაში, მშობელთა შეუთანხმებლობა სახეზეა, შესაბამისად, სასამართლო წარმოადგენს ორგანოს, რომელმაც ბავშვის ინტერესების დაცვისათვის საუკეთესოდ შესაბამისი გადაწყვეტილება უნდა მიიღოს. ამასთან, მოსამართლემ დისკრეციული უფლებამოსილების განხორციელებისას უნდა იხელმძღვანელოს საქართველოს კონსტიტუციითა და საერთაშორისო ხელშეკრულებით განმტკიცებული ბავშვთა უფლებების დაცვის სტანდარტებით. ამგვარი ფართო ფარგლების მქონე დისკრეციული უფლებამოსილების მინიჭება სასამართლოსთვის სწორედ იმას ემსახურება, რომ მოსამართლემ შეძლოს ყოველი კონკრეტული საქმის სპეციფიკური გარემოებების გათვალისწინებით მიიღოს ბავშვის საუკეთესო ინტერესების უზრუნველყოფი გადაწყვეტილება. გარდა ამისა, სადავო ნორმით დაწესებული შეზღუდვა იცავს უფრო მნიშვნელოვან სიკეთეს - არასრულწლოვანი პირის ინტერესების დაცვას, ვიდრე თავისუფლად გადაადგილების უფლებაა.⁷³ აღნიშნულიდან გამომდინარე, მოპასუხე მიიჩნევს, რომ საკონსტიტუციო სარჩელი არ უნდა დაკმაყოფილდეს. საქმეზე თანდართულია „სასამართლოს მეგობრის“ წერილობითი მოსაზრებაც.⁷⁴

⁷³ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2018 წლის 07 დეკემბრის გადაწყვეტილება საქმეზე №2/10/1212 (აღწერილობითი ნაწილი, §14)

⁷⁴ „საკონსტიტუციო სამართალწარმოების შესახებ“ საქართველოს კანონის 14¹ მუხლის პირველი პუნქტის საფუძველზე №1212 კონსტიტუციურ სარჩელზე ააიპ „ახალგაზრდა ადვოკატებმა“ წარმოადგინა სასამართლოს მეგობრის წერილობითი მოსაზრება, მოსაზრებაში აღნიშნულია, რომ საოჯახო სამართლებრივი დავების განხილვისას საერთო სასამართლოებში ხშირად საკმაოდ მწვავედ დამდგარა მშობლის მიერ არასრულწლოვანი

საკონსტიტუციო სარჩელზე გადაწყვეტილების მიღებისას, სასამართლომ უპირველესად ყურადღება გაამახვილა იმ გარემოებაზე, რომ მოსარჩელე წარმოადგენდა უფლებამოსილების მქონე სუბიექტს, რათა მას ჰქონოდა საკონსტიტუციო სასამართლოსათვის საკუთარი შვილის უფლებების დაცვის მიზნით საკონსტიტუციო სარჩელით მიმართვის შესაძლებლობა. მოსარჩელე დაობდა არა საკუთარი, არამედ თავისი არასრულწლოვანი შვილის სახელით, რომელიც საჭიროებდა მშობლის მხარდაჭერას, ვინაიდან ამ კონკრეტულ შემთხვევაში არასრულწლოვანის უფლების რეალიზაცია დაკავშირებული იყო მის ინფორმირებულ, გაცნობიერებულ ნების არსებობასთან და ამ ნების გამოვლენასთან. ქვეყნის დატოვება ისეთ უფლებას განეკუთვნება, რომელსაც არასრულწლოვანი დამოუკიდებლად ვერ შეძლებს. „სადავო ნორმის შინაარსის განსაზღვრისას საკონსტიტუციო სასამართლო, სხვადასხვა ფაქტორებთან ერთად, მხედველობაში იღებს მისი გამოყენების პრაქტიკას. საერთო სასამართლოები, თავისი კომპეტენციის ფარგლებში, იღებენ საბოლოო გადაწყვეტილებას კანონის ნორმატიულ შინაარსთან, მის პრაქტიკულ გამოყენებასთან და შესაბამისად, მის აღსრულებასთან დაკავშირებით. აღნიშნულიდან გამომდინარე, საერთო სასამართლოების მიერ გაკეთებულ განმარტებას აქვს დიდი მნიშვნელობა კანონის რეალური შინაარსის განსაზღვრისას. საკონსტიტუციო სასამართლო, როგორც წესი, იღებს და იხილავს საკანონმდებლო ნორმას სწორედ იმ ნორმატიული შინაარსით, რომლითაც იგი საერთო სასამართლომ გამოიყენა”.⁷⁵ საკონსტიტუციო სასამართლომ, საკითხის ყოველმხრივი შესწავლის საფუძველზე დაადგინა, რომ მოსარჩელეს არ წარმოუდგენია საერთო სასამართლოს მიერ სადავო ნორმის განმარტების კონკრეტული მაგალითები, გარდა იმ განჩინებისა, რომლითაც მოსარჩელეს აეკრძალა მცირეწლოვანი შვილის ქვეყნიდან გაყვანა.⁷⁶ აგრეთვე, აღნიშნული გადაწყვეტილებით დადგინდა, რომ სასამართლომ დროებითი განკარგულების გამოტანისას იხელმძღვანელა და გაითვალისწინა ბავშვის საუკეთესო ინტერესები. ამდენად, მიიჩნია, რომ სადავო ნორმა ადგენს საოჯახო დავის ფარგლებში, მხარის შუამდგომლობით, მშობლისათვის არასრულწლოვანი შვილის ქვეყნის

შვილის ქვეყნის ფარგლებს გარეთ გაყვანის საკითხი. ასეთ შემთხვევებში სასამართლოს ევალება, არასრულწლოვანთა ინტერესების უპირატესი გათვალისწინებით მიიღოს გადაწყვეტილება. შესაბამისად, ამ ტიპის შეზღუდვა ემსახურება ლეგიტიმურ მიზანს, ვინაიდან არასრულწლოვანის მიერ ქვეყნის დატოვება დაკავშირებულია მნიშვნელოვან რისკებთან.

⁷⁵ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2015 წლის 04 მარტის გადაწყვეტილება საქმეზე №1/2/552, სს „ლიბერთი ბანკი“ საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ.

⁷⁶ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2018 წლის 07 დეკემბრის გადაწყვეტილება საქმეზე №2/10/1212 (სამოტივაციო ნაწილი, §29)

გარეთ გაყვანის, ბავშვის ინტერესებიდან გამომდინარე აკრძალვის უფლებამოსილებას. საკითხის ამგვარად მოწესრიგება არათუ არასრულწლოვნის საქართველოს კონსტიტუციის დაცულ უფლებას არ ზღუდავს, არამედ ამ უფლების განხორციელებისათვის აუცილებელ კონსტიტუციურ მოთხოვნას წარმოადგენს.⁷⁷

⁷⁷ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2018 წლის 07 დეკემბრის გადაწყვეტილება საქმეზე №2/10/1212 (სამოტივაციო ნაწილი, §30)

10. დასკვნა

საოჯახო სამართლებრივი დავები თავისებურებებით ხასიათდება, რომლებიც განსაკუთრებით იჩენს თავს არასრულწლოვნებთან დაკავშირებულ დავათა განხილვის პროცესში. ნაშრომში გამოიკვეთა ამ უკანასკნელის სტრუქტურის შემადგენელი თითოეული თეზისის როლი საოჯახო სამართლებრივი დავის განხილვის დროს.

ინკვიზიციურობის პრინციპი, რომელიც პირველ და უმნიშვნელოვანეს წინაპირობას წარმოადგენს დავის განხილვის დროს სასამართლოს მიერ საქმის მასალების სრული, ყოველმხრივი და ობიექტური შესწავლის თვალსაზრისით უმთავრესი წინაპირობაა არასრულწლოვნებთან დაკავშირებულ საქმეებზე ჭეშმარიტების დადგენის მიზნით. სამოქალაქო სამართალწარმოებაში არსებული აღნიშნული პრინციპის არსებობა საოჯახო დავის განხილველ მოსამართლეს შესაძლებლობას აძლევს გამოიკვლიოს მნიშვნელოვანი გარემოებები და დეტალები, რაც საქმეზე სამართლიანი გადაწყვეტილების მიღების საწინდარია. ამ დროს სასამართლო აქტიური მსმენელის როლში გვევლინება და საქმის არსებითად განხილვის დროს უფრო ფართო უფლებები აქვს მინიჭებული. სასამართლოს შეუძლია თავისი ინიციატივით განსაზღვროს დასადგენ გარემოებათა წრე და მხარეთა ახსნა-განმარტების შემდეგ თვითონ გამოითხოვოს მტკიცებულებები, რომლებზედაც მხარეებს არ მიუთითებიათ.

მნიშვნელოვანია, საოჯახო სამართლის სტატუსის განსაზღვრა სამოქალაქო სამართლებრივ სისტემაში და სამოქალაქო სამართლებრივ ნორმებთან საოჯახო სამართლებრივი ნორმების შერწყმისა და შეთავსების პროცესი. საოჯახო დავები სხვა კატეგორიის სამოქალაქო საქმეთაგან დამოუკიდებლად განიხილება, რაც ცხადყოფს და ხაზს უსვამს საოჯახო სამართლებრივი ურთიერთობებიდან წარმოშობილ დავათა სპეციფიურ ხასიათს და მათ „განსაკუთრებულობას“ სხვა კატეგორიის სამოქალაქო დავებთან შედარებით.

საოჯახო სამართალი არეგულირებს ქორწინების, ნათესაობის, შვილად აყვანისა და ბავშვის აღსაზრდელად მიღების, მეურვეობისა და მზრუნველობის დაწესების საფუძველზე ოჯახის წევრებს შორის, აგრეთვე ოჯახის წევრებსა და სხვა პირებს შორის წარმოშობილ პირად და ქონებრივ ურთიერთობებს. აუცილებელია, მხარეთა შორის არსებული სამართლებრივი ურთიერთობა რეგულირდებოდეს საოჯახო სამართლებრივი ნორმებით და იმ შემთხვევაში, თუ დავის გადასაწყვეტად საოჯახო სამართლებრივი ურთიერთობის მარეგულირებელი ნორმები უნდა იქნეს გამოყენებული, რომლებიც განსაზღვრავენ საოჯახო ურთიერთობათა მონაწილე მხარეთა უფლებება-მოვალეობებს, მათი განხორციელების პირობებსა თუ

საშუალებებს, აგრეთვე, მხარეთა პასუხისმგებლობის საკითხებს და სხვ. დავა დაკვალიფიცირდება საოჯახო სამართლებრივ დავად. საოჯახო სამართლებრივ დავად დავის კვალიფიკაციის შემთხვევაში, დაუშვებელია მისი განხილვა სხვა კატეგორიის სამოქალაქო დავებთან ერთად. აღნიშნული წარმოადგენს საოჯახო სამართლებრივი საქმის განხილვის ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს პრინციპს.

ბავშვთა უფლებები საერთაშორისო და თითოეული სახელმწიფოს შიდა კანონმდებლობის ნაწილია და მათი დაცვის ვალდებულება სწორედ სახელმწიფოს ეკისრება. ბავშვთა უფლებებზე საუბრისას, უმნიშვნელოვანესია, ხაზი გაესვას იმ დოკუმენტებს, რომლებიც სრულად ასახავს მათ უფლებათა რეალიზაციის პროცესსა და საშუალებებს. ასეთს წარმოადგენს „ბავშვთა უფლებების შესახებ კონვენცია“. მასში დეტალურადაა მითითებული ყველა ის მნიშვნელოვანი ასპექტი, რომელიც არასრულწლოვანთა საუკეთესო ინტერესების დაცვას ემსახურება. აღნიშნულ კონვენციაზე საუბრისას, ყურადღება უნდა გავამახვილოთ კონვენციის ოთხ ძირითად პრინციპზე, „ქოლგა დებულებებზე“, რომლებიც უზრუნველყოფენ არასრულწლოვანთა დაცვას ყოველგვარი დისკრიმინაციისაგან, ასევე ბავშვთა ინტერესების პატივისცემას, სიცოცხლისა და განვითარების უფლებას. მნიშვნელოვანია, აგრეთვე, მეოთხე „ქოლგა პრინციპი“, რომელიც ბავშვის მიერ საკუთარი შეხედულებების ჩამოყალიბების უნარსა და მისი მოსმენის უფლებას ეხება.

არასრულწლოვანთა ინტერესებთან დაკავშირებულ დავათა განხილვისას თავად არასრულწლოვანის ჩაბმა პროცესში ფუნდამენტურ პრინციპს წარმოადგენს და საოჯახო დავების განხილვისას, არასრულწლოვანის პროცესში არჩაბმა დარღვევაა, რაც საბოლოოდ, სასამართლოს მიერ მიღებულ გადაწყვეტილებაზე უარყოფითად აისახება. საქართველოს სამოქალაქო და სამოქალაქო საპროცესო კოდექსი გარკვეულწილად ხელს უწყობს აღნიშნული პრინციპის პრაქტიკულ გამოვლინებას, თუმცა იმ ხარვეზებს, რომელიც ნათლად იკვეთება ამ საკითხის მარეგულირებელ კანონმდებლობაში, როგორც მატერიალურ-სამართლებრივ, ისე პროცესუალურ-სამართლებრივ ნორმებში, ევროპულ სტანდარტებთან შესაბამისობაში მოყვანა ესაჭიროება.

საინტერესოა, თუ როგორ ხდება დავათა განხილვა შვიდ წლამდე ასაკის ბავშვის და შვიდიდან თვრამეტ წლამდე ასაკის ბავშვის მონაწილეობით.

რაც შეეხება მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანოს საოჯახო დავათა განხილვის დროს ჩართულობის სავალდებულოობის პრინციპს, მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს მიერ გაკრიტიკებულია აღნიშნული ორგანოს მონაწილეობასთან

დაკავშირებული რიგი საკითხები. ევროპული სასამართლო მიუთითებს, რომ მარტოდენ საკითხის ფორმალური შესწავლა ვერ უზრუნველყოფს არასრულწლოვანის საუკეთესო ინტერესების დაცვას, არამედ აუცილებელია მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანომ მიიღოს ყველა შესაძლო ზომა „ბავშვთა უფლებების შესახებ კონვენციით“ გათვალისწინებულ უფლებათა დასაცავად. ევროპული სასამართლოს კრიტიკის გათვალისწინება და კანონმდებლობაში არსებული ხარვეზების აღმოფხვრაზე ზრუნვა, შესაძლებლობას მოგვცემს, მივაღწიოთ არასრულწლოვანის საუკეთესო ინტერესების დაცვის მიზანს.

არასრულწლოვანი უფლებამოსილია დამოუკიდებლად აღძრას სარჩელი, რათა დაიცვას საკუთარი ინტერესები. აღნიშნული უფლების განხორციელებას ის მოახერხებს მას შემდეგ, რაც შეუსრულდება 14 წელი. სასამართლომ ასეთ შემთხვევაში, უნდა მოიძიოს საქმის გადაწყვეტისათვის ყველა საჭირო მასალა. გარდა ამისა, იგი ვალდებულია იკვლიოს, აქვს თუ არა ბავშვს მისი ქმედების შემეცნების უნარი. სასამართლომ ბავშვს უნდა მიაწოდოს ინფორმაცია და გაუწიოს კონსულტაცია მისთვის მნიშვნელოვან და საინტერესო საკითხებთან დაკავშირებით. არასრულწლოვანსა და მის კანონიერ წარმომადგენელს შორის ინტერესთა კონფლიქტის არსებობის შემთხვევაში, სასამართლო ხელისუფლებას უნდა გააჩნდეს ბერკეტი, საქმის წარმოების მიზნებისათვის, დანიშნოს არასრულწლოვანის სპეციალური წარმომადგენელი, მითუმეტეს მაშინ, როდესაც შიდასახელმწიფოებრივი სამართალი მშობლის პასუხისმგებლობის მტვირთველ პირებს უკრძალავს ბავშვთა წარმომადგენლობას მათ და არასრულწლოვნებს შორის წარმოშობილი ინტერესთა კონფლიქტის გამო.

სამართლებრივი უსაფრთხოების პრინციპი სამართლებრივი სახელმწიფოს პრინციპის განუყოფელი ნაწილია. თავის მხრივ, სამართლებრივი უსაფრთხოების ერთ ერთი მნიშვნელოვანი ელემენტია სამართლებრივი განსაზღვრულობის პრინციპი. კანონი უნდა პასუხობდეს სამართლებრივი უსაფრთხოებისა და შესაბამისად განსაზღვრულობის პრინციპის მოთხოვნებს. საკონსტიტუციო სასამართლოს განმარტებით, განსაზღვრულობის ერთ-ერთი მთავარი დანიშნულებაა, რომ კანონის ადრესატმა შეძლოს მისი სწორი აღქმა და შესაბამისი სამართლებრივი შედეგების განჭვრეტა.⁷⁸ სსსკ-ის 355-ე მუხლის პირველი ნაწილის „ა“, „ბ“ და „გ“ ქვეპუნქტების სამართლებრივი განსაზღვრულობისა და სამართლებრივი უსაფრთხოების პრინციპებთან შეუსაბამობა უარყო საქართველოს

⁷⁸ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2017 წლის 29 დეკემბრის №3/7/679 გადაწყვეტილება საქმეზე შპს „სამაუწყებლო კომპანია რუსთავი 2“ და შპს „ტელეკომპანია საქართველო“ საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ.

საკონსტიტუციო სასამართლომ 2018 წლის 07 დეკემბრის გადაწყვეტილებით საქმეზე №2/10/1212, გიორგი სპარტაკ ნიკოლაძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ და დაადგინა, რომ მშობლისათვის არასრულწლოვანი შვილის ქვეყნის გარეთ გაყვანის, ბავშვის ინტერესებიდან გამომდინარე, დროებითი განკარგულების შესახებ განჩინების მიღებით, სასამართლო არათუ ზღუდავს არასრულწლოვანის საქართველოს კონსტიტუციით დაცულ აღნიშნულ უფლებას, არამედ დროებითი განკარგულების მიღება ამ უფლების განხორციელებისათვის აუცილებელ კონსტიტუციურ მოთხოვნას წარმოადგენს.

ბიბლიოგრაფია

გამოყენებული ლიტერატურა

1. ადმინისტრაციული საპროცესო სამართლის სახელმძღვანელო, მია კოპალეიშვილი, ნუგზარ სხირტლაძე, ეკატერინე ქარდავა, პაატა ტურავა (რედ.), თბილისი 2008
2. ილონა გაგუა, მტკიცების ტვირთი სამოქალაქო საპროცესო სამართალში, სადისერტაციო ნაშრომი სამართლის დოქტორის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად, თბილისის ივანე ჯავახიშვილის სახელმწიფო უნივერსიტეტი, იურიდიული ფაკულტეტი, თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა 2012
3. თენგიზ ლილუაშვილი, ვალერი ხრუსტალი, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის კომენტარი, მეორე გადამუშავებული და შესწორებული გამოცემა, გამომცემლობა „სამართალი“, თბილისი 2007”
4. ივ. ჯავახიშვილის ენციკლოპედიური ლექსიკონი. მთავარი რედაქტორი რ. მეტრეველი. თბილისი, 2002. გვ. 516, 597.
5. საოჯახო და მემკვიდრეობის სამართალი, ეკატერინე შენგელია, რომან შენგელია
6. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი მეხუთე, წინათქმა, ლ. ჭანტურია
7. შ. ჩიკვაშვილი, საოჯახო სამართალი, თბილისი, 2004, გვ. 18
8. „არასრულწლოვანთა უფლებების ჰარმონიზაცია ევროპულ სტანდარტებთან: საქართველოს სამოქალაქო კოდექსის სრულყოფის პერსპექტივები”, I. არასრულწლოვანთა უფლებების ევროპული სტანდარტის მთავარი სამართლებრივი წყარო - ეკა ზარნაძე
9. David Jackson: Adversarial and Inquisitorial Systems Medico-Legal Society of NSW Inc Scientific Meeting, March 2009, p. 1.

ნორმატიული მასალა

1. საქართველოს კონსტიტუცია
2. საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსი
3. საქართველოს სამოქალაქო კოდექსი
4. საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსი
5. „კონვენცია ბავშვის უფლებების შესახებ”
6. საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის ბრძანება №01-14/ნ, საჯარო სამართლის იურიდიული პირის - სოციალური მომსახურების სააგენტოს დებულების დამტკიცების შესახებ

7. საქართველოს მთავრობის 2016 წლის 12 სექტემბრის №437 დადგენილება ბავშვთა დაცვის მიმართვიანობის (რეფერირების) პროცედურების დამტკიცების თაობაზე

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილებები

1. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილება საქმეზე №1/3/407-26.12.2007
2. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილება საქმეზე №2/2-389-26.10.2007
3. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილება საქმეზე №2/3/406,408-30.10.2008
4. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2018 წლის 07 დეკემბრის გადაწყვეტილება საქმეზე №2/10/1212
5. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2015 წლის 04 მარტის გადაწყვეტილება საქმეზე №1/2/552, სს „ლიბერთი ბანკი“ საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ
6. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2017 წლის 29 დეკემბრის №3/7/679 გადაწყვეტილება საქმეზე შპს „სამაუწყებლო კომპანია რუსთავი 2“ და შპს „ტელეკომპანია საქართველო“ საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ

ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილებები

1. ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს მეოთხე სექციის გადაწყვეტილება საქმეზე „გ.ს. საქართველოს წინააღმდეგ“, საჩივარი №2361/13, 2015 წლის 21 ივლისი
2. ნ.წ. და სხვები საქართველოს წინააღმდეგ (განაცხადი №71776/12), სტრასბურგი, 2 თებერვალი, 2016 წელი
3. *X.v. Latvia* ([GC], no. 27853/09, §§ 92-108, ECHR 2013)

ინტერნეტ რესურსი

1. <
3. <
5. <[67](https://www.scribd.com/doc/239904668/%E1%83%A1%E1%83%90%E1%83%A5%E1%83%90%E1%83%A0%E1%83%97%E1%83%95%E1%83%94%E1%83%9A%E1%83%9D%E1%83%A1-%E1%83%A1%E1%83%90%E1%83%9B%E1%83%9D%E1%83%A5%E1%83%90%E1%83%9A%E1%83%90%E1%83%A5%E1%83%9D-%E1%83%99%E1%83%9D%E1%83%93%E1%83%94%E1%83%A5%E1%83%A1%E1%83%98%E1%83%A1-%E1%83%99%E1%83%9D%E1%83%9B%E1%83%94%E1%83%9C%E1%83%A2%E1%83%90%E1%83%A0%E1%83%98-%E1%83%AC%E1%83%98%E1%83%92%E1%83%9C%E1%83%98-v-%E1%83%A1%E1%83%90%E1%83%9D%E1%83%AE%E1%83%90%E1%83%AF%E1%83%9D-%E1%83%93%E1%83%90-%E1%83%9B%E1%83%94%E1%83%9B%E1%83%99%E1%83%95%E1%83%98%E1%83%93%E1%83%A0%E1%83%94%E1%83%9D%E1%83%91%E1%83%98%E1%83%97%E1%83%98-%E1%83%A1%E1%83%90%E1%83%9B%E1%83%90%E1%83%A0%E1%83%97%E1%83%98></div><div data-bbox=)

83%90%E1%83%9A%E1%83%98-2000?fbclid=IwAR0EbVVc0-sthzutbrstkmwHw1pcxz34CdWgxiKRnH6sNsRYcXsbo0TkisQ>

6. <<https://www.scribd.com/doc/239905029/%E1%83%A1%E1%83%90%E1%83%A5%E1%83%90%E1%83%A0%E1%83%97%E1%83%95%E1%83%94%E1%83%9A%E1%83%9D%E1%83%A1-%E1%83%A1%E1%83%90%E1%83%9B%E1%83%9D%E1%83%A5%E1%83%90%E1%83%9A%E1%83%90%E1%83%A5%E1%83%9D-%E1%83%A1%E1%83%90%E1%83%9E%E1%83%A0%E1%83%9D%E1%83%AA%E1%83%94%E1%83%A1%E1%83%9D-%E1%83%99%E1%83%9D%E1%83%93%E1%83%94%E1%83%A5%E1%83%A1%E1%83%98%E1%83%A1-%E1%83%99%E1%83%9D%E1%83%9B%E1%83%94%E1%83%9C%E1%83%A2%E1%83%90%E1%83%A0%E1%83%94%E1%83%91%E1%83%98-%E1%83%95-%E1%83%AE%E1%83%A0%E1%83%A3%E1%83%A1%E1%83%A2%E1%83%90%E1%83%9A%E1%83%98-%E1%83%97-%E1%83%9A%E1%83%98%E1%83%9A%E1%83%A3%E1%83%90%E1%83%A8%E1%83%95%E1%83%98%E1%83%9A%E1%83%98-2007-%E1%83%AC%E1%83%94%E1%83%9A%E1%83%98?fbclid=IwAR3Ea9tf Nx6oWLhf 6giniFQLRJaCVOha1trRCIRD7lrwowTWoWShxiVMjs>>
7. <<https://www.civiceducation.ge/ka/lessons/1-15>>
8. <<https://www.unicef.org/georgia/ka/%E1%83%91%E1%83%90%E1%83%95%E1%83%A8%E1%83%95%E1%83%98%E1%83%A1-%E1%83%A3%E1%83%A4%E1%83%9A%E1%83%94%E1%83%91%E1%83%90%E1%83%97%E1%83%90-%E1%83%99%E1%83%9D%E1%83%9C%E1%83%95%E1%83%94%E1%83%9C%E1%83%AA%E1%83%98%E1%83%90>>
9. <<https://matsne.gov.ge/ka/document/view/1399901?publication=0>>
10. <<https://matsne.gov.ge/ka/document/view/3276261?publication=0>>
11. <<https://matsne.gov.ge/ka/document/view/3295053?publication=0>>
12. <<https://matsne.gov.ge/ka/document/view/2759259?publication=0>>
13. <<https://matsne.gov.ge/ka/document/view/4390502?publication=0>>